



სულეთის კიდობანი

# ბოლერძი ჩოხელი

*www.PDF.ChiaturaINFO.GE*

# გოდერძი ჩოხელი

## სულეთის კიდობანი

[www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)

იყნოსა უფალმა კეთილსურნელება და თქვა უფალმა თავისთვის: ამიერიდან აღარ დავწყევლი მიწას ადამიანის გამო, რადგან ბოროტისკენაა მიდრეკილი ადამიანის გულისთქმა მისი სიყრმიდანვე. მეტად აღარ გავანადგურებ ცოცხალ არსებას, როგორც მოვიქეცი. ვიდრე ქვეყანა იქნება – არც თესვა და მკა, არც ყინვა და სიციხე, არც ზაფხული და ზამთარი, არც დღე და ღამე არ გაუქმდება.

აკურთხა ღმერთმა ნოე და მისი შვილები და უთხრა: ინაყოფიერეთ, იმრავლეთ და აავსეთ ქვეყანა.

დაბადება

– აეგეთია ეს ცხოვრება! – ამბობს შულლიანთ სება და ცოტა დუმილის შემდეგ დაამატებს

– მათ! – მერე შემოგხედავს, თავიდან ფეხებამდე

ჩაგათვალიერებს და შეგეკითხება: – შენ რას იტყვი, ძმისწულო, ჰა?

– რაზე?

– ცხოვრებაზე.

– რა ვიცი, რა უნდა ვთქვა?

– ჰო, ჰო, ვერაფერს ვერ იტყვი, აეგეთია ეს ცხოვრება,

მათ! – ბრძნულად დაასკვნის სება და სევდიანად

შეჰყურებს გუდამაყრის ხეობაში წამოყუდებულ

უზარმაზარ მთებს, რომლებიც ოთხივე მხარეს კეტავენ

სივრცეს და მხოლოდ მათ შორის მოქცეული ზეცა  
გაფიქრებინებს, რომ მარტო ამ ვიწრო ხეობაში არ  
მთავრდება ყველაფერი. მთის წვერებს შორის მოქცეული  
ცა ხან ლურჯად ლივლივებს და ხანაც ნაირ-ნაირ  
ღრუბლებს იგორებს გულზე. დღისით მზე ბიბინებს და  
ღამ-ღამობით მთვარე ბრწყინავს.  
დღე ღამდება და ღამე თენდება.  
გუდამაყრის ვიწრო ხეობას, ამ პატარა ცის ნაგლეჯით  
ჩამოჰყურებს შორეული სამყარო.  
აქ თითქოს არაფერი არ იცვლება.  
დღე ღამდება და ღამე თენდება.  
ადამიანი ჩნდება და ბერდება...  
ბერდება და კვდება.  
ადამიანები შეგუებულნი არიან ამას.  
ხანდახან ზეცას ვარსკვლავი მოსწყდება და სადღაც  
ჩაიკარგება. გუდამაყრელები ამას ვარსკვლავის  
გათხოვებას ეძახიან. გათხოვება, ამ შემთხვევაში, სხვაგან  
წასვლას, უფრო კი გარდაცვალებას ნიშნავს. ვინც  
ვარსკვლავის გათხოვებას თვალს შეასწრებს, დარდობს.  
რახან ვარსკვლავი გათხოვდა, ეს იმის ნიშანია, რომ  
ვიღაც გარდაიცვლება გუდამაყარში. იმათი რწმენით,  
ყველა ადამიანს საკუთარი ვარსკვლავი ჰყავს და როცა ეს  
ვარსკვლავი თხოვდება, აქ ადამიანი გარდაიცვლება;

თუმცა ზეცა სავსეა ვარსკვლავებით, გუდამაყრის ხეობა კი პატარაა და ადამიანებიც ძალიან ცოტანი არიან, ამ ვარსკვლავებთან შედარებით.

ჩამოჰყურებს, ჩამოჰყურებს გუდამაყარს ვარსკვლავებით მოჭედილი სამყაროს თვალი.

– აეგეთია ეს ცხოვრება! – როგორღაც ნიშნისმოგებით ამბობს შუღლიანთ სება და არავინ კი არ ეკითხება, როგორია. თითქოს ყველა ხვდება რასაც ამბობს. თითქოს ყველას ერთი პასუხი აქვს ნაპოვნი და ეს პასუხი ერთი სიტყვაა: – აეგეთია!

– მააშ! – ადასტურებს შუღლიანთ სება და ისეა შეჩვეული ამ სიტყვების თქმას, დღეში ათასჯერ ამბობს. საუბარში დროდადრო დაფიქრდება, შემოგხედავს და გეტყვის: – აეგეთია ეს ცხოვრება, მააშ! – ისე ამბობს ამას, ისეთ სევდას აყოლებს ნათქვამს, გული ჩაგწყდება, ძალაუნებურად გაჩუმდები და შენც დაფიქრდები. ერთხელაც იჯდა თავისი სახლის კედელთან სება და დიდხანს დაჰყურებდა ჭიანჭველას, რომელიც მეორე მკვდარ ჭიანჭველას მიათრევდა.

ცოცხალ ჭიანჭველას უჭირდა ბალახებში მკვდარი ჭიანჭველის თრევა, მაგრამ თავს არ ანებებდა, ბალახიდან ბალახზე წვალებით გადადიოდა. სებას უნდოდა მიხმარებოდა, მაგრამ არ იცოდა საით მიდიოდა

ჭიანჭველა.

– აეგეთია ეს ცხოვრება! – ჩაილაპარაკა სებამ.

– როგორი, მამავ? – შეეკითხა უცებ მის გვერდით მჯდარი პატარა ბიჭი.

სებამ შვილს შეხედა.

– როგორია მამავ? – ისევ ჰკითხა შვილმა.

– როგორი და ეგეთი – უფრო თავისთვის თქვა სებამ და ცოტა დუმილის მერე დააყოლა:

– ისე იწყება, შენ არავინ არ გეკითხება და ისე მთავრდება, არც მაშინ გეკითხება ვინმე რამეს.

პატარა ბიჭი გაკვირვებული შეჰყურებდა მამას და ვერაფერი კი ვერ გაეგო მისი საუბრიდან.

– აემ ჭიანჭველას ხომ ხედავ? – ჭიანჭველაზე მიუთითა სებამ ბიჭს.

– რომელს?

– მკვდარს რომ მიათრევს.

– რატო მიათრევს? – ჰკითხა შვილმა.

– ეტყობა ეგ მკვდარი მაგისი ან დედაა, ან მამა, ან ძმა, ან შვილი, ან ნათესავი. სადღაც იყვნენ, ის ვილაცამ მოკლა და ეს სახლში მიასვენებს მკვდარს, – თქვა სებამ და სევდიანად დააყოლა: – აეგეთია, შვილო, ეს ცხოვრება, მათ!

ბიჭიც როგორღაც სევდიანად შეჰყურებდა მამას.

სება ყვებოდა: შენ დროთაი რო ვიყავ, მაშინაც ესე დადიოდნენ ამ ადგილას ჭიანჭველები და მამაჩემი სუ ერთთავად იმას მაფრთხილებდა – ბალო, ფეხს რო ადგამ, ჯერ წინ დაიხედე, ჭიანჭველას ფეხი არ დაადგა, ისიც ხვთის გაჩენილია, ტყუილუბრალოდ რატო უნდა მოკლა. აბა, მოდი და კარგად დააცქერდი როგორ შრომობენ, როგორ ამბავში არიან?! მაგათაც თავის ცხოვრება აქვთ, მაგათაც უნდათ დიდხანს სიცოცხლე. ნაბიჯს რომ

გადადგამ ჯერ წინ დაიხედე, შვილო.

ერთი ხანობა, ლამის სიარული გადამავიწყდა, საითაც ფეხს გადავადგამდი, ყველგან ჭიანჭველა მიდიოდა.

მერე მამაჩემი ომში წაიყვანეს და მეც ნელ-ნელა

გადამავიწყდნენ ჭიანჭველები. თანდათან გავიმართე, ამაყად დავიწყე დედამიწაზე სიარული.

– მამავ, პაპაი ომში მოკლეს? – ჰკითხა ბიჭმა.

– არა, ომიდან უვნებელი ჩამოვიდა და ციმბირში გაასახლეს.

– რატო?

– ომში გერმანელებს ჩაუვარდა ტყვედ და როცა ომი დამთავრდა, ტყვეობაში ნამყოფი ხალხი გააციმბირეს.

მამაჩემი ციმბირიდან გამოიქცა და ღამე მოვიდა სახლში.

დღისით გარეთ არ გამოდიოდა, ღამე მიდიოდა სათიბზე

და სამკალზე. ვილაცამ დააბეზლა მთავრობასთან და მეორედ გააციმბირეს.

– მერე აღარ გამოუშვეს?

– კი, გამოუშვეს, მაგრამ როგორც გავიგე, გზაში გარდაიცვალა და იქვე დაუსაფლავებიათ. სად, ზუსტად არ ვიცი, ეგ ამბავიც ჭორად მოგვივიდა. აი, ჭიანჭველას ხომ ხედავ, ეგაც არ ტოვებს თავის მკვდარს სხვაგან. ბიჭი და სება ჭიანჭველას მიაჩერდნენ. იმას წელანს აქეთ სამი-ოთხი მტკაველი ჰქონდა გავლილი და ისევ ისე წვალებით გადაჰქონდა მკვდარი ბალახიდან – ბალახზე.

– აეგეთია ეს ცხოვრება! – თქვა სებამ და გაჩუმდა.

ბიჭიც ჩუმად იჯდა.

მწვერვალებს შორის მოქცეულ ცაზე მზე ჩახჩახებდა.

...

მუზეუმის შექმნის სურვილი გაუჩნდა შულლიანთ სებას – ვერ ხედავთ, ხალხო, თვალსა და ხელსშუა გვეცლება წარსული. ვინც კი გუდამაყრიდან წავიდა, უკან აღარ ბრუნდებიან, ანდა თუ ბრუნდებიან დამცინავად უყურებენ მამა-პაპათა ადათ-წესებს. ესე თუ გაგრძელდა, ბოლოს სულ დაიცლება ეს ხეობა და ისტორიას აღარ დარჩება სამახსოვროდ თუ ვინ ვიყავით, რანი ვიყავით, როგორ ვცხოვრობდით; ისედაც ხომ

არავინ არ იცის ვინა ვართ გუდამაყრელები, რა ყაიდის ხალხი ვართ. ესე თუ გაგრძელდა ჩვენი ცხოვრება სულ მალე ისე წაიშლება ჩვენი კუთხე მიწის პირიდან, როგორც გაზაფხულის თოვლი. ხო იცით, აეგეთია ეს ცხოვრება! მოდით, სანამ დროა, ერთი მუზეუმი ავაშენოთ, იმათ მაინც დავრჩებით ქვეყანაზე.

– ეე, ჩემო სებავ, კარგი ერთი! – ეუბნება მეზობელი.

– საქმე თავზე გადამდის და მე მემუზეუმება?! – ამბობს მეორე.

– მა რა ვქნათ, ხალხო, ესე უბრალოდ წაიშალოს ჩვენი წარსული?! უსაქმური და მოცლილი არც მე ვარ, მაგრამ შთამომავლობას ხო უნდა დავუტოვოთ წარსული. ქვეყანამ ხო უნდა გაიგოს რომ ერთ დროს ჩვენც ვიყავით დედამიწაზე, გუდამაყრელები გვერქვა და ვარსებობდით. შთამომავლობამ ხო უნდა იცოდეს, რა იყო წარსულში. აგე, იმ მთაზე გაჭრილ ძველ ნაგზევარს ხო ხედავთ? აი, ეგ გზა საუკუნეების წინანდელია. აი, მაგ გზაზე დადიოდა ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და ბოლოს ერეკლე. მაგ გზით გადადიოდნენ ქვენამთაზე, ჩადიოდნენ ხევში და კეტავდნენ დარიალის კარს. ქვენამთის აქეთ ვანისკარია, ვანისკარის ციხეები; ქვენამთის იქეთ კიდე ნადარბაზევი,



გორგასალის ნადარბაზევი; იმის ქვემოთ სოფელი  
კარკუჩა, რაც შემოსასვლელ ქუჩას ნიშნავს. ამ ხეობაში  
ყოველ ნაბიჯზე წარსული ფეთქავს, ჩვენ კი, ხო ხედავთ,  
გადაგვარების გზაზე ვართ, დამიდევით გვერდში,  
ავაშენოთ ერთი მუზეუმი.

– მოგცლია, ერთი, შენც! – მწყრალად შეუტია აპარეკამ.

– აეგეთია ეს ცხოვრება! – ამოიოხრა სებამ და მარტოკა  
შეუდგა მუზეუმის მშენებლობას.

...

სოფელი ჩოხი, სადაც შუღლიანთ სება ცხოვრობს, ერთ-  
ერთი ბოლო სოფელია გუდამაყარში. აქედან უკვე  
ალპური ზონა იწყება და შავი არაგვის სათავეებთან,  
ზეცას წვერმიბჯენილი ჭიუხებით ესაზღვრება  
ხევსურეთს. მარცხნივ მთიულეთია, ხოლო უფრო  
ჩრდილოეთით ხევი, საითკენაც ქვენამთის  
გადასასვლელით ძველი გზა გადადის, რომელსაც  
შუღლიანთ სება გორგასალის ნაგზევს ეძახის.

– აეგეთია ეს ცხოვრება, ვინ იცის ვის არ გაუვლია ამ  
გზაზე, – ამბობს სება და წარსულის ნაშთებს ეძებს.

ხეობა ვიწროა და შავი არაგვი ცოფიანივით ეხეთქება  
აქეთ-იქით შემოჯარულ მთებს. მხოლოდ ერთ ადგილას

არის ვაკე ადგილი, იქ სადაც ახლა სოფელი ჩოხია გაშენებული. ადრე, როგორც სხვა აქაური სოფლები, ციცაბო მთის ფერდობზე იყო დაკიდებული, მერე კი თანდათან ჩამოსახლდნენ ამ მინდორზე ჩოხელები. ადრე აკრძალული ჰქონდა ხალხს აქ დასახლება, რადგან მთელი მინდორი პირიმზე – ფუძის ანგელოზის მოედნად ითვლება და სალოცავად მოსული ხალხი, აქ ათენებს ღამეს.

რაკი დარიალიდან მომავალი გზა ამ მინდორზე ჩამოდის, როცა რუსები საქართველოში შემოვიდნენ, პირველად იმათ დაარღვიეს პირიმზის სალოცავის რიდი და უზარმაზარი ბასტიონი ააშენეს სალოცავის მოედნის შუაგულში.

ბასტიონში ჩადგა რუსის ჯარი.

ბეგარა დაადეს გუდამაყრელებს – ზამთრობით გზაზე თოვლსა და ზვავებს ახვეტინებდნენ, ზაფხულობით კი სხვადასხვა სამუშაოებზე გაჰყავდათ ხალხი.

პირიმზის სალოცავის ზემოთ, ფერდობზე, ხატის ტყეა გაშენებული. იქ ხის მოჭრა აკრძალული აქვთ გუდამაყრელებს, რუსები კი არაფრად აგდებდნენ სალოცავის შიშს და უზარმაზარ წიფლის ხეებს ჭრიდნენ.

ასე გრძელდებოდა, მანამ მოჭრილმა წიფლის ხემ არ დააფრთხო რუსის ჯარი.

უშველებელი წიფლის ხე მოჭრეს რუსებმა და როცა ხე მიწაზე დაეცა, გველეშაპად გადაიქცა. ხის ტოტები ბანჯგვლებად იქცა. საშინელ ხმაზე წიოდა გველეშაპი და კუდს მიწას ურტყამდა, მისდევდა რუს ჯარისკაცებს ხახადაღებული. ჯარისკაცები ბასტიონში შეიკეტნენ და იქედან ესროდნენ თოფებს.

გველეშაპი წიოდა და ბასტიონის კედლებს ეხეთქებოდა; მანამდე არ გაჩერდა, მანამ რუსის ჯარი გუდამაყრის ხეობიდან არ გადაიხვეწა.

ამის მერე გუდამაყრის ხეობაზე სიარულს თავი ანებეს და მთიულეთის ხეობაზე გადაიყვანეს რუსებმა გზა.

უპატრონოდ დარჩა ბასტიონი.

დრო და ჟამი ნელ-ნელა შლიდა კედლებს. პირიმზის მოედანზე კი ძველებურად ლოცულობდნენ გუდამაყრელები და არავინ ფიქრობდა აქ დასახლებას, მანამ ისევ რუსები არ მოვიდნენ.

რუსები მოვიდნენ სხვა მხრიდან.

ქვემოდან მოვიდნენ.

კომუნისტებად მოვიდნენ და გუდამაყრელებსაც თავის წესზე ყოფნა მოსთხოვეს: გაკრიჭეს მღვდლები, გამარცხეს სალოცავები და პირიმზის მოედანზე კოლმეურნეობის კანტორა ააშენეს. ამ კანტორაში დასხდნენ ქართველი კომუნისტები და ხატის მინდორზე, ძველი

ბასტიონის გვერდით, საქონლის ფერმა ააშენეს.

ხალხს ხატში ლოცვა აუკრძალეს და თუმცა კარგა ხანს ვერავინ ბედავდა მოედანზე სახლის აშენებას, დრომ მაინც თავისი ქნა და ჯერ ერთი კაცი ჩამოსახლდა ჩოხიდან აქ, მერე მეორემ გაბედა, მერე მესამემ და მართალია პირიმზის ხატთან ახლოს არა, მოედნის ბოლოში მაინც გაშენდა პატარა სოფელი ჩოხი.

ძველი ბასტიონის კედლებს შიგნით, შუაგულ მინდორში, ჯერ სტალინის ძეგლი იდგა, მერე, სტალინი რო მოკვდა, ძეგლი შუაწელზე გადახერხეს და მზისკენ ხელგამვერილი ლენინის ტანი დაადგეს. ბასტიონის გვერდით რვაწლიანი სკოლა ააშენეს და ხანდახან მზისკენ გამვერილ ხელზე ჩამოეკიდებოდნენ ხოლმე ურჩი ბიჭები ლენინს. მაშინ სტალინზე გადაკერებული ლენინის ტანი წონასწორობას ვეღარ იკავებდა და ბავშვებთან ერთად მინდორზე გორაობდა.

აი, მაშინ ატყდებოდა ხოლმე დიდი ამბავი, ცალკე კოლმეურნეობის კანტორიდან გამორბოდნენ გაბრაზებული კომუნისტები, ცალკე გულგახეთქილი მასწავლებლები ტუქსავდნენ ლენინის ხელზე დაკიდებულ მოწაფეებს.

რამდენჯერმე სხვადასხვა წებოთი სცადეს ლენინის დაწებება სტალინის ტანზე, მაგრამ სკოლის ახალ-ახალი მოწაფეები მაინც ჯიუტად ეკიდებოდნენ გაშვერილ ხელს და მერე იმასთან ერთად მინდორში გორაობდნენ. თანდათან ისე გათავხედდნენ ბაღლები, ვიღაცამ ზემოდან ძეგლის თავი ჩაამტვრია და შიგ მზესუმზირა დათესა.

ამოიზარდა მზესუმზირა, გაიკეთა ბრდღვიალა თავი. ამოვა დილით გუდამაყრის ცაზე მზე, გაიშლება ძეგლის თავზე მზესუმზირა, გაბრდღვიალდება, წაჰყვება მზეს და საღამოთი მზის ჩასვლასთან ერთად დახუჭავს თვალებს.

კარგახანს ვერ ამჩნევდნენ კომუნისტები ამას და როცა გაიგეს, ისეთი ყვირილით მიუცვივდნენ სკოლაში მასწავლებლებს, ისეთი ცოდვის ტირილი დაატრიალეს მოწაფეებში, კარგახანს ძეგლის ახლოს აღარავინ გაჭაჭანებულა.

ეს ძეგლიც იდგა სიჩუმის ძახილის ნიშანივით და როგორც ადრე ხატის შენობასთან ახლოს მისვლა ეშინოდა ხალხს, ახლა ამ ძეგლთან მიახლოებაც ეშინოდათ. ბოლოს რო დაეკიდნენ ხელზე ბაღლები ძეგლს, იმათი მამები წაიყვანეს ჩეკისტებმა და აღარც ერთი უკან აღარ დაბრუნებულა.

სოფელი თანდათან იზრდებოდა და ძეგლის აქით-იქით სახლები აშენდა.

შუღლიანთ სებამ გაბედა და ლენინის ძეგლთან ახლოს აიშენა სახლი. მაშინ ცოლი ფეხმძიმედ ჰყავდა და კინალამ შარში გაეხვია. მეათე თვეში გადადგა სებაის ფეხმძიმე ცოლი და ბაღლი მაინც არ ჩნდებოდა. გახდა თერთმეტი თვე, თორმეტი, მაინც არ ჩნდება ბაღლი.

ექიმები მხრებს იჩეჩავენ.

მკითხავები ამბობენ, რომ ხატის მიზეზია, ასე ახლოს რომ ააშენა სალოცავთან სებამ სახლი, ხატი გაწყრა და ბაღლი იმიტომ აღარ ჩნდებაო.

სებამ შესაწირავი შესწირა სალოცავს, მაგრამ მაინც არაფერი არ ეშველა ფეხმძიმე ქალს.

ერთ ღამეს კი, სიზმარში იყო თუ ცხადში, კარგად ვეღარ გაიგო ქალმა. მოეჩვენა რომ მუცლიდან ბაღლი

დაელაპარაკა: – დედი, დედი! სანამ ეგ ძეგლი აქ დგას, მანამდე არ გავჩნდები, ფეხს არ გამოვადგამ აქედან!

შეშინებულმა ცოლმა სებას უამბო ეს ამბავი.

– გადავაქცევ! – ცულს წამოავლო სებამ ხელი.

– გაგიჟდი კაცო?! ხო იმ წუთას გაგაციმბირეს!

– აბა, მა რა ვქნათ?

– იქნებ გადავსახლდეთ – თქვა ქალმა.

საგონებელში ჩავარდა ცოლ-ქმარი.

– იქნებ ვთხოვოთ მთავრობას რო სხვაგან გადადგან ძეგლი.

– გვეტყვიან, თქვენ გადასახლდითო.

დალონდნენ...

დალონდნენ...

ეგრე ადვილია გადასახლება?

ლამ-ლამობით ძეგლის საძირკვლის ჩამონგრევა დაიწყო სებამ და ერთ წვიმიან, ჭექა-ქუხილიან ღამეს წამოაქცია ძეგლი.

იმ ღამეს დაიბადა ბაღლი.

დილით მოცვივდნენ კომუნისტები და ძლივს წამოაყენეს ძეგლი, რომელიც დაცემისაგან ახლაც შუაზე იყო გადამტვრეული.

გადარჩა შულლიანთ სება. ერთი კი შეუღრინა თავმჯდომარემ, ეტყობა საქონელს უშვებ ძეგლთან ახლოსო, მაგრამ ეჭვი ვერ აიღეს მასზე, ქარიშხალს დააბრალებს ეს ამბავი.

სამირკველი ჩააბეტონეს და შელესეს ჩამონგრეული ადგილები.

გალაღებული იყო შულლიანთ სება.

ძეგლის შემკეთებლები სახლში დაპატიჟა და გვიან ღამემდე სიმღერის ხმა გამოდიოდა მისი სახლიდან.

...

მეორედ გაიქცნენ რუსები პირიმზის მოედნიდან.

ამჟამად კომუნისტები გაიქცნენ.

ადრე თუ ბასტიონი დატოვეს წარსულის ნაშთად, ამჟამად ლენინის ძეგლი მიატოვეს, რომელსაც იმ წუთას ჩამოეკიდნენ ბაღლები გაშვერილ ხელზე და ძირს ჩამოაგდეს.



ხალხს ჯერ კიდევ ჰქონდა ძეგლის შიში და აპირებდნენ ძეგლის აღდგენას, მაგრამ ვიღაცამ გადამალული სტალინის ზედატანი გამოაჩინა და ის დაადგეს.

ლენინის თავი შულლიანთ სებამ შეინახა; მაშინ უკვე ფიქრობდა მუზეუმის მოწყობაზე და ასეც უთხრა ხალხს:  
– ეს ძეგლიც ისტორია არის. რაც არ უნდა იყოს, ისტორიას სად გავექცევით, ძალიანაც რო გვინდოდეს, ვერ დავმაღავთ, ისტორიის დამალვით რა ხეირს შევეყრებით, ავაშენოთ მუზეუმი და ე ლენინის თავიც იქ შევინახოთ.

– ერთი შენც მოგცლია! – ისევ გაბრაზდა აპარეკაი – აღარ გახსოვს მაგის გულისთვის რა ხალხი წაიყვანეს?

– რას იზამ, აეგეთია ეს ცხოვრება! – დანანებით ჩაილაპარა შულლიანთ სებამ და მინდორში დაგდებული ძეგლის თავი საბძელში შეათრია.

...

ადრიან გაზაფხულზე დაიწყო შულლიანთ სებამ მუზეუმის საძირკვლის გათხრა, მანამდე კი მთელ ზამთარს გუდამაყრის სოფლებში დადიოდა და სამუზეუმო ნივთებს ეძებდა, თან ხალხს ეხვეწებოდა: მომეხმარეთ ხალხო, ამაშენებინეთ შენობა, შთამომავლობას მუზეუმი მაინც დავუტოვოთ.

გუდამაყრელები ალმაცერად უყურებდნენ სებას და როცა მან შენობისთვის საძირკველი

გათხარა და არაგვის ჭალაზე სამშენებლო ქვების შეგროვება დაიწყო, ვილაცამ თქვა: – ერიჰაა! მე მგონი სებაი გასაფრენად ემზადება.

სებაის უმცროსმა ბიჭმა მეზობლის ნათქვამს ყური მოჰკრა და როცა ქვების შეგროვებით დაღლილი მამა შინ დაბრუნდა, შვილმა ჰკითხა: – სად უნდა გაფრინდე მამავ?

– სად უნდა გავფრინდე?! – გაიკვირვა სებამ.

– რა ვიცი, გამიხარდამ თქვა, გაფრენას აპირებსო.

– ეეჰ, ადრე თუ გვიან ყველანი გავფრინდებით; რას იზამ, აეგეთია ეს ცხოვრება! – ჩაილაპარაკა სებამ.

ბიჭმა ვერაფერი ვერ გაიგო.

დღე და ღამე მუშაობდა სებაი.

დანაზოგი ფულით ცემენტი და სახურავის თუნუქი იყიდა. მეტყევემ ჯარიმის ქვითარი თვითონ მოუტანა სახლში, თან ხმამაღლა ყვიროდა: – ვინ გაპატიებს, ვინ გაპატიებს ამოდენა ხე-ტყის მოჭრას, რომელი მთავრობა გაპატიებს.

– კაცო, მარტო ჩემთვის ხო არ მინდა, ისტორიისთვის მინდა, რაღაცა ხო უნდა დარჩეს ჩვენგან ისტორიას.

– რი ისტორია, რა ისტორია?! ისტორია არ ვიცი მე! თუ ჯარიმას დროზე არ გადაიხდი, მამის სული ნუ წამიწყდება, მილიციას დაგაყენებ თავზე.

მილიციის ხსენებაზე შეკრთა სებაი. ბაღლობიდან ამ სიტყვის ხსენებაზე შიშის კანკალი ემართებოდა.

ახლაც ის დღე გაახსენდა, მილიცია რომ დაეცა თავს მათ ოჯახს და მამამისი ხელმეორედ გააციმბირეს.

– კარგი, ჰო, ნულარ ქოთობ, გადავიხდი ჯარიმას – თქვა სებამ და ბიჭს გასძახა – წადი ბიჭო, ხარი ჩამაიყვანე!

შვიდი წლის ხარი გაყიდა სებამ და იმით გადაიხადა მეტყევის ჯარიმა.

– რას შვრები, კაცო, მუზეუმის გულისთვის უნდა დააქციო ოჯახი?! – შეუტია ცოლმა.

– რას იზამ, აეგეთია ეს ცხოვრება! – ნაღვლიანად თქვა სებამ და შენობის საძირკველში ბეტონის ჩასხმა დაიწყო.

სამი-ოთხი დღე ბეტონს გამაგრება აცადა, არ დაუწყია კედლების მშენებლობა, სტრაფილებს და კოჭებს თლიდა

ამ ხნის განმავლობაში. ქვა გასულ კვირას მოზიდა მეზობლის მანქანით და იმანაც ფული გამოართვა ამაში.

– შენთვის რო იშენებდე სახლს, ვინ მამაძალი გამოგართმევდა ფასს, – ჩაილაპარაკა მანქანის მძღოლმა დამნაშავესავით, – რა ვქნა, მანქანასაც მოვლა უნდა, ბენზინი უნდა, ნაწილები უნდა, შენც რა მუზეუმი აიჩემე, ვის რად უნდა, ხო ხედავ ახალგაზრდები აქ აღარ ჩერდებიან, ე ბებრებს კიდევ საიქიოშიც გვეყოფა მუზეუმში ყოფნა. ჩაჰყრიან ჩვენ ძვლებს ცივ სამარეში და მუზეუმშიც ეგ იქნება და საიქიოცა.

– აი, იმ გორგასლის ნაგზევს ხო ხედავ, – ხელი გაიშვირა სებამ ძველი ნაგზევისაკენ.

– ვხედავ, მერე?

– არ გიხარია?

– რა უნდა მიხაროდეს?!

– იმ გზაზე რომ ვახტანგ გორგასალი დადიოდა თავისი ჯარით.

– ეეე, ეგ როდის იყო!

– ხო იყო.

– რა ვიცი, იყო? მე რომ არ მინახავს?

– გზას კი ხედავ?

– გზას კი ვხედავ, მაგრამ...

– ჰოდა მაგ გზაზე თავისი ჯარით მიმავალი გორგასალიც წარმოიდგინე და ეგ იქნება.

მძლოლი დაფიქრდა, თან გზას გაჰყურებდა.

– მგონი ვხედავ! – თქვა მან ცოტა ხნის მერე.

– აგაშენა ღმერთმა. აეს მუზეუმიც მაგიტო მინდა, რო საუკუნეების მერე შევიდნენ შიგნით ჩვენი მომავლები და დაგვინახონ.

– აი, ეს ფული სხვა რამეში გამოგადგება, – ჯიბიდან ფული ამოიღო მძლოლმა და სებას ჩაუდო ხელში, – ქვა თუ დაგაკლდეს კიდევ მოგიტან.

მერე ძლივს დაქოქა მანქანა და ღმუილით გაუყენა არაგვის ნაპირზე მიმავალ გზას.

...

ივლისის ბოლოს კედლების მშენებლობა მოამთავრა სებამ. ზემოდან, ისევ, ბეტონის სარტყელი შემოავლო სიმაგრისათვის და ხის კოჭები დააწყო.

კოჭებზე სახურავის ჩონჩხი წამოჭიმა.

ლურსმნებისთვის კიდევ დასჭირდა ფული და კიდევ გაუყიდა ცოლ-შვილს მარჩენალი ძროხა.

– სულ გაგიჟდი, კაცო?! ამ ბაღლების ცოდვას მაინც სად წაუხვალ, მე თუ აღარად მაგდებ. სათიბზე შენ არ დადიხარ და სახლის საქმე შენ აღარ გახსოვს. ააშენე, ააშენე, გაყიდე ყველაფერი რაც კი რამ სახლში გვაბადია, შაგვრეკე მერე ჩვენც შიგ და კედლებზე ჩამოგვკიდე, მაინც მიმშოილით გავწყდებით შენი გადამკიდე, – ტირილით ამბობს ცოლი.

– რას იზამ, აეგეთია ეს ცხოვრება!

– რაღა მარტო შენთვისაა ეგეთი და სხვისთვის სხვანაირი. ვერა ხედავ, მთელი ქვეყანა შენ დაგცინის, ცოლ-შვილი მშოიერი უწყდება და ეგ კიდევ მუზეუმს აშენებსო. ნეტავი ვინ დამწყევლა, იმ ჩემი ცოდვით სავსემა, რა დროს მუზეუმია, კაცოო! შენ გარდა, სხვა აღარავინა ცხოვრობს ამ გუდამაყარში, რო ყველა თავისთვის ზრუნავს, ვის რაში სჭირდება ეს შენი მუზეუმი, აბა დაფიქრდი.

სებაი დაფიქრდა.

– რას იზამ, ეგეთია ეს ცხოვრება! დღეს არ სჭირდებათ, ხვალ დასჭირდებათ, – თქვა სებამ ფიქრის მერე.

– ფანჯრები რატო არ გაუკეთე, სებავ, ამ მუზეუმსა, ჰა? – ჰკითხა მეზობელმა, რომელიც ცოლ-ქმრის კამათს შემოესწრო და ამდენ ხანს ჩუმად ათვალთქმობდა შენობას.

– ფანჯრები არ უნდა. აგე, საჰაერო ერდოები ხო აქვს, იქიდან შევა ჰაერი და მზის სხივი. ფანჯრები სიმყუდროვეს დაუკარგავს ნივთებს, – აუხსნა მეზობელს სებამ.

– ნივთებს რაღა სიმყუდროვე უნდათ, თვალები იმათ არა აქვთ და ყურები. მკვდარი ისედაც მყუდროდ არა წევს სამარეში? ფანჯრებიდან დღის სინათლე შემოვა და ვისაც მუზეუმის დათვალთქმობა მოუნდება, ნათელ ოთახში უფრო კარგად არ დაინახავს ნივთებს?

– ხო გითხარ, სინათლე და მზის შუქი ერდოებიდან შემოვა-მეთქი. ეს შენობაც ძველებურ წესზე ავაშენე. ძველად სად იყო ფანჯრები. სიმყუდროვე კი საჭიროა, წარსული რომ უფრო კარგად დაინახო. აწმყო ურცხვად არ უნდა შემოგყურებდეს ფანჯრებიდან, სიმყუდროვეა საჭირო. თანაც ფანჯრები დიდ ადგილს დაიჭერენ, რამდენი რამე უნდა დავკიდო კედლებზე. კედლები თუ ფანჯრებს დავუთმე, სახლი გამოვა, მუზეუმი კი არა.

– ხოო, შენც მართალი ხარ.

– გადახურვაში მაინც გამიმართეთ ხელი, რა პირი შეჰკარით.

– სათიბზე თუ არ წავედი, ან რამე სხვა საქმე თუ არ გამომიჩნდა, მოგეხმარები, – შეჰპირდა მეზობელი, მაგრამ ამაოდ, გადახურვითაც მარტომ გადახურა სებამ მუზეუმი, შვილებიც კი აღარ მიხმარებიან, ისინი დილაუთენია მიჰყვებოდნენ დედას სათიბ-სახვეტზე და რო ბინდდებოდა, მაშინ ბრუნდებოდნენ სახლში.

ბოლოს ლუკმა-პური ენატრებოდა სებას.

მაინც მუშაობდა.

მაინც გადახურა მუზეუმი.

კარი შეაბა და ურდული დაუყენა შიგნიდან.

გარედან კლიტე შეაბა.

არაგვში გაღმა გავიდა, გორგასლის ნაგზევზე ჩამოჯდა და იქიდან გამოხედა შენობას.

პირიმზის მოედანზე ლამაზად იდგა მუზეუმი.

შვებით ამოისუნთქა შულლიანთ სებამ.

გული დაუმშვიდდა.



უფრო ახლოს იგრძნო წარსული და ისე გახედა ხეობის  
სიღრმეში ჩაკარგულ ძველ ნაგზევს, თითქოს მართლა  
გორგასლის გამოჩენას ელოდა.

მზე ჩადიოდა და გუდამაყრის მთებს მწვერვალებისაკენ  
მოუყვებოდნენ ნაგრილები.

...

არც ისე ადვილი გამოდგა წლების განმავლობაში  
ნაგროვები ნივთების მუზეუმში განაწილება, იმდენი  
რამე ჰქონდა სებას საბძელში შენახული, როცა ისინი  
მუზეუმში გადაიტანა, შეეშინდა, მოეჩვენა რომ  
ექსპონატების ნახევარიც არ დაეტეოდა მუზეუმში;  
ამიტომ ყველაფერი ერთმანეთის გვერდით დაალაგა  
დარბაზში და თვითონ ძველებურ ტახტზე ჩამოჯდა.  
ყველაფერი ერთმანეთში იყო მის თვალწინ არეული.

ფიტულები: დათვის, ჯიხვის, არწივის, სვავის,  
ფოცხვერის, კურდღლის, არჩვის, კვერნის, მაჩვის, წავის,  
ორბის, ქედანის და კიდევ იმ ცხოველების და  
ფრინველების, რომლებიც გუდამაყრის ხეობაში  
ბინადრობენ.

საომარი იარაღები: ხმლები, ხანჯლები, თოფები,  
მშვილდ-ისრები, ფარები, ჯაჭვები, შუბები.

ქალისა და კაცის ტანსაცმელი.

ცხენის შეკაზმულობა.

სამუშაო იარაღები.

შექვარტლული ფანდური

და

ათასი კიდევ სხვა, ჩაჟანგებული და შემურული ნივთები.

იმათ შორის: რუსი ჯარისკაცის შინელი, ჩექმები,  
კომუნისტების ნაქონი გარდამავალი დროშა და კუთხეში  
დაგდებული ლენინის ძეგლის ზედა ტანი.

ეს ყველაფერი ერთმანეთში იყო არეული და დალაგებას  
ითხოვდა.

გუშინ გარედან აბრა გაუკეთა სებამ მუზეუმს და ზედ  
თეთრი საღებავით დააწერა: გუდამაყრის მუზეუმი!

მანამდე კი პირიმზის ეკლესიაში სანთელი აანთო და  
შეევედრა: – ღმერთო, დალოცვილო!

დიდო პირიმზევ, ფუძის ანგელოზო!

თქვენ მოუმართეთ ხელი გუდამაყრის მუზეუმს.

კეთილი ანგელოზი დაუმკვიდრეთ. ავი თვალი აშორეთ  
და სიმშვიდე მოჰფინეთ.

შემეწიე დიდო პირიმზევ, ხელი მომიმართე რო სატანის ნაქონი ნივთი არ შევიტანო შიგნით.

სალოცავიდან დაბრუნებულს აპარეკაი შემოხვდა წინ.

– უდღეო დღეს ხატში რაისთვის ასულხარ სებავ?! – გაიკვირვა აპარეკამ.

– მუზეუმი შევახვეწე დიდ პირიმზევს, დაილოცოს იმის ძალი, – თქვა სებამ.

– მუზეუმი გვიშველის აი, სწორედ. ვერა ხედავ არაგვი რას შვრება, გაზაფხულს აქეთ ანგრევს და ანგრევს მინდორს, სადაცაა სოფელს ჩააგდებს. აღარცვინ ჯებირის გამაგრებაზე ფიქრობს, ხალხს აქეთ-იქით გაქცევაზე უჭირავს თვალი. ესე თუ გაგრძელდა, სოფელსაც წაიღებს და იმ შენ მუზეუმსაც თან მიაყოლებს.

– არა მგონია, ვერ წაიღებს!

– ვითომ რატო ვერ წაიღებს, ადიდებულ წყალს რა დაუდგება წინ.

– ღმერთი, ღმერთი არ გაატანს.

– სწორედაც რო ღმერთი გაატანს. სალოცავი მინდორი რო ძეგლებითა და საქონლის ფერმებით გაივსო, იმ

ადგილს ღმერთი რაისთვილა დაიფარავს. სწორედ რო ღმერთის ძალითა და ნებით ანგრევს არაგვი ამ მინდორს, აგე, გადავარდნაზეა უკვე კოლმეურნეობის კანტორა.

– მუზეუმმა რაღა დააშავა?!

– ღმერთის მინდორზე არც მუზეუმია საჭირო და ის დააშავა, – თქვა აპარეკამ და გასცილდა სებას.

– არა მგონია, არა მგონია, რაც არ უნდა იყოს, თავის მინდორს არ გასწირავს ღმერთი, – ხმამალალი ფიქრით თავი დაიმშვიდა შულლიანთ სებამ და მდინარეს გადახედა.

არაგვი მართლა გულდაგულ ეხეთქებოდა პირიმზის მინდორს და ნელ-ნელა უთხრიდა ძირს.

– არა მგონია, არა მგონია! – ახლა უკვე გულში გაივლო ეს ფიქრი სებამ და მუზეუმისაკენ წავიდა. საბძელში შეგროვილი ნივთები მუზეუმში გადაიტანა და ახლა იქ ზის, ფიქრობს სად რა დადოს, რომელი ნივთი, რომელ კედელზე ჩამოჰკიდოს, რომელი რომლის გვერდით იქნება უფრო საინტერესო სანახავი.

ძველებურ ტახტზე ზის სებაი. ერდოებიდან მზის სხივი შემოდის და კედლებს ანათებს.

აღმოსავლეთის კედელზე დიდი ფარდაგი ჩამოჰკიდა სებამ.

ერდოებიდან ირიბად შემოჭრილ მზის სხივებში ნაირ - ნაირ ფერებად აელვარდა ძველებური ფარდაგი, რომელზედაც საქართველოს რუკა იყო ამოქარგული. ამ რუკაზე გამოკვეთილად ამოქარგნა მქსოველს გუდამაყრის ხეობა: მთები, ტყეები, ყანები, აქა-იქ ცხენებზე ამხედრებული გუდამაყრელები, კედლებზე გადმომდგარი ჯიხვები და უზარმაზარ წიფლის ხეებს შორის თეთრად მოელვარე პირიმზის სალოცავი წინ დიდი მინდვრით, რომელზეც ამოქარგულია რუსული ბასტიონი, ბასტიონის შიგნით კი ლენინის თუ სტალინის ძეგლი, ხეობაში შავი ძაფით ამოქარგული შავი არაგვი.

თითქოს გაცოცხლდა ფარდაგზე ამოქარგული საქართველოს რუკა; მზის სხივებმა გააცოცხლეს, იდუმალემა და მარადიულობა შესძინეს ყოველ ფერს.

ფარდაგის ოთხივე კუთხეში ჯვრები ამოქარგა მქსოველს.

სებამ ხმალი, ხანჯალი და ფარი ჩამოჰკიდა ფარდაგის შუაგულში. ეს ხმალი დიდი წვალეებით წამოიღო ათნოხიდან სებამ. გადმოცემით ეს ხმალი სამასი

არაგველის მედროშეს, ნინია აფციაურს ეკუთვნოდა და მუზეუმში ჩამოსაკიდებლად არ აძლევდნენ სებას.

სამი წლის განმავლობაში ეხვეწებოდა ხმლის მეპატრონეს და ძლივს დაიყოლია, ძლივს გამოართვა. ვერ წარმოედგინა სებას მუზეუმი ამ ხმლის გარეშე და მართალიც იყო, თუკი რამე საქვეყნო და საისტორიო გაუკეთებიათ გუდამაყრელებს, ეს მათი ბრძოლა იყო კრწანისის ველზე. თუკი ვინმე მოსახელე ჰყავდათ, ეს არაგველების სახელოვანი მედროშე, გუდამაყრელი ნინია აფციაური იყო, ათნოხელი ნინია აფციაური, რომლის ხმალიც ახლა ჩამოჰკიდა სებამ ფარდაგზე ამოქარგულ საქართველოს რუკაზე.

ხმალიც უცნაურად აელვარდა მზის სხივებში.

ხმალსაც იდუმალი სიცოცხლის სუნთქვა ჩაუდგა.

ამ კედელზე სულ სახელოვანი ხალხის ნაქონი ნივთები ჩამოჰკიდა სებამ. დანარჩენი ნივთები სხვადასხვა კედლებზე გაანაწილა. ცხოველებისა და ფრინველების ფიტულები კედლების გაყოლებით დადგა.

დაიღალა.

ტახტზე ჩამოჯდა.

ერდოებიდან ჩამავალი მზის სხივები შემოდის და ისე ანათებდა ფარდაზე ამოქარგულ რუკას, რომ სებას მოეჩვენა, მთელი საქართველო ამ ერთ მუზეუმში იყო თავმოყრილი. თითქოს აქ იყო წარსული, უმოქმედო აწმყო და გაურკვეველი მომავალი, რომელიც ერდოებიდან მზის სხივების სახით შემოდის შიგნით.

ერთ-ერთი ერდოდან შემოჭრილი მზის სხივი იმ ადგილას ეცემოდა, სადაც მქსოველს სვეტიცხოველი ამოექარგა ფარდაზე. უცნაური შუქით ბრწყინავდა სვეტიცხოველი.

სებაი წამოდგა, სვეტიცხოვლის წინ ძველებური შანდალი დადგა, ზედ სანთელი აანთო და დაილოცა: – ადგილის დედავ, შენ დაიფარე ეს მუზეუმი!

მერე ისევ ტახტზე ჩამოჯდა და დიდხანს ათვალიერებდა მუზეუმს. ერდოებიდან შემოჭრილი მზის სხივები ნელ-ნელა ქრებოდა და მუზეუმის უსულო ბინადარნი ბინდ-ბუნდში იძირებოდნენ.

სებასაც ძილი მოერია და ტახტზე გადაწვა.

გარედან შვილებმა მოაბრახუნეს კარზე, მაგრამ სებამ ვერ გაიგო, ღრმა ძილით ეძინა, კარი კი ურდულით ჰქონდა შიგნიდან ჩაკეტილი.

...

შუალამისას უცნაურმა ხმაურმა გამოაღვიძა შულლიანთ სება. ტახტზე წამოჯდა და კარგა ხანს ვერ მიხვდა რა ხდებოდა მუზეუმში.

ერდოებიდან მთვარის შუქი შემოდის და ამ მკრთალ შუქზე ჩანდა, თუ როგორ მიიწევდნენ აღმოსავლეთის კედლისაკენ სამუზეუმო ნივთები. აღარც კი ეტყობოდა ფარდაზე ამოქარგული საქართველოს რუკა, ბარიდან და ნიჩბიდან დაწყებული, ყველაფერი ზედ იყო ახორხლილი. იყო ერთი გაუთავებელი ღრიანცელი და ლანძღვა-გინება. ექსპონატები ადამიანის ხმაზე ლანძღავდნენ ერთი-მეორეს.

ამის დანახვაზე, ისე შეეშინდა სებას, ტახტის კუთხეში მიიყუჩა და აღარ იცოდა რა ექნა.

– მოიცათ, მოიცათ, რა დაგემართათ?! ყველანი რო ამ ფარდაზე ჩამოვეკიდოთ, ვერ გაგვიძლებს, ჩამოწყდება, – ხმამაღლა იძახდა ფარი და იერიშზე წამოსულ ნივთებს იგერიებდა.

– შენ რო ფარდაზე და გამოსაჩენ ადგილას ხარ გამოჭიმული, ვაჟბატონო, ჩვენც გვინდა მანდ ყოფნა! – შეუტია არყის ტიკმა.



– ხო უნდა იცოდეთ, ვის გეკუთვნით და ვის არა ამ კედელზე ყოფნა! – იმახდა ნინია აფციაურის ნაქონი ხმალი.

– შენ თუ გეკუთვნის, ჩვენ რატომ არ გვეკუთვნის?! ჩვენ რა, შენზე ნაკლები მამულიშვილები ვართ? შენზე ნაკლებად გვიყვარს მამული? კი ბატონო, არავინ არ გიკარგავს ამაგს, დიდი სისხლი დაღვარე კრწანისში საქართველოსათვის, მაგრამ რა მერე? მოიგეთ ის ომი თუ რა?! – შეუტია ხმალს დიპლიპიტომ.

– დიპლიპიტო, ხმა ჩაიკმიდე, თორემ აგკაფავ, ხვთის მადლმა! – ჰაერში გაიშხულია ხმალმა.

შეშინებული დიპლიპიტო დოღს ამოეფარა, რომელიც ფარდაგზე აგორებას ცდილობდა და ბრაგა-ბრუგი გაუდიოდა: – არავიზე ნაკლები არა ვარ, არავიზე! – იმახდა გაგულისებულ დოღს – რაც მე ქართველები მიცეკვებია ქორწილებში და დღეობებში, იმის ღირსი აღარა ვარ, რო ფარდაგზე ვიყო გამოსაჩენ ადგილას ჩამოკიდებული, ჰა?!!

– არა, ყანწზე ნაკლები რითი ვარ?! გამაგებინეთ, ყანწზე ნაკლები რითი ვარ? ეგ უნდა ფარდაგზე ეკიდოს და მე კუთხეში ჩამჭყუნონ, – ყვირით მიფოფხავდა ფარდაგზე წისქვილის სარეკელა.

- ჩემგან რა გინდა, სარეკელავ, ენა ჩაიგდე მუცელში, – გაბრაზდა ყანწი.
- შენზე ნაკლები რითი ვარ, რო მანდა ხარ გამოჭიმული?!
- ეე, ბიჭო, როგორ ელაპარაკები ყანწს! – შეუტია ხელადამ სარეკელას.
- როგორც გესმის, ისე ველაპარაკები!
- ეე, ბიჭო! – სარეკელასკენ გაიწია ხელადამ.
- იქით გაიწი, თორეე!
- რო არ გავიწიო, ვის რა ფეხებს მოსჭამ?
- გაიწი, თორე თუ ჩაგცხე!
- ხმა ჩაიკმიდე, ბიჭო, ეე! – წამოიძახა ხელადამ, მაგრამ აღარ აცადა სარეკელამ, ისეთი ჩასცხო, ნამსხვრევებად იქცა ხელადა.
- რა ქენი, მე შენი! – გაექანა სარეკელასაკენ არყის ტიკი. ატყდა საშინელი ჩხუბი. ვინ ვის ურტყამდა, აღარ გაიგებოდა.
- არ გამამწაროთ! არ გამამწაროთ! – იძახდა დათვის ფიტული და ტორებით იგერიებდა დანარჩენ ფიტულებს.

– ჩამოწყდება ხალხო ფარდაგი! ჩამოწყდება  
საქართველო! – შეშფოთებული იძახდა

წიგნი, რომელშიც ვეფხისტყაოსანი იყო დაბეჭდილი და  
ფარდაგზე გამოსაჩენ ადგილას მიამაგრა სებამ ძაფებით.

– წადი, შენი! აღარ გეყო ამდენი პირველობა! – ტორი  
მოუქნია დათვის ფიტულმა და ძირს ჩამოაგდო წიგნი.

ამ დროს იჭექა თოფმა, რომელიც ფარდაგზე ეკიდა.

თოფის ხმამ იქაურობა გააყრუა და კვამლი რო გაიფანტა  
თოფმა თქვა: – თუ არ მოისვენებთ, იცოდეთ კიდევ  
ვიჭექებ!

შემინებული ნივთები კუთხეებში მიიყუჩნენ.

– რა ყველას ფარდაგზე კონწიალი მოგინდათ?!

– თქვენ თუ აკონწიალიხართ, ჩვენ რა დავაშავეთ? –  
შეეპასუხა თოფს სადგისი.

– სადგისო, შერჭობა-გამორჭობის მეტი რო არაფერი  
გიკეთებია, დაეტიე შენ ადგილას, არ მასროლინო! –  
მუქარით უთხრა თოფმა.

– შერჭობა-გამორჭობა რატოა არამამულიშვილური  
საქმე? – არ გატყდა სადგისი.

– გეუბნები არ მასროლინო-მეთქი, თორე ისეთ ადგილას შეგარჭობ, სებაიც ველარ გამოგადრობს იქედან! – მუქარას მოუმატა თოფმა.

– აბა, მაშ მთელი ცხოვრება კუთხეებში გავატაროთ? – სადგისს წამოეშველა ფიწალი.

– დაეტოთ ყველანი თავ-თავის ადგილზე.

– როდემდე უნდა ვიყოთ მიჩქმალულნი და თქვენ გამოჩინებულნი, ჰა? ჩვენც გვინდა ფარდაგზე ყოფნა, აღარ მოვიდა ჩვენი დრო? – წინ წამოიწია მაჩვის ტყავმა, რომელიც არც ფიტულს ჰგავდა და უფრო ტყავი იყო.

– შენი ადგილი იცოდე! – შეუტია თოფმა.

– რას მაშინებ რა, თოფი რო ხარ იმიტო ხარ დიდ გულზე?

– ერთხელ ხო გაგაგორე, მეორედ არ გამაგორებინო თავი,  
– თქვა თოფმა და ლულა მიუშვირა ტყავს.

შეშინებული მაჩვი კუთხეში მიიყუჯა.

– დაბრუნდით თქვენ-თქვენ კუთხეებში, – ახლა დანარჩენებს მიუბრუნდა თოფი.

შეშინებული ნივთები კედლებს დაუბრუნდნენ, მაგრამ რამდენიმე ფიტული და ნივთი არ დანებდა თოფის

ბრძანებას, გუნდ-გუნდად შეიკრიბნენ და აყვირდნენ: –  
ძირს თოფი!

– ძირს ხმალი!

– გაუმარჯოს დემოკრატias!

თოფი ხან რომელ გუნდს მიეჭრებოდა და გაშლიდა  
ქუხილით, ხან რომელს, მაგრამ აქა-იქ ისევ  
იკრიბებოდნენ და ყვიროდნენ: – ძირს თოფი!

– ძირს ხმალი!

– ძირს ტირანია!

– გაუმარჯოს დემოკრატias!

ისინი მიიწევდნენ აღმოსავლეთის კედლისაკენ და  
ადგილებს იკავებდნენ ფარდაგზე ამოქარგულ  
საქართველოს რუკაზე.

სებამ თვალი მოჰკრა ერდოდან, რომ პირიმზის  
მოედანზე შემორჩენილი რუსული

ბასტიონიდან რუსი ჯარისკაცების აჩრდილები  
გამოვიდნენ, ერდოებიდან მუზეუმში შემოძვრნენ და  
აჯანყებულ ნივთებს მიეხმარნენ თოფის ჩამოგდებაში.

მერე ისევ ჩუმად გაიპარნენ აჩრდილები და ბასტიონს  
შეაფარეს თავი.

ხის ორთითამ, რკინის ფიწალმა და ჟანგიანმა სადგისმა დაიკავეს ფარდაგის შუაგული. იმათ აქით-იქეთ დანარჩენმა ნივთებმა იწყეს განლაგება.

– ეე, ეეე! ეგრე არ არის, – იყვირა ორთითამ, – ეგრე არ გამოვა, დემოკრატია იმას კი არ ნიშნავს, ყველანი ისევ ამ ფარდაგზე ამობობდეთ!

– ყველამ თავისი ადგილი იცოდეთ, დემოკრატიაშიც და ქეიფშიც! – შუაგულ ფარდაგზე აბობლდა არყის ტიკი.

– ხუნტა! ხუნტა! – ყვიროდნენ თოფის მომხრეები.

რკინის ფიწალი გამოეკიდა მათ და მიმოფანტა.

– მომისმინეთ, ერთი წუთით მომისმინეთ! – დაიწყო ორთითამ სიტყვის თქმა.

– რა უნდა მოგისმინოთ, ჩვენ ჩამოგვყარეთ და თქვენ დაიკავეთ საუკეთესო ადგილები! – მუზეუმის კუთხიდან წამოიძახა ფარმა.

– ჩვენ არავის თავს არ ვახვევთ ჩვენ აზრებს, მაგრამ ეგრე არ გამოვა, ვისაც გინდათ რო დემოკრატიულად იცხოვროთ ამ მუზეუმში, კეთილი ინებეთ და იცხოვრეთ იმ კანონებით, როგორსაც დემოკრატია მოითხოვს.

- როგორც სებამ გაგვანაწილა, ჯერ ისე დავლაგდეთ და მერე გადავწყვიტოთ კანონების შემოღება! – ისევ დაიძახა კუთხეში მიგდებულმა ფარმა.
- წარსულს მოეშვი, ტო, ეხლა სხვა დროა. ჩავატაროთ არჩევნები და ავირჩიოთ ღირსეული ხალხი.
- ეგ არ გამოვა! – იყვირა კუთხიდან დოღმა.
- რატო არ გამოვა? – შეეკითხა სადგისი.
- იმიტომ რომ ორთითას კი არ უნდა დავუჯეროთ, თოფი დავაბრუნოთ თავის ადგილზე და იმან გადაწყვიტოს.
- თოფი არ იყო რო აგვრივ-დაგვრია! – წამოიძახა დათვის ფიტულმა.
- აბა, მა რა ვქნათ, დავჭამოთ ერთმანეთი? – წინ წამოდგა სასწორი.
- ისეთი ვინმე ავირჩიოთ ხელმძღვანელად, რომელიც არც ორთითას მხარეს იქნება და არც თოფის.
- ვინ არის ეგეთი? – წამოიძახეს ნივთებმა აქეთ-იქიდან.
- არწივი! – კანდიდატი დაასახელა ნიჩაბმა.
- ქორი! – თქვა გუთანმა.

– დათვი! დათვი! – წინ გამობაჯბაჯდა დათვის ფიტული.

– ხალხო, მომისმინეთ! – პირი დაალო ქვევრმა. ყველამ მას შეხედა. ქვევრი შუაგულ მუზეუმში გამოგორდა და თქვა: – ნათქვამია, ქვევრს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებსო და რასაც დღეს ყოველი თქვენგანის გულისხმა ჩამომძახის ის მინდა ამოგძახოთ, თუ ყურს დამიგდებთ, თუ არა და არაფერსაც არ ვიტყვი.

– თქვი, ქვევრო, თქვი! – გაამხნევა ორთითამ.

– დღეს ჩვენს მუზეუმს ჭკვიანი ხელმძღვანელი სჭირდება. ამას თქვენ ყველანი გრძნობთ

და კანდიდატურებსაც ღირსეულს ასახელებთ, მაგრამ ერთი რამ გავიწყდებათ: არწივსაც, ქორსაც, დათვისაც სიეშმაკე აკლიათ; ხელმძღვანელს კი ეშმაკობა ისევე ესაჭიროება, როგორც სიბრძნე. ჩვენი ხელმძღვანელი მოქნილი და მოხერხებული უნდა იყოს, როგორც შინაურ საქმეებში, ასევე საგარეოში. ისეთი პიროვნება უნდა ავირჩიოთ, რომელმაც იცის თვითოეული ჩვენთაგანის გულში რა დევს, თვითეული მტრის გულში რა დევს, უნდა იცოდეს რომელი ბუჩქის ძირას ზის კურდღელი, თორემ კარგახანს ვერ გავერთიანდებით და სულ იმის ცდაში ვიქნებით, რომელი დავიკავებთ



ფარდაგზე ადგილს. ჩვენ ხელმძღვანელს ქვეყნის მართვის გამოცდილება უნდა ჰქონდეს ყველაფერთან ერთად.

– ვინ არის ეგეთი, ჰა?! – ჩაიბუტბუტა დათვმა.

– გეტყვით, რაც თქვენმა გულისხმამ ჩამომძახა, იმას ამოგძახებთ, – თქვა ქვევრმა.

– ამოგვძახე, ამოგვძახე! – წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

– მელია! – ამოსძახა ქვევრმა.

ატყდა ჩოჩოლი.

– სად არის მელია? სად არის მელია? – იძახდნენ ნივთები და ფიტულებში დაეძებდნენ მელიას.

– მელია აქ არ არის, არა! – უკმაყოფილოდ ბურტყუნებდა დათვი.

– მელია არ იყო, რო ამოგვაგდო? – დაიძახა ფარმა.

– ეგ ადრე იყო, ეხლა სხვა დროა! – წინ წამოდგა ორთითა.

– ვთხოვოთ სებას და ის მოიყვანს მელიას, – აზრი გამოთქვა სადგისმა.

– ვთხოვოთ, ვთხოვოთ! – დაეთანხმნენ ზოგიერთები სადგისს.

– არა, არა, მეღია მოღალატეა, ამოგდებს ჩვენს მუზეუმს! – ყვიროდნენ ნივთები აქეთ-იქით.

ორთითა და ფიწალი თავზე დაადგნენ სებას და სთხოვეს: – თუ გინდა მუზეუმი მუზეუმს დაემსგავსოს, რუსების ბასტიონის ჩრდილო კედელზე რო მეღიის ფიტული ჰკიდია, ის ფიტული უნდა მოიტანო, თუ არა და სუ არეულობა იქნება შენ მოწყობილ მუზეუმში.

შეშინებულმა სებამ მუზეუმის კარი გააღო და ფიტულის საძებნელად წავიდა. მთვარის შუქზე დიდხანს იბორიალა დანგრეულ ბასტიონში და როგორც იქნა იპოვა რუსების მიერ დატოვებული მეღიის ფიტული. წამოიღო და მუზეუმში შეიტანა.

რკინის ფიწალი, ხის ორთითა, სადგისი და მათი მომხრე ექსპონატები კართან შეეგებნენ მეღიის ფიტულს, წინ გაუძღვნენ და ფარდაგზე დაუთმეს ადგილი, იქ, სადაც ადრე თოფი ეკიდა.

– სატანაა! სატანაა! – ყვიროდნენ თოფის მომხრეები კუთხეებიდან.

მეღიის ფიტული აუღელვებლად ისმენდა მათ ყვირილს და გულდაგულ ათვალიერებდა მუზეუმს.

...

სიტყვა თქმული მელიის ფიტულის მიერ მუზეუმში მისი ექსპონატთა პრეზიდენტად არჩევის გამო: – მეგობრებო! მე მოხარული ვარ, რომ დიდი ხნის განშორების შემდეგ ისევ თქვენს შორის მიწევს თანაცხოვრება. ჩემს ადამიანობას, ჩემს სინდისს ვფიცავ, რომ ცოდნასა და ძალ-ღონეს არ დავიშურებ, რათა თქვენი ნდობა გავამართლო. პირობას გაძლევთ, რომ ერთი ექსპონატი არ დააკლდება ამ მუზეუმს და ერთ გოჯს ვერ მოაჭამენ ამ ფარდაგს ჩრჩილები.

– ძირს მოღალატე!

– ძირს სატანა! – დაიძახეს ზოგიერთმა ნივთებმა აქეთ-იქიდან. მელიის ფიტულმა ვითომც ვერ გაიგონა, მშვიდად განაგრძო: – ის რაც ადრე იყო, ის აღარ გამეორდება, მეგობრებო. წარსული ისტორიას ჩაბარდა. მე მიკვირს ამდენ ხანს რატომ გიდევთ აქ ლენინის ძეგლი. ვთხოვოთ სებას, გაათრიოს აქედან.

– შენ არ იყავი რომ ყოველდამე მაგ ძეგლის უკან იმალებოდე, როცა ჩემს პატრონს ქათმებს ჰპარავდი! – წამოიძახა მარხილმა.

– ზოგიერთები წარსულს ვერ ივიწყებენ, მეგობრებო. წარსულს თავისი ანგარიშები ჰქონდა. მე პირადად, გავასწორე ჩემი ანგარიშები წარსულთან და თქვენ შორის

თუ ვინმეა მარხილის გარდა კიდევ ისეთი, რომელსაც ჩემი წარსული ადარდებს, მე ვთხოვ საკუთარ გულში ჩაიხედოს ყველამ. მაშინ დრო იყო ასეთი. ყველაფერს თავის დრო აქვს მეგობრებო. მაშინ ასე იყო საჭირო და ასე ვმოქმედებდი; ახლა სხვა დროა. ახლა დემოკრატიის დროა. ძველი წყენა უნდა ვაპატიოთ ერთმანეთს, თუ გვინდა რომ მუზეუმი გვერქვას. მე პირველი გაძლევთ მაგალითს და რომ უფრო მეტად დამიჯეროთ თუ გინდათ სახელს გამოვიცვლი, მელიას მაგივრად, შელიას დავირქმევ. მგელიას დავირქმევდი, მაგრამ ეს ამბავი შეიძლება მგელს ეწყინოს მეგობრებო, მე ვფიქრობ, ისევ შელია სჯობია, დემოკრატიას ასეთი სახელები უხდება. დემოკრატია, სხვათაშორის, სალანძღავი სიტყვა არ არის. იგი თქვენი მონაპოვარია, ყველასი ერთად; თქვენ რომ ხმა არ აგემაღლებინათ, ახლაც თოფების ბათქა-ბუთქი იქნებოდა ამ მუზეუმში. დამემოწმებიან ჩემი მეგობრები: ფიწალი, სადგისი და სხვანი კიდევ, ჩემთვის თვითმიზანი არ არის ამ მუზეუმის პრეზიდენტობა. აქ ბევრი ისეთი ნივთია, მეგობრებო, თავმოყრილი, რომლებიც ჩვენ ისტორიას შეადგენენ. მორიდება და სიფრთხილეა მათთან საჭირო. რა თქმა უნდა, ყველას კუთვნილი ადგილი ეკუთვნის ამ მუზეუმში, მაგრამ თუ დემოკრატიას ვაშენებთ, მხოლოდ წარსული რეგალიები

არ კმარა. მე პატივს ვცემ ნინია აფციაურის ნაქონ ხმალს, მაგრამ სადგისსაც ხომ მიუძღვის თავისი დამსახურება. მართალია ჩვენს მუზეუმს ფანჯრები არა აქვს და გარეთ რა ხდება არ ჩანს, მაგრამ ერდოებიდან სინათლეს ვხედავ მეგობრებო, მზეს ვხედავ და მინდა დაგარწმუნოთ, რომ იმ მზის შუქი ყველას ერთნაირად გეკუთვნით. ცოტა ხანში უფრო გაკაშკაშდება ეს შუქი. ერდოდან ძველ გზასაც ვხედავ, რომელსაც გორგასლის გზა ჰქვია და პატივსაც ვცემ, ჩემი მელიად ყოფნის დროს ბევრჯერ გამივლ-გამომივლია ზედ, მაგრამ ჩვენ სხვა გზებიც უნდა ვეძებოთ, ახალი გზები უნდა ვეძებოთ, ის გზები უნდა ვეძებოთ, რომელი გზებიც სხვა საერთაშორისო დემოკრატიულ მუზეუმებთან დაგვაკავშირებს.

მე მინდა ძალაუფლება ვითხოვო, რომ მუზეუმში წესრიგი დავამყარო. ყველაფრის ნება უნდა მომცეთ. ჩემ თავზე ვიღებ ყველაფერს.

– ერთი კაცი შენ თავზე როგორღა იღებ მუზეუმის ბედს!

– იყვირა ფარმა.

– ისე ვიღებ, რომ ვთხოვ სებას და შენნაირ მოწინააღმდეგეებს დროებით აიმ კიდობანში გამოვამწყვდევინებ – სებავ, თუ შეიძლება ფარი

კიდობანში ჩადეთ დროებით ,– მიუბრუნდა სებას მელიის ფიტული.

სებამ ფარი კიდობანში ჩადო.

– აი, ასე მეგობრებო! – თქვა მელიამ და იმ დღის მერე მისი ბრძანებით ხან რომელ ნივთს ჩადებდა სებაი კიდობანში, ხან რომელს. ხმალი, ხანჯლები, ფარი, ფანდური და ვეფხისტყაოსანიც კი კიდობანში გამოამწყვდია.

სხვადასხვა კედლებზე ჩამოკიდებულ ნივთებში თავისი მომხრეები გაიმრავლა მელიამ და ისე მოაწყო საქმე, რომ ჯერ რკინის ფიწალი ჩაადებინა სებას კიდობანში, მერე ხის ორთითა და ამის შემხედვარე სადგისს ისე შეეშინდა, იმის შიშით მეც კიდობანში არ ჩამდონო, მელიის წინაშე თავი გამოიჩინა და დათვის ფიტულს შეერჭო უკნიდან.

– ვაი! – დაიღრიალა დათვმა.

– რა გაყვირებს ასე ხმამაღლა! – ჰკითხა მელიამ.

– როგორ თუ რა მაყვირებს, ვერა ხედავთ უადგილო ადგილას რო შემერჭო სადგისი.

– ვხედავ, მაგრამ საკითხავია, რატომ შეგერჭო?

– იმიტომ შევერქე, რომ პრეზიდენტობაზე დებდა თავს,  
– ნიშნისმოგებით თქვა სადგისმა.

– რა მოხდა მერე, ჩვენ დემოკრატიული მუზეუმი გვაქვს  
და ყველას უფლება აქვს კენჭი იყაროს, – საქციელი  
დაუწუნა მელიამ სადგისს.

სადგისი დათვს მოშორდა, არწივთან აიტუზა.

– მეც არ შემერქო, თორე! – ნისკარტი მოიღერა არწივმა.

სადგისი მელიის ფიტულთან მიგორდა: – ვიზეც თქვენი  
ბრწყინვალეობა მიბრძანებს, იმ წუთას უადგილო  
ადგილას შევერქობი.

– მომწონს შენი ერთგულება, მაგრამ შერქობით საქმეს  
გავაფუჭებთ. მე აქ თითქმის ყველას ვიცნობ, მაგრამ  
ზოგიერთზე მაინც მჭირდება დამატებითი  
ინფორმაციები. ჩემი აქ არყოფნის დროს ბევრი რამ  
თვალთახედვიდან გამომრჩა. ამიტომ დროებით  
შერქობა-გამორქობას თავი გაანებე და ინფორმაციები  
მომაწოდე საექვო ექსპონატებზე. პირველ რიგში  
იმათზე, ვისაც პრეზიდენტად ყოფნის სურვილი არ  
ასვენებს. განსაკუთრებით დათვზე, არწივზე და კიდევ  
იმათზე ვისაც ეს სურვილი ხმამაღლა არ  
გამოუმჟღავნებია.

პრეზიდენტის ნდობით გაამაყებული სადგისი ისე დატრიალდა მუზეუმში, მნახველს რომ არ სცოდნოდა რომ სადგისია, ციბრუტი ეგონებოდა.

## საქმე №1. დათვი

(დოსიე დათვის ფიტულზე „გუდამაყრის მუზეუმის“ ექსპონატებიდან) სიყვარულმა კბილის ტკივილიც კი გადაავიწყა დათვს. დღე და ღამე სოფლის გარშემო დაეხეტებოდა და ირემიანთ სამძივარს უთვალთვალებდა.

სიყვარულმა და უჭმელობამ ჩამოახმო საღარა. ეს სახელი დათვებმა იმიტომ შეარქვეს, რომ შუბლიდან ცხვირის გასწვრივ დრუნჩამდე თეთრი ქათქათა ზოლი ჩამოსდევდა მის რუხ- მწვანე ბალანს.

ახალგაზრდა დედალი დათვები ამაოდ ეტრფოდნენ საღარას. იგი მათ ყურადღებას არ აქცევდა, არ ესმოდა მათი გულის ბაგა-ბუგი, როცა ისინი გვერდზე აეტუზებოდნენ და ვნებიანად ადებდნენ გავაზე გავას.

საღარას ადამიანის სიყვარული ჰქონდა გულში დანთებული. ღამ-ღამობით, როცა თავის ბუნაგში შეეყუჟულს ჩასთვლემდა, მაშინაც კი მთვარესავით პირბადრი სამძივარი ელანდებოდა. გამოვარდებოდა ბუნაგიდან, დაეშვებოდა ქვემოთ, სოფლისაკენ,



მიამტვრევდა თხილიან ტყეს და კბილის ტკივილსაც კი არაფრად აგდებდა. ისე ახლოს მიდიოდა სოფელთან, იმის გადამკიდე ძაღლებს, მთელი ღამე ყეფით ხმები ჰქონდათ ჩაწყვეტილი. რამდენჯერმე თოფებითაც გამოუცვივდნენ სოფლიდან, დასჭრეს კიდეც ორჯერ თუ სამჯერ. ერთხელ წინა ფეხი გადაუმტვრიეს ტყვიით და რამდენიმე ხანს ბუნაგში ეგდო, ველარ დადიოდა, ლოკვით ძლივს მოირჩინა ჭრილობა.

მაინც სამძივარზე ფიქრობდა, მაინც მისი სახე და აშოლტილი ტანი ედგა თვალწინ. სიარული რომ შესძლო, წყაროსაკენ ჩაუყვია ტყეს და წიფლის უკან ჩამალული უთვალთვალეობდა სოფლიდან წყაროზე მოსიარულე ხალხს. აგე, სამძივარიც გამოჩნდა და იმის დანახვაზე ლამის გული წაუვიდა საღარას.

სამძივარმა კოკა წყაროს წყლით აავსო, მხარზე შეიდგა და ისევ ბილიკს გაუყვია სოფლისაკენ.

ხედავდა საღარა, რომ ადამიანები მისგან განსხვავებით ორ ფეხზე დადიოდნენ და იმდენი ეცადა, სანამ თვითონაც მათსავით ორ ფეხზე არ ისწავლა სიარული. მისი შემხედვარე დათვები გაკვირვებას ველარ მალავდნენ და როცა საღარას ორ ფეხზე სიარული

ჩვევად გადაექცა, შემოსწყრნენ: – ჩამოუშვი ფეხები, რა კაცივით დაიზღაზნები!

– გაუწყრა ერთხელ მამამისი, რომელიც ამ ტყეში მყოფი დათვების ბელადად ითვლებოდა.

საღარა მამის ბრძანებას დაემორჩილა და ჰაერში აწეული წინა თათები მიწაზე ჩამოუშვა.

– დროა ოჯახი შექმნა და შვილები გაიჩინო! – ჩაიბურტყუნა საღარას მამამ და კანკეშიან ხევს აუყვა აღმა.

საღარა ხანდახან თავის დედასაც ხვდებოდა ტყეში და ისიც ყოველთვის ერთსადაიმავეს უმეორებდა: – ოჯახი, შვილო, ოჯახი გაიჩინე, გაახილე თვალი, ვერა ხედავ რა ლამაზი დათვები შემოგტრფიალებენ. შენმა ძმამ უკვე ორი წყება ცოლ-შვილი გაიჩინა. ნუ დაეხეტები წარამარა.

საღარა ნაღვლიანად შეხედავდა ხოლმე დედას და თხილიან ტყეში ლაწა-ლუწით დაეშვებოდა დაბლა, სოფლისაკენ. ტყის პირას ჩაჯდებოდა ბუჩქებში და სამძივარის გამოჩენას ნატრობდა.

თავის ბუნაგში მარტოკა ცხოვრობდა საღარა. კლდის ძირას, ხავსიან ლოდებს შორის ჰქონდა სორო, რომელსაც გამოქვაბული უფრო ეთქმოდა, სადაც მარტო საღარა კი

არა, დათვების დიდი ოჯახი დაეტეოდა. შესასვლელი კლდის ჩამონაშალი ლოდებითა და წიფლის ხეებით იყო ამოშენებული. შიგნით თივა და ცხვრის ტყავები ეყარა. ისეთი თბილი და მყუდრო, მზისგული ადგილი იყო, მთელი ზამთარი სიცივეს ვერ გრძნობდა საღარა.

გაეხვეოდა ცხვრის ტყავებში და ეძინა. ეძინა და თან თათებს ილოკავდა დამშეული. ეძინა და ძილ-ბურანში სამძივარის სახე ელანდებოდა. დროდადრო ნალვლიანად წამოიკვნესებდა.

იქაურ დათვებს შორის ყველაზე ადრე საღარა გრძნობდა გაზაფხულის დადგომას. ოდნავ გათბებოდა თუ არა მიწა, მარტის მდინარესავით აუჩქეფდებოდა მარღვებში სისხლი საღარას, გამოვარდებოდა ბუნაგიდან და ჯერ კიდევ თოვლიან ტყეში ლაწა-ლუწით დაემშვებოდა ქვემოთ, სოფლისაკენ. ამის გამო, მამის წყრომაც დაიმსახურა: – რა დაგრჩა ი სოფელში, რა წარა-მარა იქეთ გარბიხარ, განა ყოველთვის გადაურჩები ადამიანებს. თოვლს მაინც დააცადე აშრობა, თორემ შენ კვალს გამოჰყვებიან და ბუნაგშიც მოგაგნებენ, – დატუქსა მამამ და ისევ ბურტყუნით აუყვა ხევს.

საღარა ვერ გრძნობდა ადამიანების მხრიდან იმ შიშს, რასაც სხვა დათვები გრძნობდნენ. მართალია რამდენიმეჯერ თოფებითაც დაედევნენ, მაგრამ მას

მაინც უყვარდა ადამიანები და სიყვარულის მეტი,  
არაფერი არ ეწეოდა მათკენ.

სიყვარულით ჩქეფდა მის ძარღვებში სისხლი.

სიყვარულის ძალა ამაგრებდა მის მუხლებს.

უყურებდა სოფელს და სიყვარული იღვრებოდა მისი  
მზერიდან.

და ერთხელაც ისე დაუბნია სიყვარულმა თავგზა, ველარ  
მოითმინა, წყაროზე გადმოსულ სამძივარს მიეჭრა  
დღისით, მზისით და გაიტაცა.

ქალმა შეკვივლებაც კი ვერ მოასწრო, დათვი რომ დაინახა,  
გული წაუვიდა, გრძნობაზე მხოლოდ დათვის ბუნაგში  
მოვიდა. მიმოიხედა, გვერდზე დათვი ეწვა და  
ეალერსებოდა. ისევ წაუვიდა სამძივარს გული.

მერე რამდენჯერაც გრძნობა დაუბრუნდა, იმდენჯერ  
დათვი გვერდით ეწვა, თათებით

გულში იხუტებდა და ეალერსებოდა.

ხანდახან დათვი გამოქვაბულიდან მიდიოდა და  
შემოსასვლელს ქვებით ჩახერგავდა, რომ ქალი არ  
გაქცეულიყო. უკან მობრუნებულს სამძივარის საჭმელად

მოჰქონდა: კანკემა, დუცი, დიყი, შუპყა და ტყის ხილი მთლიანი ტოტებით.

დამშეულ სამძივარს მეტი გზა არ ჰქონდა, დათვის მორთმეული ძღვენით ირჩენდა თავს.

ხანდახან დათვის ნანადირევი ცხვარიც მოჰქონდა და უმი ხორცის ჭამასაც მიეჩვია ქალი.

საღარა მეტისმეტად ალერსიანი იყო მის მიმართ. გამოქვაბულში ჩამოდიოდა კლდის ნაჟური და იმით იკლავდა წყურვილს სამძივარი.

შემოსასვლელს ყოველთვის დიდი ლოდებით კეტავდა დათვი.

მუცელიც გამოებერა სამძივარს და ზამთარიც დადგა. საღარამ იმდენი ცხვრები მოზიდა, გამოქვაბული სულ ცხვრის ტყავებით იყო მოფენილი.

აღარ დაუძინია ამ ზამთარს საღარას. დღედაღამ სამძივარზე ზრუნავდა, ტყიდან მოჰქონდა მწოროს ნაყოფი, ძახველი, გამხმარი ასკილი და იმას აჭმევდა ქალს.

მარტის დასაწყისში ორი პატარა დათვის ბელი მოევლინა მათ გამოქვაბულს.

დღე გადიდდა.

დათბა.

ზვავის პირებში ჩადუნა და კანკეშა ამოვიდა.

ახლა მეკვერებსაც აჭმევდა დათვი კანკეშას.

გამოქვაბულიდან რომ მიდიოდა, არასოდეს არ ავიწყდებოდა შემოსასვლელის ქვებით ამოქოლვა.

და

ერთხელაც, სამძივარმა შეამჩნია რომ ქვებს შორის მოზრდილი გასასვლელია დარჩენილი.

მეკვერები გამოქვაბულში თამაშობენ.

საღარა საზრდოსთვის არის წასული.

ქალი ქვებსშორის გაძვრა.

მეკვერებმაც დააპირეს უკან გაყოლა, მაგრამ ქალმა უკან შეაბრუნა და გასასვლელი ქვებით ამოქოლა, რომ ველარ გამომძვრალიყვნენ.

გამოიქცა სამძივარი და მოპირდაპირე კლდეში დაიმალა.

ფიქრობს: არ იცის რა ქნას.

სოფელში წავიდეს?

სოფელში ვინღა მიიღებს დათვის ნაცოლარს?

არა და რა ქნას? როგორ მოიქცეს? სად წავიდეს?

თავი მოიკლას?!

– არა! არა!!! – თვითონვე შეეხმიანა თავის ფიქრს.

უცებ ხმაური მოესმა. გაიხედა და დაინახა, რომ საღარა გამოქვაბულის შესასვლელთან ქვებს ყრიდა.

ქალი ლოდებში ჩაიმალა და იქიდან დაუწყო თვალთვალი. შევიდა დათვი შიგნით და მალევე გამობრუნდა უკან.

ხან იქით ეცა და ხან აქეთ.

სამძივარს ეძებდა.

ლაწა-ლუწით დაეშვა ქვემოთ, როგორც ჩანს სოფლისაკენ.

ჩქარადვე ამობრუნდა უკან.

ღმუოდა.

წინა თათებს თავში ირტყამდა.

ლოდებში ჩამალული სამძივარი ხედავდა: დათვმა მეკვერებს ტორები მოხვია და აღმართს აუყვა კლდის პირზე.

კაცივით მიდიოდა უკანა ფეხებზე შემდგარი.

მეკვერები ილღიებში ჰქონდა აქეთ-იქით ამოჩრილი.

ავიდა მაღალი კლდის თავზე.

გაჩერდა.

ჯერ მეკვერები გადაყარა კლდიდან, მერე წინა თათები კაცივით აიფარა თვალებზე და თვითონაც უფსკრულში ჩაიჩეხა.

ქალი კარგა ხანს ფეხის გადადგმას ვერ ბედავდა და მხოლოდ ღამე გამოვიდა სამალავიდან.

მთვარის შუქზე ჩანდა, როგორ გარბოდა მთის თხემზე სამძივარი...

ეს ფიტული კი სწორედ საღარას ტყავისაგან გააკეთა მონადირემ, რომელიც კურდღელს მისდევდა და მის მაგიერ ლოდებსშორის ჩაჩეხილ დათვის გადააწყდა.

აი, ეს გახლავთ, ბატონო, ჩემო ამ ფიტულის დოსიე და თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, რა ბრალდება შეიძლება წაუყენოთ მას: ადამიანის მოტაცება- გაუპატიურების მიზნით და განზრახულის სისრულეში მოყვანა, შვილების დახოცვა თუ თვითმკვლელობა. სამივე ისეთი



მძიმე ცოდვას, მათი ჩამდენის ფიტული, მე მგონი აღარ უნდა ფიქრობდეს მუზეუმის პრეზიდენტობაზე.

მარად თქვენი მონა-მორჩილი – სადგისი!

## საქმე №2. არწივი

(საიდუმლო ინფორმაცია არწივის ფიტულზე, მოპოვებული სადგისის მიერ) დედალი არწივი ჭიუხის თავზე იშენებდა ბუდეს. ნისკარტით გლეჯდა ქვიშა-ბალახს და ქვებს შორის აფენდა ძველ საბუდარზე. რამდენიმეჯერ არაგვის ჭალებშიც ჩაფრინდა და იქედან ხის ტოტები წაიღო ბუდის გასამაგრებლად. ჭიუხის თავზე გამუდმებით ქროდა ქარი და ბუდეზე დაწყობილ ხმელ ბალახს ადვილად იტაცებდა. ამიტომ არწივი ხერხს ხმარობდა, ხის ტოტებს აწყობდა ბუდის გარშემო და ამ ტოტებში აქსოვდა ბალახს.

ამჯერადაც, არაგვის ჭალაზე დაგდებულ ხის ტოტს დაეტანა ასაღებად, მაგრამ ხის ნაცვლად გველი შერჩა და არწივმაც აღარ დაიხია, ხერხემალში ჩაუნისკარტა.

ტკივილისაგან გამწარებულმა გველმა საშინლად დაიწივლა და დაიკლაკნა. არწივმა

მეორედ ჩაარტყა ნისკარტი და წელში გადატეხა. გველმა გაქცევა სცადა, მაგრამ ნახევარი ტანი ველარ წაითრია. არწივმა წელში ბრჭყალები ჩაასო და ჰაერში აიტაცა,

აიტანა ჭიუხის თავზე, კლდეზე დაახეთქა და თვითონაც ზედ დააცხრა. რამდენიმეჯერ ისე მძლავრად ჩაარტყა თავში ნისკარტი, სული გააფრთხობინა. მერე კისერი წინ წაიგრძელა, მწვერვალიდან ქვეყნიერებას გადახედა და დაიყეფა. მის დაძახილზე საიდანღაც გამოჩნდა მამალი არწივი და ფრთებდაკეცილი შხუილით დაეშვა იმ ადგილას სადაც დედალი არწივი იჯდა.

რამდენიმე წუთში გადასანსლეს არწივებმა გველი. ნისკარტები ქვებზე შეიწმინდეს და წყლის დასაღევად ჩაფრინდნენ ქვემოთ.

უკანმოზრუნებულმა დედალმა არწივმა ნისკარტით ისევ მოიტანა ქვიშა-ბალახი, ბუდეში ჩააფინა და თვითონაც შიგ ჩაჯდა კვერცხების დასადებად.

მამალი არწივი მის ზემოთ უვლიდა ირაოს. დროდადრო გაჭიმულ ფრთებს შეარხევდა და დაიყეფებდა.

დედალმა ორი კვერცხი დადო. წამოიწია, ფრთები შეიკეცა და კვერცხებს დახედა. მერე ისევ ბუდეში ჩაჯდა.

კარგა ხანს იჯდა ბუდეზე არწივი. ქარი უქოჩრავდა ბუმბულს. ხანდახან ღრუბლები მოჯარდებოდნენ კლდის თავზე და ატყდებოდა გრგვინვა, ჭექა-ქუხილი. ღრუბლებიდან გამოსხლტებოდა მეხი, დაეცემოდა ჭიუხს და ბოლს აადენდა. წამოვიდოდა წვიმა, ხან

სეტყვა. არწივი ამ დროს მთელ სიგანეზე გაშლიდა ფრთებს და ბუდეს გადააფარებდა, რომ შიგნით სეტყვა და წყალი არ ჩასულიყო. თავშიც ეცემოდა ხოშკაკალა, მაგრამ არწივი ტკივილს არ იმჩნევდა, ერთგულად იჯდა ბუდეზე. არც მეხის გაუთავებელი ბათქა-ბუთქი უკრთობდა გულს.

მწვერვალებზე ჩქარა იცის გამოდარება. ჭიუხები ისევე მალე გადაიყრიან ხოლმე ღრუბლებს, როგორაც მალე მოიღრუბლებიან.

გადაიღებდა თუ არა წვიმას, არწივი ბუდიდან წამოიწეოდა, გვერდზე გადადგებოდა და ბუდის მოშორებით დაიბერტყავდა სველ ფრთებს, მერე კი ისევ მალედვე უბრუნდებოდა ბუდეს, რომ კვერცხები არ გაცივებულიყო.

ხანდახან ტაფობ ქვებში ჩაგუბებული წვიმის წყლით იკლავდა წყურვილს, მაგრამ როცა მზიანი ამინდები დადგებოდა, ეს გუბეები მალე ამოშრებოდნენ ხოლმე და არწივს ბუდის მიტოვება უხდებოდა. წყურვილის მოსაკლავად არაგვისაკენ მიფრინავდა ქვემოთ.

გაგისაც სწორედ ასეთ დროს მოუხდა ჭიუხზე ასვლა. დაჭრილ ჯიხვს გაეკიდა და კლდეებში სისხლის კვალი დაკარგა. გაგი მწვერვალზე ავიდა, რომ იქიდან

მოეთვალე რეზინა მიდამო, იქნებ იქედან დაენახა, სად დაემალა დაჭრილი ჯიხვი.

არწივის ბუდეს წააწყდა გაგი. დედალი არწივი ამ დროს წყლის დასალევად იყო წასული.

მონადირეს ყეფა მოესმა. ზემოთ აიხედა. მამალი არწივი დასტრიალებდა თავზე და როგორც ჩანს კამარის შესაკვრელად ემზადებოდა.

გაგიმ სასწრაფოდ მოიხსნა გუდა, არწივის კვერცხები შიგ ჩააწყო და ისევ ზურგზე მოიკიდა.

სწორედ ამ დროს მხუილი მოესმა და მიხვდა რაც ელოდა: მამალი არწივი მოექანებოდა მისკენ.

დაიგრილა გაგის თოფმა და მის ფეხებთან დაეხეთქა არწივი, რომელსაც მკერდიდან ჩქეთად გადმოსდიოდა სისხლი.

მარტო ერთხელ წამოსწია არწივმა თავი, პირი გააღო და იქიდან ყეფის მაგივრად, ოდნავგასაგონი ხრიალი აღმოხდა. ბრჭყალები მოკუმშა და მარცხენა ფეხი მძლავრად გაიქნია ჰაერში.

გაგიმ მკვდარი არწივი წელზე შეიბა და ქვემოთ დაეშვა. რამდენიმე ხანში დედალი არწივი წამოეწია ყეფით და კინაღამ კლდიდან გადმოაგდო. თოფის დატენვას ვეღარ

ახერხებდა, ისე გულდაგულ ეტანებოდა არწივი. ძლივს ჩააღწია გამოქვაბულამდე და იქ შეაფარა თავი.

დიდხანს ტრიალებდა გამოქვაბულის წინ არწივი. გაგიმ თოფი დატენა და ესროლა. ტყვიამ ბუმბული გააყრევინა არწივს, რომელიც გამწარებული ყეფით მოსცილდა იქაურობას.

შუალამისას დაბრუნდა გაგი სახლში. ცოლი ფეხმძიმედ ჰყავდა და არ ეძინა.

– ნახე, რა მოგიტანე! – კვერცხები ამოაწყო გულიდან გაგიმ.

– რის კვერცხებია?

– არწივის, – უთხრა გაგიმ და მკვდარი არწივი შემოიტანა სახლში.

– უი, გაგი, რატომ მოკალი, ცოდოა, ბუდეზე მჯდარი არწივის მოკვლა ვის გაუგია?

– ეს მამალი არწივია, მე რომ არ მომეკლა, ის მომკლავდა, ტყვიასავით მოქანავდა ჩემსკენ.

– ეს კვერცხები რატომღა წამოიღე?

– იღბალი არ გავუშვი ხელიდან.

– რა იღბალი?!

– გამიგია, მონადირე თუ არწივის კვერცხებს იპოვის დიდი იღბალია. იმ კვერცხებს თუ ფეხმძიმე ქალი შესჭამს, არწივივით მაგარ ვაჟს დაბადებს.

– მაგას რა შემაჭმევს.

– თუ არ გინდა არ გაძალებ, – გაიცინა გაგიმ და არწივის კვერცხები საგულდაგულოდ შეინახა.

მეორე დღეს მამალი არწივის ფიტულის კეთება დაიწყო გაგიმ. მთელი სოფელი ეხმარებოდა ამ საქმეში.

გავიდა რამდენიმე დღე და გაგიმ თვალი მოჰკრა, რომ ცოლი ერბოკვერცხს იმზადებდა. ჩუმად ჩაამტვრია ჯამში არწივის კვერცხები. ცოლმა ვერ შეამჩნია.

მადიანად მიირთმევდა ქალი ერბო-კვერცხს.

მის შემხედვარე გაგის სიამაყით ევსებოდა გული. მას სჯეროდა წინაპრების ნათქვამი, სჯეროდა რომ ამის მერე არწივივით მაგარ ვაჟს გააჩენდა მისი ცოლი.

მათი სოფელი წმინდა ადგილად ითვლებოდა და ამიტომ ან მამის სახლში მიდიოდნენ ქალები მოსალოგინებლად, რაკი აქ მშობიარობა არ შეიძლებოდა, ან სოფლის მოშორებით მდგარ ქოხში მშობიარობდნენ.

როცა მშობიარობის დრომ მოუწია მამისახლში წავიდა  
გაგის ცოლი.

გზა მთებში მიდიოდა აღმა.

ასეთ დროს კაცი ვერ გაჰყვებოდა ცოლს, სირცხვილად  
ითვლებოდა მელოგინე ქალის გვერდით ქმრის  
სიარული და გაგისთვის არც უთქვია, ისე წავიდა ქალი  
მშობლებთან.

წვერწამოშვერილ კლდეებთან მოუწია მშობიარობამ.

კლდის ძირას გააჩინა ვაჟი.

და –?!!!

ვაჟთან ერთად გველის წიწილი, რომელიც პატარა ბიჭს  
ჰქონდა შემოხვეული.

როდესაც ქალმა ატირებულ ბიჭს ძუძუ ჩაუდო პირში,  
მეორე ძუძუზე იმ გველმა დაუწყო წოვა.

ქალი ზიზღს და შიშს ვერ გრძნობდა.

ისეთივე სიყვარულით დაჰყურებდა გველს, როგორც  
ბიჭს.

ძუძუ რომ მოწოვეს, ბიჭსაც ჩაეძინა და გველსაც. ქალმა  
ჩიქილაში შეახვია ისინი და მამის სახლისაკენ გაუყვა  
გზას.

ორმოცი დღის მანძილზე მშობიარეთათვის განკუთვნილ ქოხში ცხოვრობდა. აქ მოუტანა დედამ ბავშვისათვის აკვანი.

ქალი არც დედას უმხელდა, რომ ბიჭთან ერთად გველი გააჩინა. დედის თანდასწრებით არასოდეს აწოვებდა ბიჭს, რათა არ დაენახათ რომ მეორე ძუძუზე გველი სწოვდა.

მშობიარობის მეშვიდე დღეს ბიჭს უცნაური შუქით გაუნათდა მარცხენა მხარი. მერე ნათება თანდათან ჩაქრა და არწივი გამოესახა ბიჭს მხარზე.

ახლადა გაახსენდა ქალს, რომ როცა მშობიარობდა კლდის თავზე არწივი დაფრინავდა და ყეფდა.

ბიჭი აკვანში ჩააწვინა.

გველი აკვნის მკლავს შემოეხვია და ქალმა შეამჩნია, რომ თუ ბიჭი ტირილს წამოიწყებდა, გველი პირში კუდს ჩაუდებდა და აჩუმებდა.

კარგა ხანს მალავდა ქალი ამ ამბავს, მაგრამ, როცა შინ დაბრუნდა, გაგიმ იმ დროს შეუსწრო, როცა გველი აკვნის მკლავზე იყო შემოხვეული.

გადაირია გაგი.



ეგონა გველი ბიჭის დაკბენას აპირებდა და აღარ იცოდა როგორ მოეკლა, რომ ბიჭს არაფერი დაშავებოდა.

ჯერ შვილი აიტაცა აკვნიდან და საწოლზე დააწვინა. მერე აკვანს წამოავლო ხელი და მასთან ერთად მოისროლა გველი გარეთ.

ქალს ხმა არ ამოუღია. გამტკნარებული იდგა. გაგიმ თოფს წამოავლო ხელი და გარეთ გავარდა. რამდენიმეჯერ ესროლა აკვანს.

გველი ბალახებში მიიძალა.

...

სამკალზე იყვნენ გაგი და მისი ცოლი. ბიჭი ყანაში თამაშობდა.

ჰაერში არწივის ყეფა გაისმა.

იმ დროს გაიხედა გაგიმ, როცა არწივი დაბლა დაემვა.

გაგი ბიჭისაკენ გაიქცა, მაგრამ არწივმა დაასწრო, ბიჭს ხალათში ჩაავლო კლანჭები და ჰაერში აიტაცა.

თოფის სროლას აზრი არ ჰქონდა.

მაღლა და მაღლა მიფრინავდა არწივი და ბიჭს მიიყოლებდა თან.

დიდხანს ეძებდა ჭიუხებში გაგი არწივს.

ავიდა იმ კლდეზეც, საიდანაც კვერცხები მოიტაცა,  
მაგრამ იქ ქარისა და ჭექა-ქუხილისაგან

აწეწილი საბუდარის მეტი ვერაფერი ნახა.

კარგა ხანს ამაოდ ეძებდა და ვერსად ველარ გადააწყდა  
ბიჭის კვალს გაგი. არწივებს კი ხედავდა, მაგრამ არც ერთ  
მათგანს ბიჭი არ ახლდა თან.

გამწარებული გაგი ამათზე იყრიდა ჯავრს.

სადაც არწივს დაინახავდა, თოფს ესროდა.

ისინიც სცნობდნენ გაგის და ერიდებოდნენ.

კარგა ხნის მერე არწივის ყეფამ მაღლა აახედა  
შავადჩაცმული გაგის მგლოვიარე ცოლი.

არწივი მის თავზე ტრიალებდა და უკან პატარა მართვე  
მისდევდა ფრენით.

არწივის მართვე უცნაური შუქით ანათებდა. ასეთი შუქი  
ქალს სადღაც ენახა და ახლა გაახსენდა: მის ბიჭსაც  
სწორედ ასეთი შუქით უნათდებოდა ხოლმე მარცხენა  
მხარზე გამოსახული არწივი.

– შვილო ! შვილო ! – იკივლა ქალმა და ხელები გაიშვირა  
მალა. მისი ხმა არწივის ყეფამ დაფარა. არწივმა  
კლანჭები გაშალა და შვილის ჩონჩხი ჩამოუგდო დედას.

ქალმა ვერ დაინახა ჰაერში მოფარფატე ძვლები,  
რომლებიც სუსტი სტვენით ეშვებოდნენ მიწისაკენ.

ქალი ამ დროს უცნაური შუქით განათებულ არწივის  
მართვეს უყურებდა და მთელი ხმით ყვიროდა: – შვილო!  
შვილო!

...

ბატონო მელია!

არის ეჭვი, რომ ის გველემაპი, რომელიც რუსის ჯარს  
ეჩვენებოდა ამ ბასტიონში და რის გამოც გაიქცნენ  
რუსები აქედან, სწორედ ის გველი იყო, ბიჭთან ერთად  
რომ დაიბადა. ეტყობა გაიზარდა და გველემაპად იქცა.  
არწივები კი დღესაც უცნაური შუქით ანათებენ  
საქართველოს ცაზე. ამ არწივის ფიტულშიც, უნდა  
ვივარაუდოთ რომ დიდი საიდუმლოა ჩაბუდებული. „  
გუდამაყრის მუზეუმს" თუ არწივი ჩაუდგა სათავეში,  
სხვანაირი შუქით გაბრწყინდება მუზეუმი.

ძვირფასო მელია!

ბატონო მელია!

უნდა ვეცადოთ, რომ არწივმა კენჭი არ იყაროს საპრეზიდენტო არჩევნებში. და თუ მაინც მოახერხებს და კენჭს იყრის, უნდა გავაყალბოთ მისი ხმები.

მოწიწებით და პატივისცემით – სადგისი.

### **საქმე №3. დამბაჩა ანუ სახელის ქმნა**

(საიდუმლო ინფორმაცია გუდამაყრის მუზეუმში ჩამოკიდებულ დამბაჩაზე) სიცოცხლე უხაროდა ათნობელ გამიხარდას. ტყუილუბრალოდ ჭიანჭველასაც კი არ დაადგამდა ფეხს. სიმღერა უყვარდა და მღეროდა. ცეკვა უყვარდა და ცეკვავდა. როცა მთის იქეთიდან სათარეშოდ გადმოსულ მტერს დაედევნებოდნენ მისი სოფლელები, ისიც მათთან ერთად იყო, მაგრამ არასოდეს არ ესროდა მომხდურებს. რაღაცა იდუმალი ძალა არ აძლევდა კაცის კვლის უფლებას.

ვისაც რამდენიმე მტერი ჰყავდა მოკლული, ის სახელიანი იყო და სოფელი მოწიწებით ეპყრობოდა.

ვინც მტერს ვერ კლავდა, ცდილობდა ჩხუბში მაინც ემოვა სახელი და მთელ ამ მხარეში თითქმის ვერ ნახავდით კაცს, რომ ხანჯლით, ან ხმლით ჩაკეჭნილი თავპირი არ ჰქონოდა.

კეჭნიდნენ ერთ-ერთს ხატობებში.

კეჭნიდნენ ქორწილებში.

კეჭნიდნენ და მერე დამჭრელი დაჭრილს საზღაურს უხდიდა. ნაჭრილობებს პურის მარცვლებით ზომავდნენ თემის უფროსები. რამდენი მარცვალაც ჩაეტეოდა ჭრილობაში, იმდენი ძროხა უნდა გადაეხადა დამჭრელს დაჭრილისათვის.

საქორელმა ბათარეკამ ეს საქმე შემოსავლის წყაროდ გაიხადა.

დადიოდა ბათარეკაი სოფლიდან-სოფელში, სადაც მთვრალ ხალხს დაიგულებდა ხელად იქ გაჩნდებოდა, ძალად შარს ასტეხავდა და როცა ხანჯალს მოუქნევდნენ, ისე ოსტატურად მიუშვერდა თავს რომ არ ყოფილა შემთხვევა ჩხუბიდან დაუჭრელი გამოსულიყვეს.

რალა თქმა უნდა შეიყრებოდნენ ამის მერე თემის კაცები, გაარჩევდნენ მოჩხუბართა საქმეს, პურის მარცვლებით ბათარეკაის ჭრილობას გაზომავდნენ და დამჭრელიც მოჰგვრიდა ძროხებს, ცხვრებს, სპილენძის ქვაბებს.

გამდიდრდა ბათარეკაი.

უფრო მეტი სიმდიდრე მოუნდა და საცა მოქნეულ ხანჯალს დაინახავდა იქ უშვერდა თავს.

როგორც იყო გაუგეს ეშმაკობა.

ერიდებოდნენ ბათარეკასთან ჩხუბს. იმის დანახვაზე მოჩხუბრები უცებ ჩააგებდნენ ხოლმე ქარქაშებში ხანჯლებს, რომ ვითომ გასაშველებლად მათ შუა ჩამდგარ ბათარეკას, ხანჯლის პირისთვის არ მიეშვირა თავი.

– ეეხ, წახდა ხალხი, წახდა! – ოხრავდა ბათარეკაი და შარს ეძებდა.

გუდამაყრის მუზეუმის მარცხენა კედელზე რომ სპილოსძვლიანი ხანჯალი ჰკიდია, სწორედ მაგ ხანჯალს ახსოვს ყველაზე კარგად ბათარეკაის შარისმძებნელი თავი.

როგორ?

ისე გაამწარა ბათარეკამ მაგ ხანჯლის პატრონი, ველარ მოითმინა და მთელი ძალით გადაუშხულია მიშვერილ თავზე.

აღარ დასჭირდათ ჭრილობის გასაზომად პურის მარცვლები. ტვინი და სისხლი ერთნაირად მოსჩქეფდა ბათარეკაის თავიდან.

დასაფლავების წინა დღეს ვილაცამ სამოცდათექვსმეტი ნაჭრილობევი დაითვალა ბათარეკაის თავზე.

აი, ეგეთი თავრიელაით წარსდგა ღვთის წინაშე შარის მძებნელი, აქ კი გულადი კაცის სახელი დატოვა.

ვინც ჩხუბის დროს მოწინააღმდეგეს დიდ ჭრილობას დაამჩნევდა, იმას სახელი უფუჭდებოდა, მშიშარას ეძახდნენ.

– შინებია და იმად უქნევია გამეტებით ხანჯალი – იძახდნენ საქმის გამრჩენი.

იმ დროს ყველა იარაღით დადიოდა ათნოხელი გამიხარდაის მეტი.

უიარაღო კაცი ქალებსაც არ მოსწონდათ და გამიხარდას აღმაცერად უყურებდნენ.

გიორგობა იყო იმ დღეს ბეგარდის ხატში.

უამრავი მლოცავი იყო თავმოყრილი სალოცავის მოედანზე. ახალგაზრდებს საცეკვაო წრე ჰქონდათ შეკრული და ცეკვავდნენ.

უხდებოდა ცეკვა ათნოხელ გამიხარდას.

წელზე არც ხანჯალი ერტყა, არც სხვებივით დამბაჩა ჰქონდა ქამარში გაყრილი.

ერთ ლამაზ გოგოს მიუთამაშდა და საცეკვაოდ გამოიწვია. გოგომ ზურგი შეაქცია. გამიხარდამ ცეკვა-ცეკვით შემოუარა გარშემო.

– გაჰყევ, ფიქრიავ! – მუჯღუგუნნი წაჰკრეს გოგოს მეგობრებმა.

– მე ქალთან ვერ ვიცეკვებ! – თავმომწონედ თქვა ფიქრიამ. ახალგაზრდებმა სიცილი დააყარეს გამიხარდას, რომელიც ერთ წუთს გაწბილებული შედგა გოგოს წინ და თვალებში მუდარით შეხედა.

– რას მომშტერებიხარ, ვერ გაიგე რომ ქალთან ვერ ვითამაშებ! – ისევ დამცინავად თქვა ფიქრიამ.

ისევ ატყდა სიცილ-ხარხარი.

გამიხარდაი ფიქრიას ძმას მიუთამაშდა, ცეკვა-ცეკვით ქამარში გარქობილი დამბაჩა ამოაძრო და დაიძახა: – ესეც სახელი!

დაიძრა და გულისპირთან დაუცალა ფიქრიას ძმას თავისივე დამბაჩა.

დამბაჩის ხმასთან ერთად იგრიალა სალოცავად თავშეყრილმა ხალხმა.

ატყდა ჩხუბი.



მზის სხივებზე აელვარდა ხმალ-ხანჯლები.

ერთ-ერთზე მიიწიეს გამიხარდაისა და ფიქრიას  
ნათესავებმა. ადამიანთა სისხლით იღებებოდა წმინდა  
გიორგის მოედანი.

ხევისბერი ზარებს რეკავდა და დაწყნარებისაკენ  
მოუწოდებდა ხალხს, მაგრამ ისინი ეგრე ადვილად აღარ  
წყნარდებოდნენ.

ჩვიდმეტი კაცის სიცოცხლე შეეწირა იმ დღეს „სახელის  
ქმნას“. უამრავი დაიჭრა. გამიხარდაიც მოკლეს ფიქრიას  
ნათესავებმა.

ბატონო მელია! (შელია!) სამართლიანია, რომ ასეთი  
დამბაჩა მუზეუმში ჰკიდია და რამდენადაც ვიცი  
კენჭისყრას აპირებს არჩევნებში.

მარად თქვენი მონა-მორჩილი – სადგისი.

**საქმე №4. ყანწი, ანუ თავისუფალი საქართველოს  
სადღეგრძელო**

(საიდუმლო ინფორმაცია გუდამაყრის მუზეუმში  
დაცულ ყანწზე) გორდაგორ შემოდოდა წელში  
მოღუნული მონადირე. მოეფარებოდა კლდის ქიმს,  
გახედავდა გაღმა მთის კალთაზე შეფენილ ჯიხვების  
არვეს და ისევ პარვა-პარვით აუყვებოდა აღმართს.

ჯიხვების არვე საშიშროებას ვერ გრძნობდა. იმათ თავზე  
ამაყად გადმომდგარიყო ხარლადი და ჰყარაულობდა  
არვეს, რომ მონადირე არსაიდან წამოჰპარვოდათ.

ჯიხვებიც მის იმედად იყვნენ, მაღიანად შეექცეოდნენ  
ახლადამოდინლლებულ ბალახს. ყური კი

ჰქონდათ მიყურადებული; თუ რაიმე სახიფათოს  
მოჰკრავდა ყარაული თვალს, სტვენით ამცნობდა არვეს.

მთის ნიავი გულ-მკერდს უგრილებდა ხარლალს,  
რომელიც ერთ ადგილას ვერ ისვენებდა და ადგილზე  
წრიალებდა. ერთი სული ჰქონდა კლდიდან-კლდეზე  
გადამხტარიყო და არვეს შერეოდა. იმათ შორის  
ეგულებოდა გულისსწორი და იმის ცქერაში გართულს  
სულ გადაავიწყდა ქვემოდან ზემოთ ამოსასვლელი  
ბილიკების თვალთვალი.

ზემოთიდან წამოეპარა ჯიხვებს მონადირე და ისეთ  
ადგილას ჩაუსაფრდა, საიდანაც, როგორც ხელისგულზე,  
ისე მოჩანდა არვე.

სატრფოს თვალთვალით გართულმა ყარაულმა ვერ  
შეამჩნია მონადირე, რომელმაც სროლა აუტეხა ჯიხვებს.

დამფრთხალი არვე კლდეებს აწყდებოდა და  
თავშესაფარს ეძებდნენ. რამდენიმე მათგანი სიცოცხლეს  
გამოასალმა მონადირის ნასროლმა ტყვიამ.

კლდეზე გადმომდგარმა ხარლალმა თვალი შეასწრო როგორ დაგორდა მისი გულისსწორი ფერდობზე.

მაღალი კლდის ქიმიდან გადმოხტა ხარლალი.

გადმოხტა ანგარიშმიუცემლად.

გადმოხტა სატრფოს საშველად, მაგრამ ისე ჩაეხეთქა ბასრ კლდეებს, ძირსდაცემულს სული აღარ შერჩა.

გაოგნებული იყო ამ ამბის მხილველი მონადირე.

დიდხანს დაჰყურებდა მკვდარ ხარლალს და გულში მძიმე დარდი აწვებოდა. საკუთარ თავზე ბრაზობდა, რომ დახოცა ეს მთის თავისუფალი შვილები – „რას ვერჩოდი, რაზე მოვუხტი და ამოვხოცე“ – ფიქრობდა იგი.

მონადირეს ჯარჯი ერქვა.

რამდენჯერ უნადირნია ჯარჯის და რამდენჯერ მოუკლავს ნადი-რი, მაგრამ ამ ხარლალის უცნაურმა სიკვდილმა სევდა აუშალა გულში. იმნაირი სევდა აუშალა, როგორც მთის ნისლი, ჯერ რომ ბამბის ფთილასავით გამოიკვეთება, მერე თანდათან გაიშლება, გაიშლება და მძიმედ ჩაწვება ხეობაში.

სევდით და დარდით გაჯერდა ჯარჯის გული. იმან დახოცილ ჯიხვებს ხელი აღარ ახლო, მარტო ხარლადს ააჭრა რქები და ხევისპირს ჩამოჰყვა ქვემოთ.

იმ დღის მერე აღარავის უნახავს ჯარჯი სანადიროდ წასული. გულჩათხრობილი გახდა, ლხინის სუფრებს ერიდებოდა.

თავისუფლებაზე ფიქრმა გაიტაცა ჯარჯი. იმხანად საქართველო ოცი წლის დაპყრობილი ჰყავდათ რუსებს და საშინლად ავიწროვებდნენ ქართველებს.

მიუხტებოდნენ ხოლმე სტრაჟნიკები ზამთარში ხევის სოფლებს, თოფებით წინ გამოიყრიდნენ დიდსა თუ პატარას და ნიჩბებით გზაზე ჩამოწოლილ ზვავეებს ახვეტინებდნენ.

თავისუფლებასმიჩვეული მთის ხალხი საშინლად განიცდიდა რუსების ძალადობას. „მეც ხომ ამათსავით ვექცეოდი ჯიხვებს“ – ფიქრობდა ჯარჯი და სხვებთან ერთად ისიც თოვლს ხვეტავდა „სარუსე“ გზაზე (რატომღაც ასე შეარქვეს აქაურებმა ძველთაძველ გზას, რომელსაც შულლიათ სება „გორგასლის ნაგზევს“ ეძახის და რომლის ნარჩენებიც მკრთალად ჩანს გუდამაყრის მუზეუმში დატანებული ერდოებიდანაც).

იმ ხარლალის რქებიდან ყანწები გამოთალა ჯარჯიმ და სახლის გულთაბომზე ჩამოჰკიდა. „სანამ საქართველო რუსების უღელს თავს არ დააღწევს და თავისუფალი არ გახდება, მანამდე წვეთ სასმელს არ დავლევ. როცა საქართველოს გათავისუფლების ამბავს გავიგებ, ამ ყანწებით შევსვამ თავისუფალი საქართველოს სადღეგრძელოს და ამ-ბის

მომტანს ვაჩუქებ ყანწებს" – ჩაიფიქრა ჯარჯიმ და თავისი ფიქრი მთელ ხევს გაუმჟღავნა.

დრო მიდიოდა.

ჯარჯის სიბერე ეძალებოდა. იმისი სახლის გულთაბომზე უქმად ეკიდა ჯიხვის ყანწები.

ძალადობდნენ დამპყრობლები.

მახარობელი კი არ ჩანდა.

არა და არ იფანტებოდა ჯარჯის გულში ჩაგუბებული სევდის ღრუბელი. უფრო და უფრო იქუფრებოდა, შავდებოდა, თანდათან მძიმდებოდა.

ერთხელაც გათენდა ის დღე, რომლის გათენებასაც ამდენი ხანია ელოდა ჯარჯი. მახარობელი მოადგა იმის სახლს და დაიძახა: – ჯარჯი, ჰაი ჯარჯი!

- რომელი ხარ? – სახლის ბანზე გადმოდგა ჯარჯი.
- მახრობლები ვართ, მახრობლები! – შემოსძახეს ქვემოდან ახალგაზრდებმა.
- მერე და მანდ რას უდგებართ, ამოდით, ჩქარა! – სახლში მიიპატიჟა ჯარჯიმ, რომლის გულსაც ბაგა-ბუგი გაჰქონდა სიხარულისაგან.
- საით შაიტყვეთ, რა მოხდა? – იკითხა ჯარჯიმ.
- ქალაქით მოვიტანე ამბავი, გარბის სახლში რუსის ჯარი, - თქვა ერთ-ერთმა ახალგაზრდამ.
- თქვენ გენაცვალეთ ჯეელებო, თქვენა, რო საქართველოს თავისუფლება მახარეთ. თქვენ დაგლოცათ დიდმა სამებამ, ლომისის მადლმა, ღალანგურის წმინდა გივარგიმ!
- სალხინო სუფრა გაიშალა ჯარჯის ოჯახში.
- ძველისძველი, ამ ამბისათვის გადანახული ღვინო აელვარდა ჯიხვის ყანწებში.
- ჯარჯიმ ერთი ყანწი მახრობელს გადასცა, მეორეთი თვითონ დაილოცა: – დიდება ღმერთსა, მადლი ღმერთსა!

გაუმარჯოს გამარჯვებულსა, ცისა და ქვეყნის  
დამბადებელსა, კაცთათვის სიცოცხლის მომნიჭებელსა.  
ზეცის თავანზე ვარსკვლავთა გადამშლელსა, ხმელეთზე  
ბალახის აღმომცენებელსა, ბალახზე ცვარ-ნამის  
გამჩენსა. დღისა და ღამის დამწესებელსა, უხილავის  
ხილულად გარდამქმნელსა, მაღალსა ტახტზე  
მჯდომარესა, ხილულთა შორის უხილავსა, გონიერთა  
მიერ ყოველთვის ხილულსა.

დიდება სამართალს ხვთისასა.

დიდება შენდა ღმერთო, რომ გადმოხედე ჩვენს ქვეყანას  
და დაიხსენი ავი ხელისაგან.

აი, ამ სასმისით გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს,  
აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე.

ამინ! –დაამთავრა ჯარჯიმ ლოცვა და მოიყუდა ჯიხვის  
ყანწი.

სიხარულისაგან ხელები უკანკალებდა მოხუცს და  
გულისპირზე ეღვრებოდა ალისფერი ღვინო.

– ამინ! ამინ! – დასტურს იძახდნენ ახალგაზრდები და  
ხელიდან ხელში გადადიოდა ჯიხვის ყანწები.

მალე მოეკიდა ჯარჯის ღვინო.

– თქვენ გენაცვალეთ, შვილებო, თქვენა, რო ესეთი სასიხარულო ამბავი მომიტანეთ! – წარა-მარა გაიძახოდა მოხუცი.

უცებ კარებზე ბრახუნი გაისმა და რამდენიმე რუსი ჯარისკაცი სახლში შემოიჭრა.

– მოდით, მოდით, თქვენც დალიეთ თავისუფალი საქართველოს სადღეგრძელო, – სუფრასთან მიიპატიჟა ჯარჯიმ, თუმცა იმათ მიპატიჟება არ სჭირდებოდათ, ხელდახელ გამოცალეს რამდენიმე ყანწი და იქ მყოფებს შეუძახეს: – ნუ ხვატიტ, იდიტე, აჩიშჩიმ დაროგუ!

– რაო?! – იკითხა ჯარჯიმ.

– ნუ, პაშლი, პაშლი! – გაუმეორეს იმათ და თოფის კონდახი წაჰკრეს.

– აკი, გაიქცნენ და თავისუფლები ვართო?! – ახალგაზრდებს გადახედა მოხუცმა.

– გვაპატიე ძია ჯარჯი, დალევა გვინდოდა და მოგატყუეთ, – დარცხვენით თქვა მახარობელმა.

– ვაი, ჩემს მოსწრებასა! – ამოიგმინა ჯარჯიმ.

– პაშლი, პაშლი! – წაუთაქეს თოფის კონდახები რუსებმა ქართველებს და წინ გაიყარეს.



ფეხი უსხლტებოდა შემთვრალ მოხუცს, წარა-მარა  
თოვლში ეცემოდა და გმინავდა: – ვაი, ჩემს მოსწრებასა!

– იდი კაცო, იდი, იდი პიროდ! – უბიძგებდა თოფის  
კონდახს შინელიანი ჯარისკაცი.

ერთხელაც წაიფორხილა ჯარჯიმ და რო წაიქცა,  
როგორღაც განწირულად დაიგმინა: – ვაი, ჩემს  
მოსწრებასა!

ამოიგმინა და გული გაუსკდა.

ამაოდ ურტყამდა რუსი კონდახს.

ჯარჯი მეტად აღარ წამომდგარა ფეხზე.

თოვდა...

ბატონო, მელია!

ჩვენ მუზეუმში რომ ყანწები ჰკიდია, სწორედ ის რქებია,  
რომლითაც იმ დღეს თავისუფალი საქართველოს  
სადღეგრძელო დალია ჯარჯიმ.

მოწიწებით და პატივისცემით, თქვენი მონა-მორჩილი –  
სადგისი.

**საქმე №5. მყვირალობა, ანუ საიდუმლო ინფორმაცია  
სიყვარულზე**

მურყნარის ტყეში აყვირდა ირემი. ერთხელ, მეორედ და მესამედ, ისეთ ზარის ხმაზე დაიყვირა, ყველამ საქმეს თავი მიაწება და ირმის ყვირილს მიუგდეს ყური.

– იუმეეეე! – ხმამაღლა ყვიროდა ირემი.

– იუმეეე! – სადღაც შორიდან გამოეძახა მეორე ირემი. პირველი ხმის გაგონებაზე პირველს უფრო ხმა მოემატა და გეზი იქეთ აიღო, საიდანაც ფურირემის ყვირილი მოისმოდა.

აგერ, სულ ახლოს მივიდა ხარირემი ფურთან, კისერი წაიგრძელა, დრუნჩით ჰაერში გაზავებული მდედრის სუნი დაეწოსა და ის იყო უნდა შეერთებოდა მდედრს, რომ უშველებელი წიფლის მხრიდან ავისმაუწყებელი ფრუტუნი გაისმა.

ხარირემი შეაკრთო ამ ხმამ, ფურირემის გავაზე ჩამოწყობილი ფეხები ძირს ჩამოუშვა და შვილდივით მოზიდული საომრად მოემზადა.

ასევე ნელა ემზადებოდა საომრად ზამთრისაგან ხმელ ტოტებში ჩამპალ ისეთი განწირული ხმით ყვიროდა, ემზადებოდა.

მისი მოწინააღმდეგე ხარჯიხვი, წინა ფეხებით წიფლისა  
თუ ნეკერჩხლის ფოთლებსა თხრიდა, თითქოს მთელი  
სამყარო მასთან საომრად

ფურ-ირემი ცდილობდა ხარების გაშველებას, ხან ერთს  
აულოკავდა მხარის ბეჭსა და დრუნჩს ხაოიანი ენით, ხან  
მეორეს, მაგრამ ეს უფრო აგიჟებდათ მორკინალებს.

იმათ კარგა ხანს უარეს ერთმანეთის გარშემო წრეზე,  
ჩლიქებით მიწა აყარეს ერთიმეორეს და თავდახრილები  
ემგერნენ ერთ-ერთს.

ფურ-ირემი განზე გამდგარიყო და ერთი უშველებელი  
კაკლის ძირში ატუზული ადევნებდა თვალს სამკვდრო-  
სასიცოცხლო ბრძოლას. ირმები ხანდახან რქებით  
გაუსხლტებოდნენ ერთ-ერთს და ხანჯლებივით  
გალესილ რქებს ფერდებში ატაკებდნენ ერთიმეორეს.

წითლად ირთვებოდა ყვავილებით მოქარგული  
მინდორ-ველი. თითქოს საბოლოო ძალ-ღონე მოიკრიბეს  
და ეს-ეს არის ან ერთი მოუსპობს მეორეს სიცოცხლეს, ან  
მეორე, ისეთი მანძილიდან გაექანენ ირმები  
ერთმანეთისაკენ. იმათმა რქების შეჯახებამ თოფის  
გასროლასავით დაუარა მთელ ხეობას და კარგა ხანს არ  
წყდებოდა; ერთი დაბურული ხის ტოტებიდან, მეორე

დაბურულ ხის ტოტებს ეხიზნებოდა და ამით ტყის  
ბინადართ ამცნობდა ირმის მყვირალობას.

როგორც დაეჯახნენ ირმები, ისევე დარჩნენ ერთი-  
მეორის პირისპირ მუხლჩაჩოქილნი. ცდილობდნენ  
წამოდგომას, მაგრამ რქები არ უშვებდათ, ისე მძლავრად  
ჩაჰხლართოდათ ორივეს რქები, ერთ-ერთის თავებს  
გასაქანს არ აძლევდნენ.

– იუმეეე! – დაიყვირა ერთმა და თავი მისწი-მოსწია,  
მაგრამ ამაოდ.

– იუმეე! – ხმა მისცა მეორე ირემმაც.

როგორც იქნა წამოდგნენ, შეეცადნენ განცალკევებას,  
მაგრამ ამაოდ.

ფურირემს ჯერ ეგონა ისევე ჩხუბობდნენ ხარ-ირმები,  
მაგრამ ცხოველის ინსტიქტით  
მალეღვე მიხვდა მათ გასაჭირს და თვითონაც  
ცდილობდა მათ განცალკევებას...

...

იმ დღის მერე ასე სძოვდა ორი მოქიშპე ირემი ბალახს:  
როცა ირმის მყვირალობის ჟამი ჩამოდგებოდა,  
გადადგებოდნენ სერზე და მტრის გულის გასახარად  
მაინც გაჰყვიროდნენ სიყვარულის საგალობელს.

...

სიკვდილი?

### საქმე №13. გუთანი

(საიდუმლო ინფორმაცია მსხლის ხეზე, რომელიც შემდეგ...) ყოველმან ხემან, რომელმან ნაყოფი არ გამოიღოს, მახვილით მოიჭრას. ხე, ნაყოფის გამომღები, სარგოა როგორც კაცთათვის, ასევე ფრინველთათვის და ცხოველთათვის. არც ყოველი ხე უნდა მოიჭრას, რომელიც ნაყოფს არ გამოიღებს, რათა არ წახდეს და არ გამოიფიტოს ჰაერი, მაგრამ ნაყოფის გამომღებ ხეს დიდი ვალდებულება აქვს ღვთის წინაშე. ძველთაგანვე აკრძალული იყო ნაყოფის მომცემი ხის მოჭრა. და იყო ერთხელ ომი ქართველებსა და შემოსეულ მტერს შორის.

ქართველების ციხე მიუვალ კლდეზე იდგა. მტერი გარს ერტყა ციხეს. ციხის ძირში გვირაბი გადიოდა და გვირაბით აჰქონდათ იქიდან ქართველებს წყალი. ციხის გარშემო უფსკრული იყო, ამიტომ მრავალრიცხოვანი მტერი პირდაპირ შეტევაზე ვერ გადადიოდა. უფსკრულის ქვებით და მიწაყრილებით ამოვსება ბრძანა მტრის მთავარსარდალმა. დაიწყეს უფსკრულის ამოვსება. ციხის ზემოთ ცაში აშოლტილი მსხლის ხე იდგა. გაზაფხული იყო და ისე ლამაზად ჰყვავოდა

მსხლის ხე, უმთვარო ღამეშიც კი მთვარესავით ანათებდა მისი თეთრად გადაპენტილი ყვავილები. ამ მსხლის ნათელში უთვალთვალეზდნენ ერთიმეორეს მტერი და მოყვარე. თანდათან ივსებოდა მიწაყრილით ქართველების ციხის გარშემო უფსკრული, და

უცებ, ცაზე მეხის გავარდნის ხმასავით გაისმა ჭახანი.

ამ ხმაზე კარვიდან გამოვარდა მტრის მთავარსარდალი. იმან თვალი მოჰკრა, როგორ მოწყვეტით დაეცა მიწაყრილის მხარეს მოჭრილი მსხლის ხე, რომელსაც აფეთქებული ყვავილები სცვიოდა და ჰაერში თეთრი ყვავილების კორიანტელი და სურნელი იდგა.

სახე მოედრუმა მტრის მთავარსარდალს. ათასისთავი იხმო და მკაცრად იკითხა: – ვისი ბრძანებით მოიჭრა ეს მსხლის ხე?

-ჩემი ბრძანებით, დიდო მბრძანებელო.

ჯალათს უხმო მთავარსარდალმა და უბრძანა: – როგორც ის ნაყოფისგამომღები მსხლის ხე დაეცა მიწაზე, ისე დაეცეს ამავე წუთში ამისი ტანი!

ჯალათის ხმაღმა ჰაერში გაიშხუილა და ათასისთავის სხეული მთავარსარდალის ფეხებთან

დავარდა, ხოლო თავი მიგორავდა და ბოლოს ჯერ კიდევ ამოუვსებ უფსკრულში ჩაეხეთქა.

-ცხენი! – ბრძანა მტრის მთავარსარდალმა.

იმისთანა ცხენი მოჰგვარეს, გასაფრენად გამზადებულ ანგელოსს ჰგავდა.

-გახსოვდეთ, როცა გეწინააღმდეგებათ მტერი, საკუთარი სიკვიდილიც არ უნდა დაიშუროთ მის შესამუსრად, ხოლო როცა სიცოცხლეს უსწრაფებთ ნაყოფის გამომღებ ხეს, რომელსაც ერთნაირად მოაქვს სურნელი და ნაყოფი თქვენთვის და თქვენი მოწინააღმდეგისათვის, ღირსი არა ხართ მოწინააღმდეგეზე გამარჯვებისა. ასეთია ღმერთის სამართალი და ვინც ამას დაარღვევს, ისევე ჩაგორდება უფსკრულში იმისი თავი, როგორც ათასისთავი ჩაგორდა დღეს.

მოხსენით ალყა!

-მოხსენით ალყა! – ათასისთავებმა გასძახეს ერთ-ერთს.

მხოლოდ წასვლისას დააკარა მტრის მთავარსარდლის მერანმა მიწას ფეხი, მერე გაფრინდა და გაჰყვა ციხესშემოწყობილი ლაშქარი.

ქართველებმა იმ წაქცეული მსხლის ხისაგან გუთანი გამოთალეს, თავიანთ ხმალ-ხანჯლები გადაადნეს და მჭედელს იმ გუთნისთვის სახნისი და საკვეთელი გამოაჭედინეს. იმ გუთნით კი საუკუნეების მანძილზე მარტო იმ ციხის შემოგარენს ხნავდნენ, იქ მოჰყავდათ ქერი, რომლის მარცვლებსაც სალოცავ ხატში აფორებდნენ, იმისაგან ლუდსა და არაყს ხდიდნენ და იმათ შესანდობარს სვამდნენ, ვინც მამულისათვის ბრძოლაში დაეცა. ამავე ეკლესიაში ინახებოდა თასი, რომლითაც იმ მტრის მთავარსარდლის შესანდობარს სვამდნენ, რომელმაც ღვთის წინაშე სამართლიანად დაიცვა ნაყოფის გამომღები ხე.

ძვირფასო, მელია!

აი, ყველაფერი ის, რისი შეტყობაც შევიტყვე ამ ჩვენს მუზეუმში მიყუდებული გუთნის შესახებ. მომიტევეთ, მაგრამ არა მგონია ამ გუთანმა საჩვენოდ გაიმეტოს მომავალ არჩევნებში ხმა.

მარად თქვენი ერთგული და სადაც მიბრძანებთ

იქ შემრჭობი – სადგისი!

**საქმე №14. ზარფუში**



(საიდუმლო ინფორმაცია ზარფუმზე) ბატონო  
პრეზიდენტო!

მე დიდი გულისყურით ვათვალიერებ სამუზეუმო  
საგნებს, რომელთაც შემდეგ, როგორც თქვენ ბრძანეთ,  
ასეთი სახელწოდებით უნდა მიიღონ მომავალ  
არჩევნებში მონაწილეობა: მემუზეუმელთა კავშირი. ამ  
კავშირს დიდი გამოცდილებაა აქვს და ბევრი მტერიცა  
ჰყავს დანარჩენ სამუზეუმო ექსპონატებში, რომლებიც  
ყოველმხრივ შეეცდებიან სახელი გაუტეხონ  
მემუზეუმელთა კავშირს და ეს რომ არ მოხდეს, ისევ და  
ისევ თქვენი დავალებით შერჩეული მყავს ისეთი  
სამუზეუმო ექსპონატი, რომელიც არჩევნების დროს,  
ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ  
უნდა დავნიშნოთ. ეს ექსპონატი არის ზარფუმი. მე არ  
ვიცი ზარფუმი ქართული სიტყვაა თუ სხვა ენიდან  
შემოპარული ქართულში და ამის გამო შეიძლება  
ზარფუმის კანდიდატურამ წინააღმდეგობა გამოიწვიოს  
ჩვენს მოწინააღმდეგე პარტიებში, დაგვაბრალებენ  
არაეროვნულობას, რომ მუზეუმი სავსეა ისეთი  
ექსპონატებით, რაც აშკარად არაქართულია და რომ  
ეროვნული საგნები კიდობანში გვყავს გამოკეტილი  
(სხვათაშორის მაგ კიდობნის შესახებ მალე შევადგენ  
საქმეს და მოგაწვდით ინფორმაციას) ერთი სიტყვით,

ზარფუში, ჩემი აზრით, შეუცვლელი კანდიდატურაა ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ დასანიშნად. მოგახსენებთ: ზარფუში არის ის საგანი, რომელიც ეხურება საარაყე ქვაბს და იქ დატრიალებული ორთქლი ზარფუშის მილიდან გამოდის. იმ მილს ცივ წყალს ასხამენ და მილის ბოლოს პატრუქია დატანებული, საიდანაც არაყი ჩამოდის. ბევრ შემას შეუკეთებ საარაყე ქვაბს, შიგნით მეტი ორთქლი დატრიალდება და მილიდანაც მეტი არაყი გამოიხდება. თუ უფრო მეტ შემას შეუკეთებ, ქვაბში უფრო წამოდულდება საარაყე მასალა და შეიძლება ისე მოხდეს რომ არაყის მაგიერ მთხლე გამოვიდეს მილიდან. მოკლედ, ზარფუშზეა დამოკიდებული ორთქლის გამოშვება. რამდენსაც გვინდა იმდენ ორთქლს გამოვაშვებინებთ მილიდან და არაყსაც იმდენს გამოვხდით, რამდენიც საჭიროა. უნთოს მერე ოპოზიციამ საარაყე ქვაბს ცეცხლი და ადინოს ზარფუშის მილიდან მთხლე და ალაო. მთავარია ჩვენ გამოვადინოთ წინწანაქარი.

რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ზარფუში უნდა ავირჩიოთ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ.

მარად თქვენი წვერწამახული – სადგისი!

ბრძანება!

დაევალოს სამუზეუმო ექსპონატების კავშირს, უახლოეს სხდომაზე მომავალი სამუზეუმო არჩევნების ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ აირჩიოს ზარფუმი.

გუდამაყრის მუზეუმის პრეზიდენტი – მელია.

-მამავ, მამავ! – კარი შემოაღო შულლიანთ სეზაის ნაბოლარა ბიჭმა.

-რა იყო მამა გენაცვალოს?

-მე მგონი მდინარემ სხვა მხარეს გაჭრა თხრილი და ჩვენ სახლს ველარ მოგვტაცებს. აი, კიდევ ცივი წყალი მოგიტანე და დედიკომ დაგიბარა, ხინკალს ვაკეთებ და ცოტა ხანში სახლში გადმოდიო. გადმოხვალ ხო, მამავ?

-გადმოვალ, მამა გენაცვალოს.

-მანამდე ჩემი დის ამბავი მომიყევი, კარგი მამავ?

-მოგიყვები, – ნაღვლიანად თქვა შულლინთ სეზამ.

-რატომ წაიყვანეს ღმერთთან ბატონებმა?

-რა ვიცი, მამა გენაცვალოს, ალბათ ღმერსაც ლამაზები უყვარს. შენი და, ნინო, კი მართლა ისეთი ლამაზი იყო, ყვავილებში რომ გაივლიდა, მინდორში მოსიარულე

ველის შრომანი გეგონებოდა. ყაყაჩოები უყვარდა ყველაზე მეტად. ერთხელ იმ გორაზე წავიყვანე, სადაც ყაყაჩოები იზრდება და გადაირია სიხარულით. იმდენი ყაყაჩო ერთად არასოდეს ენახა. რამდენიმე ცალი მოწყვიტა და გახარებული ყვირილით გამოიქცა

ჩემსკენ.

-მამიკო, მამიკო, ნახე რა ლამაზი ყაყაჩოები მაქვს!

რომ მირბოდა, ქარმა ყაყაჩოების სუსტი ფოთლები გააყრევინა და ცარიელი ღეროები შერჩა ნინოს ხელში.

დაჯდა და ტირილი დაიწყო.

მე დაწყნარება დავუწყე: რა გატირებს, ხომ ხედავ გარშემო რამდენი ყაყაჩოებია-მეთქი.

-არა, არა, ეტყობა მე არ ვუყვარვარ ყაყაჩოებს, თორემ ფოთლებს არ ჩამოიყრევინებდნენო! – უფრო მოუმატა ტირილს.

მერე ბატონები შეხვდა და ღმერთთან წაიყვანეს.

-ღმერთთან ახლა ალბათ ყაყაჩოების ბაღში დასეირნობს ჩემი დაიკო, ხო მამავ?

-ხო, შვილო, მამა გენაცვალოს!

-დედამ თქვა დღეს შენი დის დაბადების დღეა და მთელი ოჯახი ერთად შევხვდებითო. ხინკალსაც იმიტომ ხარშავს, შენდობა უნდა ვუთხრათ ჩემ დაიკოს. წავიდეთ მამავ?

-წამო შვილო, წამო, შენი მამა გენაცვალოს შენ!

ხელი მოხვია შულლიანთ სებამ და თავისი უკვე გაღარიბებული მუზეუმიდან გარეთ გავიდა.

### საქმე №15. კერია

(ანუ საიდუმლო ინფორმაცია კერიაზე დაგდებულ თავმომწვარ ხეზე) კერა სახლის საფუძველია.

კერა სახლის საძირკველია.

კერა სახლის სალოცავია.

კერაზე ენთება ცეცხლი.

კერაზე ცხვება ხატში შესაწირი ქადა.

კერაზე ხდება სანთლის ჩამოქნა.

კერაზე ჰკიდია საკიდელი, რომლის გარშემოც შემოატარებდნენ ხოლმე ნეფე-პატარძალს და მათ მაყრიონს. მაყრები საკიდელს ხანჯლებს სცემდნენ და თან იძახდნენ: ღმერთმა გაგვიმრავლოს ჩვენი ნეფე-დედოფალი.

კერასთან წყდებოდა ოჯახის საქმეები.

კერასთან უყვებოდნენ უფროსები ბაღებს საგმირო ზღაპრებს.

კერასთან საპატო ადგილზე სვამდნენ სტუმარს.

კერასთან მღეროდნენ ზამთრის გრძელ ღამეებში ფანდურზე საგმირო ლექსებს.

კერის პირას უწმინდური ქალი ვერ დაჯდებოდა.

კერაში ღამ-ღამობით ახვევდნენ ღადარს, რომ დილით გაეღვივებინათ და ამაში იყო რაღაც დროის უწყვეტობა, რაც პრომეთემ ღმერთებს ცეცხლი მოსტაცა და ადამიანებს ჩამოუტანა მიწაზე, ადამიანი კი დღესაც გულმოდგინედ ახვევს ღადარს, რომ ხვალ კიდევ გააღვივოს ცეცხლი.

კერაზე ხვდებოდნენ ახალწელს.

აი, იმ გრძელ მორზე, რომელიც გუდამაყრის კერიის მუზეუმში ახლაც დევს, ოდესღაც, ახალი წლის ღამეს, მთელი ოჯახი გადასხდებოდა ამ მორზე, რომელსაც თავში ცეცხლი ეკიდა, ოჯახის უფროსი იმ ცეცხლს აბურჯდებდა ჯოხის ცემით და თან იძახდა: – ბებერაი მიბრძანდება! – ურტყამდა ჯოხს და აბურჯდებდა

ცეცხლწაკიდებულ მორს, ამით ძველ წელს  
მიაცილებდნენ და ბებერაიც მას ერქვა.

მერე საზეიმოდ დაიძახებდა: – ახალი წელი  
მობრძანდება!

-რასა ბრძანებს? – ეკითხებოდნენ ოჯახის წევრები.

-ბედსა, ბედნიერობასა, პურსა, პურიანობასა, ვაჟსა,  
ვაჟიანობასა, წულსა, წულიანობასა, ოჯახის  
ბარაქიანობასა!

მერე ოჯახის უფროსი გარეთ გავიდოდა და  
სპეციალურად ამ დღისათვის გამომცხვარ ბედისკვერს  
შემოაგორებდა სახლში. თუ ბედისკვერი წალმა  
დაეცემოდა, დიდი სიხარულის მომტანი იყო ეს წელი,  
თუ გულალმა დაეცემოდა ავის ნიშანი იყო, ვილაცა  
გულალმა გავიდოდა იმ წელიწადს ამ ოჯახიდან.

ქართველისათვის ყველაზე დიდი წყევლა იყო, შენ  
გაგიცივდეს კერაო.

-ხო ახდა? – ნიშნისმოგებით იკითხა მელიამ.

-რა? – უცებ ვერ მიუხვდა სადგისი.

-კერის გაცივება. ეს მორი აქედან უნდა გავათრევინოთ,  
თორემ ეს შულლიანთ სება ისეთი ჯიუტი ჩანს, შეიძლება

საახალწლოდ კერაც გაგვიღვივოს აქ და თუ ამათ  
კერიების გაჩაღება დაიწყეს, ჩაგვეშლება ის დიდი საქმე,  
რაც ბოლომდე უნდა მივიყვანოთ.

ამალამვე მივუსევ გაწვრთნილ ჩრჩილებს მაგ  
საახალწლო ხეს და პირობას გაძლევ ერთ კვირაში  
ნამცეცს არ დატოვებენ.

-რაც შეიძლება ეცადე ბევრი ჩრჩილები გაწვრთნა  
სხვადასხვა საქმეებისთვის – დაარიგა მელიამ სადგისი  
და კუდი თავქვეშ ამოიღო.

\* \* \*

ის ღამე თავის ცოლ-შვილთან გაათენა შულლიანთ  
სებამ. დილით რომ მუზეუმში დაბრუნდა ელდა ეცა – იმ  
ადგილზე სადაც ფარდაგზე ვახტანგ მეფის ანდერძი იყო  
ამოქარგული ჩრჩილებს ისეთნაირათ ამოეჭამათ  
ანდერძი რომ ზოგი სიტყვა მთლიანად გამქრალი იყო  
ანდერძიდან და სულ სხვა მნიშვნელობას იძენდა ამის  
გამო ეს დიდებული ანდერძი. ახლა ასე გამოდიოდა ამ  
ანდერძის შინაარსი: ანდერძი

(ამის წინ ამოჭმული იყო სიტყვა ვახტანგის)  
(მტკიცედა) ამოჭმული იყო და დარჩენილი იყო  
შემდეგი: სდექით სარწმუნოებასა ზედა და ეძიებდეთ  
სიკვდილსა



ამოქმული იყო სიტყვა ქრისტესათვის და საერთოდ აღარ იყო სიტყვები: რათა მარადიული დიდება მოიგოთ!

-ვაი, ჩემს თვალებს, ეს რა უქნიათ ჩრჩილებს! – აღმოხდა შულლიანთ სებას.

-რა უქნიათ და ისეთი სიტყვები ამოუჭამიათ, რითიც ის ანდერძი იყო სასიქადულო.

-მაინც რა სიტყვა არის ისეთი შექმული, რომ ეგრე დაგწყდა გული? – ჰკითხა მელიამ.

-აქ იყო, რომ ეძიებდით ქრისტესათვის სიკვდილსა, ეხლა კი ქრისტესათვის ამოქმულია და გამოდის რომ ისე უნდა ვეძიებდეთ სიკვდილს, ურწმუნოდ, არაფრისათვის.

-მაგაზე ზედმეტ ალიაქოთს ნუ ატეხავ, ანდერძებს ქვეყნის მბრძანებლები წერენ და თუ ამ მუზეუმში ვინმეს რამე ეკითხება, მე მგონი მომავალ არჩევნებამდე სამუზეუმო საგნებს ჩემი სჯერათ და რახან ეს ფარდაგიც სამუზეუმო ექსპონატია, ვიფიქრებთ და შემდეგი არჩევნებისთვის უკეთეს ანდერძს ამოვაქარგვინებთ ზედ. ისე, ჩემი აზრით ვიწრო გუდამაყრულ ჩარჩოებში არ უნდა ჩავიკეტოთ და ყველა რელიგიას თავის გასაქანი უნდა მივცეთ, თუ გვინდა რომ საერთაშორისო დემოკრატიულმა მუზეუმებმა თავის ოჯახში მიგვიღონ.

ჩვენ ამ მუზეუმის ექსპონატებს არ უნდა მოვახვიოთ თავს მხოლოდ და მხოლოდ ქრისტიანობა, ჩვენ უპირველესად დემოკრატიული მუზეუმი ვართ და ვერავის ვერ ავუკრძალავთ იწამოს ის, რაც მას სურს. აი, მაგალითად ზარფუმს, შეიძლება სულაც არ უნდა ქრისტიანობის სახელით გამოუშვას ის ორთქლი, რაც საარაყე ქვაბში დაგროვდა. ჩვენ უფრო სხვა მასშტაბებით უნდა შევხედოთ სინამდვილეს, დღევანდელი მუზეუმები სხვა პრინციპებს ემყარებიან და ჩვენ ცალკე ვერ ვიქნებით. თოფები და ხმლები, და ათასხუთასი წლის წინანდელი ანდერძი რომ გვიკიდია მუზეუმში ეს უპირველესად ჩრდილს აყენებს ჩვენს მუზეუმს. ჩვენ უნდა ვისწავლოთ, ჩვენ უნდა შევეგუოთ ახალ აზროვნებას, სხვანაირად დემოკრატიულ ფერხულში ვერ ჩავდგებით. ეროვნულობის ყვირილმა რაც მოგვიტანა, კარგად მოგეხსენება. დღეს მსოფლიო მუზეუმები დემოკრატიის, ახალი აზროვნების პრინციპებით ერთიანდებიან და სირცხვილია იმაზე ტირილი, საქართველოს რუკაზე ათასხუთასი წლის წინათ დაწერილ ასოს თუ ამოსჭამს ჩრჩილი.

-ეს მუზეუმი იმისათვის შევქმენი რომ მამა-პაპათა აზროვნება და რწმენა შემენახა მომავალი თაობებისათვის, თუკი ყველაფერს კიდობანში

გამოვკეტავთ და ანდერძსაც ჩრჩილებს შევაჭმევინებთ, უარს ვიტყვით იმ სარწმუნოებაზე, რომლის ძალითაც დღემდე მოვედით, რაღას ჰქვია ახალი აზროვნება?

-ახალი აზროვნება იმასა ჰქვია რაც წინა არჩევნების მერე, ჩვენი მუზეუმის უდიდესმა მოაზროვნე ნაწილმა, სამუზეუმო ექსპონატთა კავშირმა რომ წამოიწყო და ეს საქმე ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. ჩვენ შუა გზაზე საქმის მიტოვება არა გვჩვევია და ზოგიერთებს მინდა შევახსენო, რომ ჩვენ ბრძოლის ყველა ხერხს გამოვიყენებთ ჩვენი დაწყებული საქმის ბოლომდე მისაყვანად.

-ეს მუზეუმი სულ სხვა მისიით გავხსენი ბატონო მელია, სოფელ-სოფელ ვაგროვებდი ძველებურ ნივთებს, რაც ჩვენ წინაპრებს უტარებიათ, რითიც დღემდე მოვედით და მეჩვენება, რომ ის ნივთები ერთმანეთს წაეკიდნენ და თავს დამნაშავედ ვგრძნობ. ხალხი მეკითხება, რა მუზეუმია, ხმალი შენ არ გიკიდია შიგნით და ხანჯალიო, მაპატიეთ და მარტო თქვენი ფიტულის გამოსაჩენად არ გამიხსნია ეს მუზეუმი. თავიდან არც კი გაგვხსენებიათ, არაფერი ხეირი არ გვახსოვდა თქვენგან და რამოდენიმე ექსპონატის მოთხოვნით მოგიყვანეთ რუსული ბასტიონიდან აქ. ვიფიქრეთ, მტრის ბუჩქში სად რომელი კურდღელი იმალება ის

ეცოდინება და იმის მაგივრად რომ ეს გვითხრათ, მარჩიელობთ, ყველაფერზე იმას იძახით, მომატყუეს თორემ მე დანამდვილებით ვიცოდი რომელ ბუჩქში რომელი კურდღელი იჯდაო. სიმართლე გითხრათ მეშინია, როცა ერდოებიდან შემოსულ აჩრდილებს საიდუმლოდ ელაპარაკებით. არასოდეს ასეთ ლაპარაკს ჩვენი მუზეუმისთვის სასიკეთო არაფერი არ მოჰყოლია, პირიქით, ხან თოფები ჩამაკეტინეთ კიდობანში ამის მერე, ხან ხმლები და ხან ფარები. ყველაფერს სხვას აბრალებთ და ისე დადიხართ ამ მუზეუმში, ერთი ფეხის დანადგამ ნაკვალევს არ ტოვებთ თქვენსას, მიითრევთ კუდს და შლით თქვენს ნაკვალევს. მე მთელი ცხოვრება ამ მუზეუმის შექმნას შევალე, ლამის არის ცოლ-შვილი შიმშილით გამიწყდეს და ღმერთმა ნუ ქნას, თუ კიდევ მოღანდელივით ადიდდა მდინარე, სახლსაც გამტაცებს.

-ამაზე არჩევნების მერე ვილაპარაკოთ, ეხლა კი დიდი სურვილი მაქვს გავარკვიო, რა კიდობანია და რა წარსული აქვს იმ კიდობანს, სადაც ის შენი სანაქებო ეროვნული ხმალ-ხანჯლებია ჩაკეტილი. იქნება შეთქმულებაც კი მზადდება არჩევნების წინ მაგ კიდობანის შიგნით.

მომახსენეთ!

- ამ წუთას, კიდობნის საქმეს დაგიდებთ, ჩემო ბატონო!
- მელიის წინ გამოგორდა ავადწვერწამახული სადგისი.

## საქმე №16. ქალამნები

ბატონო მელია! მანამ ცოდვის კიდობანზე, რომელიც თურმე ასეთ სახელს ატარებდა სოფელში, სრულ ინფორმაციას შევაგროვებდე, ნება მომეცით წვრილ-წვრილი საქმეებით დავაკავო თქვენი ყურადღება. ამ შემთხვევაში საქმე ეხება ქალამნებს, რომლებიც მუზეუმის ჩრდილოეთ კედელზე ჰკიდია სხვა ტანსაცმელთან ერთად. ჩემი აზრით ზუსტად ეს ქალამნები გამოგვადგება ჩვენ არჩევნებში, იმიტომ რომ როგორც შევიტყვე მაგ ქალამნების წყალობით სასამართლოში საქმე მოიგო იმ კაცმა, ვისაც ეგ ქალამნები ეცვა. ორი გლეხი ედავებოდა ერთ-ერთს მამულს. ადრე რომ მამულები პაპიდან შვილიშვილზე გადაეცემოდა და ერთი გოჯი მიწა რომ მოეხნა სხვის მამულში ვინმეს, აუცილებლად სისხლი დაიღვრებოდა.

ამ ქალამნების პატრონმა მთლიანად მოხნა სხვისი მამული. პატრონი უწყინარი კაცი იყო და რა თქმა უნდა მიწის გულისთვის არც ხმალი უშიშვლია და არც ხანჯალი. წავიდა და თემის კაცებს შესჩივლა თავისი გასაჭირი.

მაშინ რუსები კი იყვნენ უკვე შემოსული, მაგრამ სოფლის თავკაცების სამართალი მაინცა სჭრიდა.

მამულის პატრონი ამტკიცებს ჩემია მიწაო.

ქალამნების პატრონი იძახის ჩემი მამა-პაპის დანატოვარიაო.

ვერ შველდებიან.

ბოლოს დაინიშნა სასამართლო.

დაისწრეს რუსი ბოქაული.

სოფლის მღვდელმა ბიბლია მოიტანა.

ქალამნების პატრონმა ღამით თავისი კუთვნილი მამულის მიწა ჩაიყარა ქალამნებში და როცა ბიბლიას ხელი დაადო, ასე დაიფიცა: – მაღალი ღმერთის ძალი და ამ წმინდა ბიბლიის მაღლი გამიწყრეს, თუ რაიმე მოვიტყუო, ის მიწა რომელზედაც ახლა ფეხისგულები მიდგა ჩემს მამა- პაპას ეკუთვნოდა და ასევე მეკუთვნის მეც.

მისი სიტყვა და ფიცი ისეთი დამაჯერებელი იყო, ხმა ველარავინ გასცა, ნამდვილმა პატრონმაც კი ველარ თქვა ველარაფერი და ხალხი ამტყუვნებდა კიდევ, ამდენ ხანს

სხვისი მამული უხნია, როგორც იქნა სამართალმა  
იზეიმა და მიწა ნამდვილ პატრონს დაუბრუნდაო.

აი, ეს ქალამნები ჰკიდია ჩვენს მუზეუმში და თუკი  
ვინმეს მომხრობა გვინდა, ზარფუმთან ერთად, მე მგონი,  
ეგ ქალამნებიც დიდ საქმეს გაგვიწევენ.

მარად თქვენი ერთგული და სადაც მიბრძანებთ  
დაუყოვნებლივ იქ შემრჭობი – სადგისი!

### საქმე №17. საფლავის ქვა

დიდო მელია, საფლავის ქვას რა უნდა მუზეუმში?

შულლიანთ სებას რომ ვკითხე, მითხრა, ეგ საფლავის  
ქვა მდინარის პირას ვიპოვე, არ ვიცოდი ხატიდან  
წამოიღო წყალმა, ან ვის საფლავს ეკუთვნოდა და  
მუზეუმში იმიტომ მოვიტანეო.

-რას გვიმლის მერე საფლავის ქვა, იყოს, ვინ იცის  
როგორ გამოგვადგება საარჩევნოდ.

-ჩვენ რომ არ მოგვცეს ხმა?

-რატომ ფიქრობ?

-ზედ უცნაური წარწერა აწერია.

-რა აწერია?

-სოფლისა თავსა მჯდომარე

სოფლისა ბოლოს ესვენა, „ცრუ არის ესე სოფელი“

საფლავის ქვაზე ეწერა.

-მშვენიერი წარწერა არის, – თქვა მელიამ.

-ის რომ წერია, სოფლისა თავსა მჯდომარე, სოფლისა ბოლოს ესვენაო, ცუდად ხომ არ გენიშნებათ ეს.

-ჰო, ეს ვერ დაუწერიათ მთლად კარგად, მე თუ მკითხავენ, ყოველი სოფლისა თავსა მჯდომარე, სიკვდილის მერეც სოფლის თავს უნდა ესვენოს, მაგრამ გვყვანან მუზეუმის თავში დასაჯდომად გამზადებული საგნები და სწორედ იმათ დავადებთ ზემოდან მაგ ქვას.

-დიდებული აზრია.

-მანამდე შენ მაგ საფლავის ქვასთან იმუშავე და იქნებ წამოაცდენინო, საიდან წამოიღო წყალმა, ვის საფლავს ეკუთვნის და ჩააწვეთე, რომ მე დიდად ვაფასებ მაგ ქვის ჩვენ მუზეუმში არსებობას.

-ყველაფერს შევიტყობ და საჩვენო აზრზე დავაყენებ, – ჩაუჩურჩულა მელიის ფიტულს სადგისმა და მუზეუმის კუთხეში დაგდებულ საფლავის ქვისაკენ გაგორდა.

მდუმარე ლაშქარი



-მამავ, მამავ, რა კარგი იყო გუშინ ღამით ყველას ერთად რომ გვეძინა სახლში, იქნებ ამაღამაც სახლში წამოხვიდე დასაძინებლად, – სთხოვა შუღლიანთ სებას ნაბოლარა შვილმა.

-ვერა შვილო, მამა გენაცვალოს, ვერ წამოვალ.

-რატომ მამავ, დედა ხომ კარგად გექცევა და აღარა გასაყვედურობს, სახლისთვის არაფერს აკეთებო.

-ხო შვილო, მაგრამ მუზეუმს ველარ დავტოვებ უმეტვალყურეოდ, აქ ისეთი ამბები ხდება...

-არაფერიც არ ხდება მამავ, თავისთვის არიან საგნები, ამათ რა ყარაულობა უნდა, თუ გინდა გარედან დავკეტოთ ბოქლომით კარი, რომ ღამით ქურდებმა რამე არ მოიპარონ.

-არა შვილო, მამა გენაცვალოს, ჩრჩილები შესევინა საქართველოს ფარდაგს, ვახტანგ მეფის ნახევარი ანდერძი უკვე შეუჭამიათ, რაღაცა უნდა ვიღონო, რომ მოვსპო ეგ ჩრჩილები, თორემ მთელ ფარდაგს ნაფლეთებად აქცევენ.

-მეც მოგეხმარები მამავ, მაგათ კვერცხები ექნებათ ფარდაგში დადებული და, მოდი მზეზე გავიტანოთ,

დედაჩემი მზეზე ფენს ხოლმე როცა რამეს ჩრჩილები გაუჩნდება.

მამამ და შვილმა ფარდაგზე ჩამოკიდებული საგნები ჩამოხსნეს, ტახტზე დაალაგეს, მერე ფარდაგი გარეთ გაიტანეს, მზეზე გაფინეს და ტანსაცმლის ჯაგრისით გაასუფთავეს, მტვრისა და ჩრჩილების კვერცხებისაგან.

საღამოს, მზე რომ ჩაიწვერა, ისევ მუზეუმში შეიტანეს ფარდაგი, ჩამოკიდეს აღმოსავლეთ კედელზე და ტახტზე დაწყობილი ნივთები ჩამოაკონწიალეს ზედ.

-ეხლა ხომ დაიძინებ ჩვენთან მამავ?

-ვერა შვილო, მამა გენაცვალოს, მაინც სჯობია აქაურობას ვუყარაულო.

-წავალ, წყაროს წყალს მაინც მოგიტან, – დოქს წამოავლო ბიჭმა ხელი და წყაროსაკენ მოკურცხლა.

-შენ გენაცვალოს შენი მამა, შენა, აი! – კი არ უთქვია, ისე გაივლო ეს სიტყვები გულში სებამ და კიდობანში ჩაიხედა, სადაც თოფები და ხმალ-ხანჯლები ჰქონდა ჩაწყობილი.

-დაახურე თავსახური და დაკეტე თუ არ გინდა რომ ისე შეგერჭო, სული გაგაფრთხობინო, – მოესმა სადგისის ხმა სებას.

დაახურა კიდობანს თავსახური და კლიტით ჩაკეტა.

-მოიტა ეგ გასაღები და ჩამაბარე, – უბრძანა მელიამ.

შულლიანთ სებამ ყელზე ჩამოჰკიდა მელიის ფიტულს კიდობნის გასაღები.

ბიჭმა წყაროს წყალი მოარბენინა დოქით.

-გინდა მამავ, მეც შენთან ერთად დავიძინებ ამაღამ მუზეუმში, – თქვა ბიჭმა.

-დედა რომ გაგიბრაზდეს?

-დედას უკვე ვუთხარი.

-კარგი ჩემო ბიჭო, ამ ერთ ღამეს დაიძინე, აი, რა კარგი ტახტი გვაქვს, ისეთი ბედნიერი ოჯახის ნაქონი ტახტი ყოფილა ეს, ამაზე ძილს რა სჯობია.

-ჩემი დის ამბავს და ზღაპრებსაც ხომ მომიყვები მამავ.

-მოგიყვები, მამა გენაცვალოს, მოგიყვები.

ბიჭი გულაღმა წამოწვა ტახტზე და მუთაქა ამოიღო თავქვეშ. მამა გვერდით მიუწვა.

-ერთ სოფელში, – დაიწყო ზღაპრის მოყოლა სებამ, – შაბათ დილით წირვაზე წასულა მთელი სოფელი.

შევიდნენ ეკლესიაში და დაიწყო მღვდელმა წირვა. ამ

დროს საიდანღაც მოცურდა უშველებელი გველეშაპი და ეკლესიას შემოეხვია გარშემო, ისე რომ კუდი და თავი შესასვლელთან დადო და ისე ჩაკეტა, ველარავინ ბედავდა გარეთ გამოსვლას. ფანჯრებს დიდი რკინის გისოსები ჰქონდა დატანებული, მაგრამ ისე იყო ხალხი შეშინებული, გისოსებიც რომ არ ყოფილიყო, მაინც ვერ გაბედავდნენ გარეთ გამოსვლას.

გველეშაპი ეკლესიაში ვერ შედიოდა წმინდა გიორგის შიშით, ხალხი გველეშაპის შიშით ვერ გამოდიოდა გარეთ და იყვნენ ასე.

გავიდა ერთი დღე. ორი. სამი. ლოცულობდა ხალხი რომ მოეშორებინა იქაურობისათვის გველეშაპი, მაგრამ იმდენი ცოდვა ჰქონდათ ჩადენილი, არ შეისმინა ღმერთმა მათი ლოცვა.

-არც მღვდლისა, მამავ?

-ხო, არც მღვდლისა შვილო, ეტყობა იმასაც ცოდვა ჰქონდა ჩადენილი. გველეშაპი კი იყო ეკლესიის გარშემო შემოწოლილი და ელოდებოდა როდის გამოვიდოდნენ რომ ყველა ჩაეყლაპა. არა და ხალხს მოშივდა, წყალიც მოსწყურდათ, ღმერთი კი არ ისმენდა მათ ლოცვას.

-მერე მამავ?

-იმ ხალხში ერია ერთი შენხელა ბიჭი, რომელსაც ძალიან სწამდა ღმერთი და რასაცა სთხოვდა, ღმერთიც უსრულებდა, მაგრამ ისე უყვარდა ამ ბიჭს ღმერთი, არ აწუხებდა თხოვნით.

-რას აკეთებდა ხოლმე ღმერთის შეწევნით ის ბიჭი მამავ?

-ერთხელ შუა ზაფხულში, ძალიან დაცხა, ლამის ქვეყანა გადახმა, იმ ბიჭმა ღმერთს სთხოვა და თოვლი მოიყვანა.

-კიდევ მამავ?

-ერთხელ, შუა ზამთარში პატარა და გაუხდა ავად, ისე ავად რომ გადარჩენის პირი აღარ ჰქონდა. სიკვდილის წინ დამ ძმას სთხოვა, ვაშლი მინდაო. მოირბინეს მთელი სოფელი, მაგრამ არავის არ აღმოაჩნდა ვაშლი. მაშინ ბიჭმა ღმერთს სთხოვა, ღმერთმა ვაშლის ხე ააყვავა, იმავე დღეს გამოისხა ნაყოფი და დამწიფდა კიდევ.

ბიჭმა დიდი გობით მიართვა თავის დაიკოს თურაშაული ვაშლები.

-და გველემაჰი რომ მოეშორებინა ეკლესიისათვის, ის არ სთხოვა ღმერთს იმ ბიჭმა, მამავ?

-სთხოვა, მამა გენაცვალოს და ისე უყვარდა ღმერთს ის ბიჭი შეუსრულა თხოვნა.

-მოკლა გველეშაპი?

-არა, მთელი ეკლესია, თავის ხალხიანად ცაში აფრინდა და ღმერთის საუფლოში დაეფუძნა. დარჩა წითელი გველეშაპი პირდაღებული დედამიწაზე.

-რა კარგია მამავ, ნეტავ მეც ეგრე ვუყვარდე ღმერთს, თხოვნით არც მე შევაწუხებდი, უბრალოდ ვთხოვდი მდინარე რომ ადიდდება დიდი წვიმების დროს, არ მოგვტაცოს ჩვენი სახლი და კიდევ ვთხოვდი, რომ არ გეჩხუბოს დედიკომ და ღამ-ღამობით მთელმა ოჯახმა ერთად დავიძინოთ ხოლმე. კიდევ ვთხოვდი, რომ ერთი დღით გამიცოცხლოს ჩემი დაიკო, მაჩვენოს როგორია და მერე ისევ თავისთან წაიყვანოს ყაყაჩოების ბაღში. მთვარე ამოვიდა და ერდოებიდან შემოიჭრა მისი მკრთალი სხივები. ყურდაცქვეტილი მელიას ფიტული რალაცას გაჰყურებდა ერდოდან. მთვარის შუქზე კარგად ჩანდა მთაზე გაჭრილი გორგასლის ნაგზევი, რომელზეც უცნაური სანახაობა ხდებოდა ამ დროს – ძველ ნაგზევზე მოდიოდა მდუმარე ლაშქარი, რომელსაც წინ თეთრ ცხენზე ამხედრებული ახალგაზრდა მეფე მოუძღვებოდა. მეფეს მოჰყვებოდნენ მხლებლები და რაინდები

მოასვენებდნენ ვახტანგ მეფის მასწავლებელს. მეფე იყო დაღვრემილი. მთვარის შუქზე ელვარებდა ჯვრიანი ქართული დროშები.

შეშინებული ბიჭი მამას ეკვროდა და ძველ ნაგზევზე მიმავალ მდუმარე ლაშქარს გაჰყურებდა.

უთვალავ ლაშქარს ბოლო არ უჩანდა.

მთვარე ღრუბლებში მიიმალა და ლაშქარიც გაქრა.

-ეს რა იყო მამავ?! – ჰკითხა ჯერ კიდევ შიშით აკანკალებულმა ბიჭმა მამას.

-ნუ გეშინია ჩემო ბიჭო, ღმერთს უყვარხარ კეთილი რომ ხარ და იმიტომ დაგანახვა ამ გზაზე ათასხუთასი წლის წინათ მიმავალი ვახტანგ მეფის ლაშქარი. თუ უფრო მეტი გულით შეიყვარებ ღმერთს და უფრო კეთილი იქნები, მე რომ მოგიყევი, იმ ბიჭივით ყველაფერს შეგისრულებს.

ბიჭი მამას გულში ჩაეხუტა.

ცოტა ხანში ჩაეძინათ კიდევ.

მელიამ სადგისს უხმო და წაუჩურჩულა: დილით უბრძანე, ეგ ერდოები ამოქოლოს რომ მეტად აღარ გამოჩნდეს ძველი ნაგზევი.

-არ ამოქოლავს და ისე შევერჭობი რო?! – დაამშვიდა მელია სადგისმა.

ტკბილად ეძინა მამა-შვილს ბედნიერი ოჯახის ნაქონ ტახტზე.

დილით მზის სხივი შემოიჭრა ერდოდან და უცნაურად გაანათა კიდობანი, რომელსაც ეჭვის თვალით უყურებდა მელიას ფიტული. ყელზე სამკაულივით ეკიდა იმ კიდობნის ბოქლომის გასაღები.

### საქმე №18. ცოდვის კიდობანი

(საიდუმლო ინფორმაცია კიდობანზე, რომელიც ახლა გუდამაყრის მუზეუმში დგას, შიგ თოფ- იარაღი, ვეფხისტყაოსანი და კიდევ სხვა ნივთები აწყვია, რომელთაც შეიძლება ხელი შეუშალონ ახალ აზროვნებას, რომელი აზროვნებაც წარმართავს ცივილიზებული მსოფლიოს სხვადასხვა მუზეუმებს) როგორც მითხრეს არსებობს მშვიდი, ღვთითკურთხეული სიკვდილი. ასეთი სიკვდილით მიიცვალა !). წლის შემოდგომაზე ათონის ივერთა მონასტრის ბერი ბენიამინი. მწუხარებამ მოიცვა ქართველი ბერები. ტაძარში დაასვენეს ბენიამინის ცხედარი და უთენებენ ღამეს. ათონის მთაზე არც ისე იშვიათად მომხდარა სასწაულები, რის მოწმენიც ეს



ბერებიც გამხდარან ღვთის განგებით, მაგრამ რაც იმ ღამეს მოხდა, ეს ნამდვილად ენით აუწერელი სასწაული იყო. ჯერ მიცვალებულის სახე განათდა უცნაური ღვთიური შუქით. ბერებს ეგონათ, რომ მიცვალებული ცოცხლდებოდა და ხმამაღალი ლოცვით შეჰლაღადეს ღმერთს. მიცვალებულის სახეზე დაფენილი ღვთიური შუქი თანდათან ძლიერდებოდა და ბოლოს ისე გაძლიერდა, რომ მთელი ტაძარი განათდა ამ შუქით. აღმოსავლეთის კედელზე კი უცნაური სანახაობა წარმოჩინდა: როგორც კინოეკრანზე, ისე გამოჩნდა ბენიამინის ბავშვობა, ყრმობა, ყოველი საქმე რაც ბენიამინს სიცოცხლეში უკეთებია. ბერები ბენიამინის საქმეების ამსახველ ნათებაში ხედავდნენ თავის თავს. იმათ შორის იყო ბერი ზოსიმეც, რომელიც გუდამაყრის ხეობიდან წამოიყვანა გზადმიმავალმა ბენიამინმა და მას მერე შვილივით ზრდიდა. მანვე მოიყვანა ათონის წმინდა მთაზე და აი, ახლა, ტირილით ეთხოვება თადეოზი თავის სულიერ მამას. ბოლოს აღმოსავლეთის კედელი თვალისმომჭრელი შუქით განათდა, იმ სინათლიდან გამოვიდა მაცხოვარი, ბენიამინი გულზე მიიყრდნო და უთხრა: – წამო შვილო, წამო! სინათლე უფრო გაძლიერდა და მაცხოვართან ერთად გაქრა ბენიამინის გამოსახულება ტაძრის კედელზე.

მიცვალებულის სახეზე ნათება ჩაქრა. ისე იყვნენ ნანახი სასწაულით აღფრთოვანებული ბერები, ველარცკი აღიქვამდნენ ბენიამინის ცხედარს მიცვალებულად. მათ ხომ ეს-ეს არის თავის თვალთ ნახეს, როგორ შეიყვანა მაცხოვარმა მათი წინამძღვარი დიდ საუფლოში.

ათონის მთაზე, შემალლებულ ადგილზე არის საძვალე, სადაც ყველა ქართველი ბერის თავის ქალაა მოთავსებული. ეს საძვალე უფრო ტაძარია, ვიდრე საძვალე. პირველ სართულზე მიცვალებულთა ძვლებია თავისი აღმნიშვნელი ნომრებით, თუ ვის კუთვნილებას წარმოადგენს ესა თუ ის თავის ქალა, ხოლო მეორე სართულზე ტაძარია.

სამ წელიწადს მიწაში მარხავენ მიცვალებულს, შემდეგ საფლავს თხრიან და საძვალეში გადააქვთ მისი თავის ქალა.

ბენიამინის ცხედარიც, მესამე დღეზე მიწას მიაბარეს ქართველმა ბერებმა. თადეოზი აირჩიეს წინამძღვრად, რადგან იგი სიწმინდითაც იყო განთქმული და ბენიამინის უსაყვარლესი მოწაფეც იყო. მწუხარე იყო თადეოზის გული. თუმცა თავისი თვალთ იხილა, როგორ შეიყვანა დიდ საუფლოში მაცხოვარმა მისი გამზრდელი და მოძღვარი, მაგრამ სიხარულთან ერთად

სევდის მძიმე ლოდი ეწვა გულზე. ამ ლოდს, ადამიანთა ენაზე, ამ ქვეყანაზე ობლად დარჩენის ლოდი ჰქვია. პირველად ადრეულ ბავშვობაში განიცადა ობლობა თადეოზმა. ახლაც ცხადად ახსოვს ის დღე, როცა რუსის ჯარისაგან დაბეგრული სოფელი ერთ საწყალ მაჩვზე იყრიდა მთელი რუსეთის ჯავრს. როგორც გითხარით, ისე ჰყავდა შევიწროვებული რუსის ჯარს მთელი გუდამაყრის ხეობა, სახლიდან „სტრაჟნიკის“ დაუკითხავად არცკი შეეძლოთ სოფლიდან შორს წასვლა – რა იცი როდის გზის გასაწმენდად დაგიძახებდნენ და როდის კიდევ სხვა სამუშაოზე. ქალებს ტვირთებით თივას აზიდვინებდნენ ცხენებისათვის. როცა უნდოდათ მაშინ შედიოდნენ „სტრაჟნიკები“ გუდამაყრელთა სახლებში და თუკი რაიმე სანოვაგეს ნახავდნენ, უბოდიშოდ და მადიანად შეექცეოდნენ. ყოველ გუდამაყრელს ისინი დაცინვით „კაცოს“ ეძახოდნენ. ახლაც ყურში უწივის „სტრაჟნიკების“ მიერ ნათქვამი ეს კაცო თადეოზს. მწირია გუდამაყარი და ერთადერთი კარტოფილი ხარობს, იმით გაჰქონდათ ზამთრობით თავი. კარტოფილით და ქერის პურით, თუმცა ქერის პური დიდი სიამოვნება იყო, ქერში სვილსაც ურევდნენ და ამას ქერ-სვილაის პურს ეძახდნენ.

მაჩვი შეეჩვია კარტოფილებს. ღამ-ღამობით უსაფრდებოდნენ, მაგრამ ვერა და ვერ მოიგდეს ხელში. ვილაცამ ხაფანგი დაუგო. მაჩვი ხაფანგში გაება და როგორც ჩანს იმდენი იწვალა, ხაფანგის სამაგრი მოგლიჯა და თან წაითრია ხაფანგი. სისხლის კვალს გაჰყვნენ სოფლელები და ამით მიაგნეს მაჩვის სოროს, რომელიც ლოდებით გამაგრებულ ადგილას იყო ღრმად ჩათხრილი. უფროსებმა სოფელში გააგზავნეს ბაღლები და ბარები და ქარჩები მოატანინეს სოროს გამოსათხრელად. გამოთხარეს და რას ხედვენ, მაჩვს გულში თავისი ლეკვი ჰყავს ჩაკრული და ქშუტუნით ცდილობს თავდაცვას, ეტყობა ჰგონია ამით ხალხს შეაშინებს, მაგრამ ხალხს შურისძიება სწყურია, ისინი ისე არიან „სტრაჟნიკების“ თავხედობით შეწუხებული, თვითონაც სურვილი აქვთ ვილაცაზე იყარონ ჯავრი. რა თქმა უნდა, ყველა მათგანს რუსებისაგან ჩამორთმეული აქვს თოფები, რომ ბუნტი არ მოაწყონ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად ხანჯლები აქვთ ჩოხის კალთებს შიგნით გადაძალული. ამ შურისძიებამოწყურებულ ხალხის წინ დგას ლეგაფერის სქელბეწვიანი მაჩვი, რომელსაც შუბლისა და ცხვირის გაყოლებაზე თეთრი ზოლი ჩამოსდევს. შეშინებულ მაჩვს ჯაგარი ეკლებივითა აქვს წამოშლილი. ვილაცამ კეტი მოუქნია და სწორედ იქ დაარტყა, სადაც

თეთრი ზოლი ჩამოსდევდა ტუჩცხვირის გასწვრივ. სისხლმა შეღება ეს თეთრი ზოლი. მერე მეორემ დაარტყა კეტი. მაჩვი ქშუტუნებდა და ლეკვს უფრო მაგრად იკრავდა გულში. ვიღაცამ ხანჯალი იშიშვლა და ტუჩი წააჭრა. მაჩვს ლეკვი გაუვარდა, გამწარებულმა საშინლად ამოიქშუტუნა. ვიღაცამ ხაფანგის ჯაჭვს ჩაავლო ხელი და სოფლისაკენ წამოათრიეს მაჩვი, რომ იქ სხვებისვთისაც ეჩვენებინათ როგორ უნდა მათი ბარაქის გამნიავებლის წვალემა. ორი-სამი კაცი ძლივს მოათრევდა, შვილისაკენ იწევდა, არ უნდოდა მისი მიტოვება, ბასრი ბრჭყალებით ფორჩხნიდა ღორღიან მიწას. ძალით მოათრევდნენ და ლეკვიც თან მოჰყვებოდა, ის როგორღაც ახერხებდა, ლეკვის მხარეს წაფორთხდებოდა და გულში იკრავდა. ხალხი ჯოხებით ამორებდა შვილს და მაჩვი ამ დროს საშინლად ღმუოდა. დასცხეს კეტები და მდინარეში გადააგდეს. არც იქ დაიხრჩო, ნაპირზე გამოცურა და ისევ გულში ჩაიკრა თავისი შვილი. ახლა კი გამეტებით დასცხეს კეტები და ექსტაზმიცემულმა ხალხმა ქვასა და ღორღში აურიეს მაჩვი და მისი ასევე შუბლსაღარა ლეკვი. სწორედ ამ დროს თოფების სროლა გაისმა და სოფლის მოედანზე „სტრაჟნიკები“ შემოცვივდნენ ცხენებით.

-რა ამბავია, რაშია საქმე?! – დაიყვირა უფროსმა, რომელსაც როგორც ჩანს საშინლად არ მოეწონა კეტებით შეიარაღებული ერთადმეყრილი ხალხი.

-მაჩვი მოვკალით უფროსო, ამისაგან მოსვენება აღარა გვექონდა, გაგვინადგურა მოსავალი – ქუდის მოხდით მოიბოდიშა სოფლის მამასახლისმა.

-ვი შტო, ეტა ბუნტ?! – უფრო დაიყვირა „სტრაჟნიკების“ უფროსმა და მრისხანედ გადახედა ხალხს, რომლებიც ისე შეშინდნენ, კეტები და ქარჩები შორს მოისროლეს.

-მაჩვისაგან კი არა, ამათგან არა გვაქვს მოსვენება! – დაიძახა თადეოზის მამამ და სტრაჟნიკებზე მიუშვირა ხალხს ხელი.

-შტო, შტო?! – აენტო უფროსი.

-რას ამბობ, კაცო, გაგიჟდი?! – წამოაძახეს აქეთ-იქიდან თანასოფლელებმა თადეოზის მამას.

-დასცხეთ კონდახები მაგ მამაძაღლს! – ბრძანა უფროსმა და „სტრაჟნიკებსაც“ მეტი რა უნდოდათ, თოფის კონდახებით ჩაჩეხეს თადეოზის მამა.

თანასოფლელებიდან არავინ გამოჰქომაგებია, ნიშნსაც კი უგებდნენ და ერთ-ერთს ეჩურჩულებოდნენ: – ახია, ახი!

ჩვენი წაქეზებაც უნდოდა, არ იცოდა რომ რუსებს ვერ მოვერევით.

-ეგდოს აქ, სანამ სული არ ამოსძვრება, არავინ გაბედოთ მიხმარება, თორემ ვაი თქვენი ბრალი! – დაემუქრა დამტვრეული ქართულით უფროსი და ხალხს უბრძანა გზის გასაწმენდად გაჰყოლოდნენ ბეგარაზე. თადეოზის მამა ცოცხალ-მკვდარი ეგდო მოედანზე. სახლიდან ტირილით გამოვარდა მოხუცი დედამისი. თადეოზის დედა არ იყო ამ დროს სახლში, დღე-დღეზე უნდა ემშობიარა და რაკი სოფლის წესი ჰკრძალავდა „მირეული“ ქალის სოფელში ყოფნას, მდინარის გადაღმა ჰქონდა სოფელს სამშობიარო სოფელი და მშობიარობიდან მხოლოდ ორმოცი დღის მერე შეეძლო მელოგინე ქალს სოფელში დაბრუნება. სალოცავის მოედნად და წმინდა ადგილად ითვლებოდა ეს სოფელი და წესს ვერავინ დაარღვევდა. ამიტომ იყო თადეოზის დედა ამ დროს მდინარის გადაღმა აშენებულ სამშობიარო ბოსელში. თადეოზმა და მისმა ბებიამ ძლივს წაათრიეს კონდახებით ჩამსხვრეული თადეოზის მამა სახლში, მარტო ორი მოხუცი ქალი მიეხმარა სოფლიდან, დანარჩენები ისე იყვნენ „სტრაჟნიკებისაგან“ შეშინებულნი, სახლებში შეიკეტნენ.

ახლა ახსენდება თადეოზს, როგორ ესვენა სახლის შუაგულში მდგარ ტახტზე მომაკვდავი მამა და სულის გაყრას ებრძოდა. მამამისსაც რაღაც უცნაური შუქით ჰქონდა სახე განათებული. ბიჭმა ისიც შეამჩნია, რომ სახლში ადამიანები შემოვიდნენ, შემოვიდნენ და მომაკვდავის აქა- იქა დადგნენ. ჯერ თანასოფლელები ეგონა მოსულები ბიჭს, მაგრამ მერე მიხვდა რომ ისინი ჩვეულებრივი ადამიანები არ იყვნენ.

-ბებო, ბებო, ვინ არიან ეს კაცები? – ჩუმად ჩაუჩურჩულა თადეოზმა მტირალ ბებიას.

-ეგენი სულეთის კაცები არიან, ჩემო ბიჭო, ჩემი საწყალი შვილის წასაყვანად არიან მოსულნი.

-სად უნდა წაიყვანონ?

-სულეთის ქვეყანაში! – ამოიქვითინა მოხუცმა.

მომაკვდავმა თვალები გაახილა და ჯერ სულეთის კაცებს შეხედა, მერე თადეოზს, მერე დედის ხელი აიღო და გულზე დაიდო.

ბიჭმა დაინახა, რომ სულეთის კაცებს დაენანათ დედა-შვილის ასეთი ყოფა და მზერა აარიდა.

**ჩანართი**



(ანუ სულ-ხორცის გაყრა და დედის დალოცვა სულეთის ქვეყანაში მიმავალი შვილისა) მოხუცმა ცრემლები მოიწმინდა. კარადიდან თაფლის სანთელი ამოიღო და აანთო.

შვილმა დედას შეხედა. დედამ კი ასე დაითხოვა შვილი: – დამითხოვიხარ, ნულა შემომტირი, გამშორდი დედაშვილობით (ქალი სულეთის კაცებს მიუბრუნდა: წაიყვანეთ, ნუ დაგენანებათ, ოღონდ მშვიდობის გზებით ატარეთ). წადი, დედაო, გაჰყევი, ნურცარა შეგაშინებს, ნუმც დამიღონდები, მალედამც შაეყრები შენ სწორთ. უდედობით ნუ იტირებ. გაჰყევი შვილო, მაინც არ გწირავენ; მე დამითხოვიხარ, ჩამიბარებიხარ სულეთის კაცთათვის. გიყვარდა ყველაი, მაგრამ ეხლა უნდა გასწირო. თუ რამეში შესცდი: ხელით, ენით, თვალით სუ ყველაფერიმც გეპატიოს, ცოდვად ნუ გადაგხდების. წადი, ჯვარი გეწეროს. ალალიმც არის შენზე ჩემი ამაგი. მე დამითხოვიხარ, უნდა გავიყაროთ დედა-შვილობით; სულეთის ღმერთიმც ჩაგიბარებს, ისიმც დაგაყენებს ნათელს. მშვიდობით, ჯვარი გეწეროს, ნათელშიმც იქნები! ქალმა სანთელი დაამაგრა საკაცის თავთან. სულეთის კაცებმა თვალები დაუხუჭეს თადეოზის მამას და მერე მის სულთან ერთად გავიდნენ კარიდან.

სალამო ხანი იყო. ტირილით გავარდა დედისაკენ თადეოზი. მდინარეზე ხის ერთი მორი იყო გადებული და ზედ ადიდებული მდინარე გადადიოდა ჩქერად.

-დედაა, დედაა, მამიკო მოჰკლეს! – გაჰყვიროდა დედას თადეოზი.

ქალი ბოსლიდან გარეთ გამოვიდა. ხელში ჩვრებში გამოხვეული პატარა ეჭირა.

-მამიკო მოჰკლეს, დედაა! - გასმახა თადეოზმა და ხიდზე გასვლა დააპირა.

-ხიდზე არ შემოდგე, გადავარდები! – დაუმახა ქალმა, პატარა ბოსელში დატოვა და თადეოზისაკენ გამოიქცა, რომ ხიდზე არ შემდგარიყო.

-მამიკო მოჰკლეს, დედაა! – ტიროდა ხიდისყურთან თადეოზი. ქალი ხის მორზე შემოდგა, მაგრამ შუამდე რომ მოვიდა, ხიდზე გადამავალმა მდინარის ჩქერმა დაჰკრა და მორიდან გადააგდო.

-დედაა! დედაა!– გაედევნა ტირილით მდინარის ნაპირს თადეოზი.

შავად მიქანავებდა მდინარე. ერთი-ორჯერ ამოატივტივა ქალის სხეული და მერე შიგ ჩაიხვია,

წავიდა და წაშავდა, ჩამოწოლილმა ღამემაც ხელი შეუწყო სიშავეში.

თადეოზის ბებია გადასახლდა პატარას გასაზრდელად იმ სამშობიარო ბოსელში. სანამ ორმოცი დღე არ გახდებოდა, სახლში ვერ მოიყვანდა პატარას. ერთი თხა ჰყავდათ, ის წაიყვანა და იმის ძუძუთი ზრდიდა უდედოდ დარჩენილ ბიჭს. მაგრამ კაცს რომ ერთხელ დაატყდება უბედურება, თურმე ეგრე ადვილად აღარ ანებებს თავს. იმ სამშობიარო სახლშიც ის ავადსახსენებელი „სტრაჟნიკები“ მივიდნენ და მიუხედავად მოხუცის ხვეწნისა, მაინც დაკლეს ბიჭის დედისმაგიერი თხა, კოცონიც დაანთეს და მწვადებიც შეწვეს.

თოფის კონდახიც ჩაარტყეს ქალს თავში და როცა მოხუცი გრძნობაზე მოვიდა, აღარც „სტრაჟნიკები“ იყვნენ იქ და პატარაც ტირილით გაგუდულიყო.

შავად დაბრუნდა შავი ბებერი სახლში.

შავად ჩამოჯდა შავი კერიის პირას.

-ბებო, პატარა ბიჭიც სულეთის კაცებმა წაიყვანეს?–  
ჰკითხა თადეოზმა.

-ჰო, შვილო, სულეთის ქვეყანაში წაიყვანეს.

-დედა რომ სხვაგან წაიღო მდინარემ, ვაი თუ სხვაგან წასულმა ვერ ნახოს მამაჩემი და ჩემი ძმა! – შეშინებული თვალები შეანათა შავ ბებერს ბიჭმა.

-ნუ გეშინია, შვილო, სულეთის ქვეყანა ერთია, ნახავენ, აუცილებლად ნახავენ ერთ-ურთს.

-სად არის სულეთის ქვეყანა ბებო?

-ხმელეთი რომ გათავდება, ცის ნაპირი რომ გათავდება, იქ არის სულეთი. ცის ნაპირის იქით ხორციელი ვერ მიდის, თორემ რამდენი წავიდოდა თავისიანების სანახავად.

-ჯერ არავის გაუცურნია ცის ნაპირამდე ბებო?

-რა ვიცი შვილო, ამბობენ წმინდა ნოეს გაუცურნია კიდობნით დიდი წარღვნის დროს და მერე ისევ დაბრუნებულა.

-კიდობნით?

-ასე გამიგონია შვილო – შავად ამოიოხრა შავმა ბებერმა.

იმ ღამეს ქუხდა და ელავდა. გათენების პირზე ჩაეძინა დაღლილ ბებერს.

მზის ამოსვლისას გამოეღვიძა. თადეოზს დაუწყო ძებნა. მთელი სოფელი შემოიარა, მაგრამ ვერსად ვერ

იპოვა. ბოლოს საფლავებთან მიაგნო . მარტოკა სთხრიდა ბიჭი მამის საფლავს. „ სტრაჟნიკების“ შიშით არავინ არ ეხმარებოდა. ასევე მარტოკამ შეაბა ხარები მარხილში, ბებუის დახმარებით მამა მარხილზე დაასვენა, საფლავთან აიტანა და რაკი ქალის მისვლაც არ შეიძლებოდა აქაური წესით საფლავთან, მარტოკამ მიაყარა თადეოზმა მამას მიწა. პატარა ბიჭი, რაკი ჯერ ორმოცი დღისა არ იყო, სასაფლაოზე არ დაამარხვინეს და იქვე, მდინარის გაღმა, სამშობიარო სოფელთან გაუთხარა პატარა საფლავი თავის პატარა ძმას, სამ დღეში დაკაცებულმა თადეოზმა. ამის მერე შავი მოხუცი იშვიათად იღებდა ხმას. ერთ დილით კი მისმა ტირილმა გააღვიძა სოფელი: – თადეოზ, შვილო, თადეოზ,სადა ხარ?– მწარედ გაჰკიოდა მოხუცი. ვერსად ვერ იპოვეს თადეოზი. სამი დღე ეძებდნენ, მაგრამ მნახველიც კი ვერავინ ნახეს. ბოლოს ვიღაცამ იმათი სახლის კალოში დადგმულ კიდობანს ახადა სახურავი და იქ ნახეს გულაღმა მწოლიარე თადეოზი. ამ კიდობანში პურის მარცვალს ინახავდნენ და იმ მარცვლებზე იწვა ბიჭი, რომელსაც სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა. კიდობნიდან ამოასვენეს და სახლის დერეფანში დაასვენეს ტახტზე. მკვდარი იყო, მაგრამ არც მკვდარი ეთქმოდა, სახეზე სულ

ბედნიერების ალმური გადასდიოდა. სამი დღე ესვენა ასე, არც სუნთქავდა, არც რაიმე სხვა სიცოცხლის ნიშანი ეტყობოდა, მარტო სახე ჰქონდა ჩვეულებრივი მკვდრისაგან განსხვავებით ბედნიერად განათებული, იმდენად ბედნიერად, რომ ჯერ სიცოცხლეში არავის ენახა ასეთი ბედნიერი გამომეტყველების მქონე ადამიანი. ამ სოფელში სამი დღის მერე წესად ჰქონდათ მიცვალებულის დამარხვა და გადაწყვიტეს კიდევ საფლავის გაჭრა, რომ უცებ მიცვალებულის თავს ზემოთ მტრედის ფართქალის მაგვარი ხმა გაისმა და ამის მერე ბიჭიც შეტოკდა, სულეთის ქვეყანაში წასული სული მოფრინდა და ჩაიბუდა მის სულში.

-ბებო , ბებო, რა გახარო ბებო! – ეხვეოდა ბიჭი ბებიას. მართლა გასცურა ცის ნაპირამდე ჩვენმა კიდობანმა, ღმერთს ვთხოვე, რომ სულეთის ქვეყანა ეჩვენებინა და იმიტომ ჩავწექი კიდობანში, ჩავწექი და გავცურე კიდევ.

იცი რა ლამაზია სულეთის ქვეყანა, იცი რა კარგად არიან ჩვენები, დედაც ვნახე, მამაც, ჩემი პატარა ძმაც, პაპაჩემიც; აღარ მინდოდა იქიდან წამოსვლა, მაგრამ ბოლოს თასით წყალი მოიტანეს, ჩემ წინ დაღვარეს და მიბრძანეს: წადი და სანამ შენი აქ მოსვლის ჟამი არ მოვა, ქვეყანას ემსახურეო. ნეტავ გენახა რა დიდებულია

სულეთის ქვეყანა და რა ბედნიერები არიან ყველანი, ასე ხომ აღარ იტყვიან ბებო.

-კარგი, ოღონდ შენ ნუ დამიღონდები და აღარ ვიტყვებ ჩემო ბიჭო, აღარა, – ჩამომჭკნარი ხელით ცრემლები მოიწმინდა მოხუცმა.

გაზაფხული იყო და ხალხი მამულებს ხნავდა. თადეოზს მოწნული ჯინით ნაკელი გაჰქონდა თავის მამულში რომ გაენოყიერებინა. გზად სხვის მამულზე უნდა გაევიღო. იმ მამულის პატრონს მგელიკა ერქვა. მართლა მგელივით დაუნდობელი და ავადმზირალი კაცი იყო.

გაატარა ერთხელ თავის მამულისკენ თადეოზმა ხარები და ჯინი, დაუხვდა მგელიკა წინ, გადმოუბრუნდა ჯინი და თავის მამულში გაშალა ნაკელი.

-რას შვრები ძია მგელიკავ, სხვა გზა საით მაქვს, დღემდე ესე დაგვქონდა სასუქი და ახლა რა დაგიშავე რო გზას არ მაძლევ - შემცბარმა ჰკითხა თადეოზმა მგელიკას.

თადეოზმა ხმა არ გასცა, მამულის ხვნა გააგრძელა. წამოვიდა თადეოზი, ისევ გაივსო სასუქით ჯინი და

წაიღო თავის მამულისაკენ. ისევ დაუხვდა წინ მგელიკა და თავის მამულში წამოუქცია ჯინი.

სახლში ატირებული მივიდა თადეოზი.

-ხმა არ გასცე, ბებო გენაცვალოს, თორემ ეგ ისეთი გულქვაა, ვაი თუ რამე დაგიშაოს. უსასუქოდ მოვხნათ მამული.

-უსასუქოდ რა ყანა უნდა მოგვივიდეს, ბებო?

-ხო იცი მამასახლისია და რუსები მაგის მხარეს დაიჭერენ, დავალებული აქვს ალბათ იმათგან ჩვენი გამწარება.

თადეოზმა კიდევ გაავსო ჯინი სასუქით და თავისი მამულისაკენ გაუძღვა ჯინში შებმულ მხარეს.

-რამდენჯერ უნდა გამაიარო ამ გზაზე შე მკვდარციციანო, შენა! – შემოუქნია მგელიკამ შოლტი და ნახნავ მიწაზე დააგდო თადეოზი. მერე მართლა მგელივით მიეჭრა და ნახნავ მიწაში ცოცხლად დაუწყო ჩამარხვა. ბელტს ბელტზე ადებდა და თან ლანძღავდა: – შე მკვდარციციანო! შე ბუნტავშიკის შვილო! რუსეთი არ გინდათ და ხარები კი გინდა ატარო ჩემ მამულზე არა! ჩამარხა ცოცხლად. თადეოზის ბებია მიეჭრა და შვილს დაუწყო თხრა.



-არ ამოსთხარო, თორე! – დაიღრიალა მგელიკამ და ქარჩით თავი გაუხეთქა მოხუცს.

გალმა მამულში აპარეკაი ხნავდა მამულს. ჯერ ყველაფერს უყურებდა და როგორღაც ითმენდა. როცა მგელიკამ ბალღი ცოცხლად ჩამარხა ნახნავ ბელტებში და მოხუცს სული გააფრთხობინა, მიატოვა ხარ-გუთანნი, ჩოხის კალთის შიგნით ჩამალული ხანჯალი იშიშვლა და შიგ გულში გაუყარა მგელიკას. ამოთხარა ბიჭი ბელტებიდან და მომაკვდავ მგელიკას მიაძახა: – დალიე ეხლა ეგ ძაღლური სული, შე მართლა მკვდარციციანო შენა!

საიდანღაც გამოცვივდნენ „სტრაჟნიკები“, მაგრამ აპარეკამ მოასწრო გორის გადავლა და ტყეს შეერია.

დარჩა თადეოზი მიწისა და ცის ამარა, მაგრამ მიწასა და ზეცას ჰყავს თავისი გამრიგე და არ დატოვა არსთაგამრიგემ უპატრონოდ თადეოზი, რომელმაც ერთხელ უკვე ნახა სულეთის ქვეყანა და იქიდან ამ სიტყვებით გამოუშვეს უკან: წადი, ემსახურე ქვეყანას და სანამ შენი დრო არ მოვა, აქ აღარ მოხვიდე. ამიტომ აღარ ჩაწვა თადეოზი იმ კიდობანში, რომლითაც ერთხელ უკვე გასცურა სულეთის ქვეყანამდე. დაასაფლავა ბებია და მართალია უკვე იცოდა, რომ სულეთის ქვეყანაში

ბედნიერად იქნებოდა ბებიათა და ერთხელ სთხოვა კიდევაც, სულეთის ქვეყნის მკვიდრთ ბედზე არ ეტირა, თვითონ მაინც იტირა, როცა ბებიათ ბლუჯით მიწა მიაყარა. რაკი გუდამაყარზე იყო ძველად გზა, აქ ჩამოიარა წმინდა ბერმა ბენიამინმა და თან წაიყვანა თადეოზი. ახლა სწორედ სამი წელი სრულდებოდა მას მერე, რაც ბენიამინი ათონის მთის მიწას მიაბარეს ქართველმა ბერებმა და წესის მიხედვით მონასტრის საძვალეში უნდა გადაესვენებინათ მისი ძვლები.

აღასრულეს წესი.

ბენიამინის თავის ქალას ნომერი დაუსვეს.

გადაიხადეს პარაკლისი იმ ეკლესიაში, სადაც თავის დროზე ექვთიმე ათონელი ლოცულობდა. ეს არის მოგრძო ეკლესია და სწორედ ამ ეკლესიაში იყვნენ ბოლო ქართველი ბერები ათონის მთაზე, რომელიც ოდესღაც ქართველთა სიმრავლით და მათ მიერ ჩადენილი სასწაულებით იყო განთქმული. მაგრამ როგორც ილეოდა ძველი დიდება, ოდესღაც ზღვიდან – ზღვამდე განფენილი და ჟამთასიავის გამო მრავალმეტერმორეული საქართველოსი, ასევე ილეოდა ბერ-მონაზონთა რიცხვი, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს წმინდა ადგილებზე და მათ შორის ათონის მთაზეც, სადაც

ბოლო დროს ძალიან შევიწროებას განიცდიდნენ ქართველი ბერები და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მათი წმინდა მთაზე ყოფნა-არყოფნის ჟამი დადგა. ათონის მთაზე, ივერიის მთავარ ტაძარში, აღსავლის კარის წინ ჰკიდია ქართველი დიდებულების მიერ შეწირული კანდელი, რომელიც ჟამით-ჟამს იწყებს ხოლმე რხევებს, წრიულს, ან ჰორიზონტალურს. დროთაგანმავლობაში აკვირდებოდნენ ბერები ამ რხევებს და აღმოაჩინეს, რომ თუ კანდელი წრიულად ირხევა, ეს სასიხარულო ამბის ნიშანია, ხოლო თუ მარჯვნიდან მარცხნივ ირხევა ჰორიზონტალურად, ეს სამწუხარო ამბის მაუწყებელია. ეს მონასტერი დააარსეს იოანე, ექვთიმე და გიორგი ათონელებმა, რომელთა წმინდა ძვლებიც განისვენებენ იმ საძვალეში, სადაც სულ ახლახან ბენიამინის წმინდა ძვლები გადაასვენეს სამარხიდან უკანასკნელმა ქართველმა ბერებმა. უკანასკნელმა იმიტომ, რომ საქართველოს კიდევ ერთხელ წაუჭერს ყელში ლახვარს სატანა, კიდევ მორიგე მტრის უღელს დაადგამენ საკუთარი შვილები და ივერონის აღსავლის კართან დაკიდებული კანდელიც სამწუხაროდ რხევებს დაიწყებს. ამას მოჰყვება ქართველი ბერების იძულებით წამოსვლა საქართველოში, სადაც რუსეთს უკვე შემოტანილი აქვს

წითელი უღელი. ბერები ეთხოვებიან ათონის მთას და იქ ტოვებენ ერთადერთ ბერს, იმ იმედით რომ მალე დაბრუნდებიან საქართველოდან და თავიანთ მამა-პაპათა ნაშენებ ტაძრებში ისევ შეასრულებენ ქართულ წირვა-ლოცვას.

მწუხარე არის ეს დღე.

საძვალიდან წინაპართა ძვლების წმინდა ნაწილებს იღებენ და საქართველოში მოაქვთ.

ყველაზე მეტად უჭირს მამებთან განშორება იქ დარჩენილ ერთადერთ ბერს.

ივერონის მონასტრის კართან ისევ სამწუხაროდ ირხევა კანდელი.

მოდიან ბერები. გზა არის შორი და დამღლეელი. იმათ ჯერ კიდევ არ იციან როგორი საქართველო ელოდებათ. არ იციან რომ სათითაოდ ყველას დახოცავენ. ერთ ბერს არმაზში აკუწავენ და გვიანდა ნახავს ხალხი. მეორე ბერს შიო მღვიმში მოკლავენ. ერთი ბერი რევოლუციონერმა ქართველებმა ხიშტზე წამოაგეს, გამორჩათ, მაგრამ მაინც მოკლეს ბეთანიაში.

მანამ ეს მოხდებოდა, ასე შეეგება წითელულელდადგმული ბედნიერი საქართველო სამშობლო მონატრებულ ბერებს.

ისინი ბაზარში შევიდნენ და ასეთ სურათს წააწყდნენ. შუა ბაზარში დიდი დათვის ტყავი იყო გაშლილი. ზედ ორი პატარა ბელი იჯდა და ხალხისაგან დამფრთხალები ერთ-ერთს ეკვროდნენ. ტყავის გარშემო ამაყად დაალაჯუნებდა უზარმაზარი მთიული და ხალხს სთავაზობდა: – იყიდეთ, იყიდეთ, მთიულური დათვის ტყავი, თავისივე ბელებით. ასე შეეგება ათონის მთიდან იძულებით წამოსულ ბერებს მშობლიური საქართველო. მათ ჯერ კიდევ არ იცოდნენ რა ელოდათ წინ.

არც თადეოზმა იცოდა.

იგი მატარებელს მიჰყვებოდა. მატარებელი გორთან გააჩერეს და თადეოზმა დაინახა, რომ ქვედა საწოლიდან ვიღაც გაათრიეს. იმას სხვა ვაგონიდანაც მიაყოლეს მეორე. თადეოზი ჩუმად ჩამოვიდა მატარებლიდან და დაღმართს დაუყვა, მტკვრის პირას დაიმალა. ჩამალულმა ბინდ-ბუნდში, გაარჩია როგორ მოჰყავდათ ჩეკისტებს ხალხი, როგორ გაათხრევინეს სამარე, მერე იმ სამარის პირას ჩაამწკრიეს და თოფები მიუშვირეს.

-რას შვრებით, ღმერთი აღარა გწამთ? – სამალავიდან წამოხტა ხმამაღალი ყვირლით თადეოზი. ეცნენ და ისიც სხვებთან ერთად დააყენეს სამარის პირას.

ერთდროულად იჭექა რამდენიმე თოფმა და ფერდის არეში იგრძნო თადეოზმა ტკივილი, როცა სხვებთან ერთად ჩაეხეთქა გათხრილ სამარეში.

ზემოდან თხლად მიაყარეს მიწა. ეტყობა ხვალაც აპირებდნენ აქ ხალხის მოყვანას. განთიადისას მოახერხა სამარიდან ამოდრომა თადეოზმა.

-ეე, მღვდელი გაიქცა სამარიდან, მღვდელი! – იყვირა ვიღაცამ. ეტყობა იმ ადგილას ყარაულად ჰყავდათ დაყენებული.

ისევ მტკვრის პირას ჩაიმალა თადეოზი და დაღამებას დაელოდა. გადაწყვეტილი ჰქონდა როგორმე გუდამაყარში წასულიყო და იმ კიდობანში ჩაწოლილიყო, რომლითაც ერთხელ უკვე იმგზავრა სულეთის ქვეყანაში. ჭრილობა ანაფორის ნახევებით შეიხვია მჭიდროდ. ტყე- ტყე მიდიოდა ღამლამობით. როგორც იქნა მიაღწია თავის სოფელს, მივიდა თავის სახლთან, დააკაკუნა, ბიძაშვილმა გაუღო კარები. თავიდან ვერ იცნო.

-თადეოზი ვარ, თადეოზი! – გადაეხვია ბიძაშვილს თადეოზი, რომელსაც აშკარა უკმაყოფილება შეეტყოს სახეზე.

დასხდნენ. გამართეს საუბარი. თადეოზმა თავს გადახდილი მოუყვა. ბიძაშვილმა თავისი უამბო.

-კიდობანი ისევა დგას კალოში? – ჰკითხა თადეოზმა.

-კი, ისევ იქ არის.

-იქ მინდა ამაღამ ჩაწოლა.

-რატომ, მდევრებისა გეშინია?

-არა, იმ კიდობანში ჩაწოლა მომენატრა.

-სირცხვილი არ არის, დაჭრილი კაცი კიდობანში როგორ ჩაგაწვინო, შენი სახლია და დროებით ვცხოვრობ აქ, აბა სხვას ხომ არ შემოვუშვებდი, მე მგონი არ გწყენია, თორემ კიდობანში დაძინება რა საკადრისია.

-არა, ნუ გეწყინება, იმ კიდობანში მინდა ჩაწოლა.

-ნება შენია, – თქვა ბიძაშვილმა და კალოსკენ წაუძღვა თადეოზს.

კიდობანში აღარ ეყარა ხორბალი. ნაბადი ჩაუფინა ბიძაშვილმა და ისე ჩაწვა თადეოზი.

-სოფელში რომ შემოხვედი, ხომ არავის დაუნახიხარ? –  
ჰკითხა ბიძაშვილმა.

-ძეხორციელი არ შემხვედრია.

-ძალიან კარგი, თორემ ხო იცი, რა დროა.

-ზემოდან სახურავი დამახურე – უთხრა თადეოზმა.

ბიძაშვილმა ზემოდან კიდობანს სახურავი დაახურა და დიდხანს ფიქრობდა ერთ ადგილას დაყუდებული. მერე სადღაც წავიდა.

მზისამოსვლისას ახადეს კიდობანს სახურავი ჩეკისტებმა. თადეოზს ხმაურზე არ გაულვიძნია, რაღაცნაირად ბედნიერი სახე ჰქონდა, ისეთი, ბავშვობისას რომ ამოიყვანეს კიდობანიდან.

-სძინავს? – იკითხა ჩეკისტმა.

-ეტყობა – თქვა თადეოზის ბიძაშვილმა.

რამდენიმე მაუზერმა ერთდროულად იქუხა კიდობნის შიგნით. რომ ამოიღეს, ისევ ისეთი ბედნიერი გამომეტყველება ჰქონდა თადეოზს სახეზე, როგორც ჩვეულებრივ მკვდარს არა აქვს ხოლმე და ცოცხლებსაც კი იშვიათად შეამჩნევ ასეთ ბედნიერების ნიშანს.

მამამისის გვერდით დამარხეს თადეოზი.



ის კიდობანი კი მანამდე იდგა იმ კალოში, მანამ  
შუღლიანთ სებამ გუდამაყრის მუზეუმი არ ააშენა და  
ერთი ძროხა არ მისცა კიდობნის ახალ პატრონს იმის  
შესყიდვაში. როცა კიდობანს სისხლისაგან  
ასუფთაებდა, მაშინ იპოვა სებამ ანაფორის ნახევში  
გამოკრული ათონელი ბერების ძვლების ნაწილები.  
კიდობნის კუთხეში შეენახა თადეოზს. ძვლები ისევ იმ  
კიდობანში დატოვა სებამ. ხალხმა კი ამ კიდობანს  
„ცოდვის კიდობანი“ შეარქვა და საყვედურობდნენ  
კიდევ, რაღა მაინცდამაინც ცოდვიანი კიდობანი  
შემოიტანე კიდობანშიო.

ბატონო მელია!

თუ მიბრძანებთ იმ ბერების ძვლებსაც მივუჩენ  
ჩრჩილებს. კიდობანზე არ ვიცი რა მოგახსენოთ, მაგისი  
გასაღები თქვენს ხელთაა და არა მგონია საარჩევნოდ  
ჩვენს წინააღმდეგ გაბედოს რამე. კიდობანის იქით რომ  
ჩოხა ჰკიდია, ისიც თადეოზის ნაქონი ჩოხაა და ეჭვიც არ  
მეპარება, რომ ჩვენ მოგვცემს ხმას. სებას უნდა კიდობანს  
სულეთის კიდობანი შეარქვას, მაგრამ რაკი ერთხელ  
უწოდა ცოდვის კიდობანი, არა მგონია სებას რამე  
გამოუვიდეს. თუ სულეთის კიდობანს შეარქმევენ, მაშინ  
შიგ გამომწყვ ვდეულ ნივთებსაც ფასი და ხმა  
მოემატებათ. ჩვენ ყველანაირად უნდა ვეცადოთ, რომ

კიდობანს „ცოდვის კიდობანი“ ერქვას. ასეთი სახელით უფრო იოლად დადგება ჩვენს მხარეზე.

მაპატიე, დიდო მბრძანებელო, შეიძლება ცოტა გრძელი ინფორმაცია გამომივიდა ამ კიდობანის შესახებ, ან იქნებ რაიმე ისეთი ინფორმაცია ვერ მოვიპოვე, რაც თქვენს ბრწყინვალეობას უფრო საჭიროდ მიაჩნია, მაგრამ ერთი წუთით არ დავიშურებ ცდას და დამატებითი ამბების მოგროვებას.

როგორც ყოველთვის, ახლაც თქვენი ბრძანებით ყველგან შემრჭობი – სადგისი!

კიდობანს ეჭვით უყურებდა მელია და ყელზე შებმულ გასაღებს მარცხენა თათით აქეთ-იქით ათამაშებდა.

-ჩრჩილებს ნუ მიუსევ მაგ ბერების ძვლებს, მოვა დრო და მე თვითონ დამჭირდება გამოსახრელად და ისევე გამოვხრავ, როგორც ერთ დროს ქრისტეს მიმდევართა ძვლებს ვხრავდი და ვაკნატუნებდი – გააფრთხილა მელიამ სადგისი და ისევ მარცხენა თათით

გააქან-გამოაქანა აქეთ-იქით ყელზე ჩამოკიდებული კიდობანის ბოქლომის გასაღები.

.....

ხანდახან ისე საშინლად დაიქუხებს ხოლმე გუდამაყარში, რომ შეუჩვეველ კაცს ეგონება, ეხლა ეს მაღალი ცა მთებს შორის ჩამოიმსხვრევა და ერთიანად ჩაიტანს არაგვის ვიწრო ხეობას. მაღალ მთებს შორის მოქცეული ხეობა კი მართლაც ვიწროა და რაკი აქ გამუდმებით შავი არაგვი მოედინება, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სადღაც ამ მთებშია ჯოჯოხეთის შესასვლელი კარი და ეს კუპრივით შავი მდინარეც იქიდან მოდის. საკმარისია წვიმა წამოვიდეს რომ გახელდება, გადაირევა მდინარე, ერთი მთიდან მეორეს აწყდება, ტალღებს იქოჩრავს, ლოდებს მოაგორებს და რალაცაზე გულამღვრეული მიიჩქარის ხეობის სიღრმისაკენ, თითქოს მართლა ჯოჯოხეთის გულში დგომით შეწუხებული იყოს და ახლა იქედან იმიტომ მიეჩქარება, რომ სამზეო მოიაროს, ქვეყანა მოისამოთხოს. მორბის და მოარბევს ისედაც ჩამორღვეულ მთების ნაპირებს. მეოთხედიც აღარ დატოვა პირიმზის სალოცავი მინდორი და ახლა აშკარად ისმის მუზეუმის ერდოებიდან შემოჭრილი მისი აღელვებული ხმა.

-მამავ, მამავ, შენ გენაცვალე მამავ, გვიშველე, ისევ წაიღო არაგვმა ჩვენი ბროლია, სახლშიც მოგვიხტა, ყველანი იქ არიან, ჯებირს ამაგრებენ, შენც წამოდი,

გვედრები მამავ, შენც წამოდი – ტირილით შემოვარდა მუზეუმში შულლიანთ სებას ნაბოლარა ბიჭი და სებაც თან გაჰყვა შეშინებულ ბიჭს. თქეშად მოდიოდა წვიმა. მდინარეს ნახევარ მინდორზე მეტი უკვე ჩაუქცია, თან წაელო, სახლების კედლებს არღვევდნენ, რასაც ერეოდა შავი ტალღებით მიითრევდა და არავითარ ჯებირს აღარ ერიდებოდა. როგორც ჩანს გადაწყვეტილი ჰქონდა თან წაელო მთელი პირიმზის მინდორი. ჩაარღვია და ჩააქცია ძველი რუსული ბასტიონის კედელი, მიუხტა გუდამაყარის მუზეუმს და მოარღვია კედლები. შულლიანთ სებაი მუზეუმისკენ გაიქცა, მაგრამ ამ შემთხვევაში ისეთი უძლური აღმოჩნდა აბობოქრებულ მდინარესთან, როგორც ჭიანჭველა ბეჭემოტთან. მდინარის ტალღებში საცოდავად მიტივტივებდნენ ცხოველების ფიტულები. კიდობანი აღელვებულ კალთებზე ქანაობდა და ქვემოთ მიჰყვებოდა მდინარის დინებას. კიდობანზე შემოსკუპებულიყო მელიის ფიტული და ისე ცდილობდა ადევებული მდინარიდან თავის დაღწევას. სებამ მდინარის ტალღებში მოლივლივე საქართველოს ფარდაგს მოჰკრა თვალი და მის გადასარჩენად შევარდა წყალში.

-რას შვრები მამავ, ნუ მიდიხარ შიგნით, წაგიღებს წყალი! – ტირილით დაედევნა სებას ნაბოლარა ბიჭი.

სებას არავისი ხმა აღარ ესმოდა, მდინარეში ყვინთავდა და ცდილობდა როგორმე ფარდაგი დაეჭირა.

-მაგას თავი ანებე და მე გადამარჩინე! - მოესმა კიდობანზე ატორტმანებულ მელიას განწირული ხმა.

-შენ ადრევე წასაღები იყავი! - მიაძახა სებამ.

-მაინც დავბრუნდები, ნახე თუ არ დავბრუნდე! – ნიშნისმოგებით გამოსძახა მელიამ და სწორედ ამ დროს ამოატრიალა კიდობანი აბობოქრებულმა მდინარის ტალღამ. მელია შავ ტალღებში ჩაინქთა, მაგრამ სებას მოეჩვენა, რომ რომელიღაც ტალღიდან თავი ამოყო და დაიძახა: – მაინც დავბრუნდები და ვაი, თქვენ დღეს მერე!

არა, ეს სებას მოეჩვენა, მელია აღარ ჩანდა კუპრივით შავ მდინარეში. შულლიანთ სება ფარდაგის კალთას მისწვდა და ნაპირისაკენ დაითრია. მდინარე ფეხქვეშ უცლიდა მიწას და უჭირდა ფარდაგის გამოთრევა. ბიჭმა გაბედა, წყალში შევარდა და მამას მიეხმარა ფარდაგის გამოთრევაში. არ ცხრებოდა მდინარე. მიდი-მოდიოდა პირიმზის სალოცავის მინდორზე და ერთიანად მიჰქონდა ყველაფერი; წაიღო რუსული ბასტიონი, წაიღო კვარცხლბეკი, სადაც ერთ დროს ხან ნიკოლოზის ძეგლი იდგა, ხან სტალინის და ხან ლენინის. სხვათა შორის, ისე

მიტივტივებდა მდინარის ტალღებში ლენინის ბიუსტი, თითქოს დიდი ხანია ელოდა ამ დღეს და ასეც უნდა ყოფილიყო. მარცხენა, თუ მარჯვენა ხელი ტალღებიდან ზემოთ ჰქონდა ამოშვერილი და ისე მიაქანავებდა მდინარეში, კაცი იფიქრებდა, მდინარის პირას გამოფენილ ხალხს ემშვიდობებო. წყალმა წარეცხა ყოველივე პირიმზის სალოცავის მოედანზე. მამა-შვილი სალოცავისკენ მიათრევდა აღმა წყლით გაჟღენთილ ძველებურ ფარდას, რომელზეც უხსოვარი დროის იქით, ვიღაცას საქართველოს დროშა ამოექარგა. უცებ, მდინარის ტალღებისაგან მოტივტივე საფლავის ქვას მოჰკრა სებამ თვალი და დააკვირდა წარწერას.

-რა აწერია, მამავ? - ჰკითხა შვილმა.

-რისთვის ბადებ უბედურსა, რისთვის შაჰყრი მთვარე-მზესა, - წაუკითხა მამამ.

-ვისია, მამავ?

-არ ვიცი, შვილო, ალბათ ვიღაც უბედურის, თავის სიცოცხლეში ვერაფერი სასიხარულო რომ ვერ ნახა ამ მზისა და მთვარის ქვეშ, წავიდა და მიწას ამოეფარა.

-ჩვენც უბედურები ვართ მამავ?

-რატო შვილო?

-ყველაფერი გაგვტაცა მდინარემ, სახლიც და საქონელიც. ბროლიაც, შენი მუზეუმიც.

-ნუ გეშინია შვილო, მთავარია რომ ეს ფარდაგი არ გავატანეთ მდინარეს. სახლსაც ავაშენებთ, მუზეუმსაც უფრო საიმედო ადგილას და ძველებურ ნივთებსაც კიდევ შევაგროვებთ.

-კიდობანი ზღვაში წაიღო მამა?

-სულეთის ზღვაში წაიღო, მამა გენაცვალოს.

-მერედა სად არის სულეთის ზღვა.

-ხმელეთი რომ გათავდება, ცის ნაპირი რომ გათავდება, აი იქ არის სულეთის ზღვა.

-მერე კიდობანი როგორ მივა იქ?

-მივა შვილო, მივა, ღვთის ნებით მივა, მოდი მომეხმარე ფარდაგი ბალახებზე გავფინოთ, რომ შლამი წვიმამ გარეცხოს.

მამა-შვილმა ფართოდ გაშალეს პირიმზის სალოცავის გვერდზე მობიბინე მოლზე ფარდაგი.

გადაიქუხა, გადაიქუხა და ცოტა ხანში მზემაც ამოანათა. მზის სხივებში აელვარდა პირიმზის ეკლესია, რომლის თავზეც ცისარტყელა გამოისახა, რომელიც

მთლიან რკალად წვდებოდა გუდამაყრის ვიწრო ხეობას,  
შუა რკალი ცის მოკრიალებულ გუმბათზე ჰქონდა  
მიბჯენილი, შვიდფერი სვეტის ერთი ბოლო  
აღმოსავლეთის მთაზე ჰქონდა დაბჯენილი, მეორეთი  
დასავლეთის მთას ეყრდნობოდა და პირიშის ეკლესიის  
ეზოში დაფენილი წვიმით გარეცხილი ხალიჩა,  
რომელზეც საქართველო იყო ამოქარგული,  
ცისარტყელიდან ჩამომდგარი შუქით, უცნაურად  
გაბრწყინებულიყო. ხალიჩასთან დაჩოქილი მამა-შვილი  
თვალებში ჩამდგარი სევდიანი იმედით შეჰყურებდნენ  
ცისარტყელას. ხეობის ბოლოს, მდინარის შავ ტალღებზე,  
სულეთის ქვეყნისკენ მიტივტივებდა კიდობანი.

გოდერძი ჩოხელი

[www.PDF.ChiaturaINFO.GE](http://www.PDF.ChiaturaINFO.GE)